„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – ვაჟა

# მანმოპოლიფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2016 წ. სექტემბერი* №50 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან




გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, XV ს.

## გიორგი ოვაშვილის ფილმი – „ხიბუელა"

გვ. 7,8,12

## საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი

გვ. 14

## არ არის საშველი! მაშასადამე, იმედიც არ არის!!!...

ლეილა ცომაია

მმართველი და ოპოზიციური პარტიების საარჩევნო სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების გამოქვეყნება-წარდგინებამ, ხალხს უკეთესობისა თუ სამომავლო პერსპექტივის ის მბჟუტავი იმედიც წარუხოცა, რაც საკუთარი წარმოდგენით შეიქმნეს, რომ ორივე ძალა ადეკვატურად შეაფასებდა ხალხის უკმაყოფილებას და მოთხოვნებს დაგროვილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების დასაძლევად, რისთვისაც არსებული სახელისუფლო გუნდის ძირეულად გადახალისება იყო საჭირო. ნაცვლად ამგვარი მზაობისა და ნებისა, ხელისუფლებამ და „ნაციონალებმაც" ხალხს ძირითადად კვლავ იმ მუქთახორების, ბიზნესმენებისა და სპორტსმენების სია წარუდგინა, რომლებიც ათწლეულებია ხრავენ სახელმწიფოს ბიუჯეტს და არად ანაღვლებთ სახელმწიფოს ინტერესებიც.

აღმაშფოთებელია, რომ შევარდნაძის დროინდელი კადრები (საქმოსან-„ბიზნესმენები") დღემდე არ თმობენ პრივილეგირებულ სახელისუფლო სავარძლებს და სხვადასხვა პარტიებში პორტირებით კვლავ ხელისუფლებაში გვევლინებიან. „ნაციონალებიდან" და „ოცნებიდან" გამოსული ცნობილი დეპუტატები კი ერთმანეთის პოლიტიკურ სიებს ავსებენ, რომლებსაც ჩვეული რიხით წარუდგენენ ხოლმე ხალხს ლიდერები. ამგვარი უტიფრობა და ვაქხანალია წლების განმავლობაში უკვე აყალიბებს სტერეოტიპულ აზრს ჩვენ სახელმწიფოში რომ „არჩევნები ტარდება - არჩევნები არ არის!"

„ნაციონალების" ახალი სახე 8 ოქტომბრის არჩევნებში სანდრა რულოვსი გახდა, რომელიც ზუგდიდის მაჟორიტარად მოგვივლინეს და სიითი შემადგენლობის მე-2 ნომრადაც ჩასვეს. ვინძლო, თუ მეგრელებმა თავის მაჟორიტარად არ ინდომეს სანდრა, „ნაციონალებ-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

მა“ სიით მაინც გაიყვანონ იგი დეპუტატად. ასეთია ოდესის გუბერენატორ სააკაშვილის განკარგულება და სურვილი. სანდრას, ხალხმა უკვე შეარქვა - „მიშა კაბაში“, რომელსაც სანდრას, ზუგდიდში, ხალხის შთამბეჭდავი რაოდენობა დაახვედრეს (ამგვარ სცენარებში „ნაციონალები“ გაწაფულები არიან), ხალხის წინაშე იგი შავი კაბით და პირმოთნე ღიმილით წარსდგა. ეჭვგარეშეა, რომ შავი კაბით, ფარისეველი სანდრა, მეგრული ძაძების ასოციაციით ჩასკვარამდა. ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია ინტერნეტში წერს:

„სანდრა, ქალი, რომლის პირადი ცხოვრება სპეცსამსახურების კაბინეტებში იწერება!!!“ უთუოდ, სპეცსამსახურების კაბინეტებში შემუშავდა სანდრას შავებით შემოსვის გეგმაც. სანდრა რულოვსის ტრივიალურ-ბანალური ცხოვრების ეპიზოდებით აღსავსე წიგნი, "იდეალისტის ჩანაწერები", გაჟღენთილია პირველობისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ნდომით. ამ მანიაკალური მიზანსწრაფვით, სანდრა, ხსენებულ წიგნში, საქართველოს დედოფლობაზეც ოცნებობს და იქნებ ამ ოცნების აღსრულებად ესახება პარლამენტარობა? რაც, მაჟორიტარობით არა, მაგრამ სიით, დიდი ალბათობით გარანტირებული აქვს! „ნაციონალები“ საპარლამენტო უმცირესობით, ამჯერად ველარ გავლენ, მაგრამ ორი-სამი დეპუტატით კი ნამდვილად იქნებიან წარმოდგენილნი.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის მოწვევის პარლამენტში ორი ახალი პარტია იქნება წარმოდგენილი: პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“ და ირმა ინაშვილ-თარხან მოურავის ე.წ. პატრიოტთა ალიანსი. პაატა ბურჭულაძე „ნაციონალებთან“ , ხოლო ირმა ინაშვილი „ოცნებასთან“ ალიანსში და უნისონში იღვაწებენ პარლამენტში, რაც საპარლამენტო ცხოვრებას არც მომავალში შეცვლის ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის სასიკეთოდ.

"ეროვნულ ფორუმელებიდან" „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ამჯერად, ალბათ კახა შარტავას და რეზო შავიშვილს აირჩევს პარლამენტში შესაყვანად.

ხიდაშელ-უსუფაშვილის „რესპუბლიკელები“ და ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ , 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, ალბათ სამუდამოდ გამოემშვიდობებიან საპარლამენტო ცხოვრებას. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კი პოლიტიკურად ძალზე გაუჭირდება მათი ოპონირების გაძლება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც(საერთაშორისო ასპარეზზე), განსაკუთრებით იმ სიითი შემადგენლობით, რომლითაც აპირებენ ხელისუფლების მართვას (სპორტსმენები, მსახიობები, ბიზნესმენები). ალასანიას და უსუფაშვილს დაემატებათ „ნაციონალების“ სიას მოწყვეტილი საკმაოდ მძლავრი ბირთვი;

ნათელაშვილის ეგზალტირებულ ღავ-ღავს სერიოზულად არავინ აღიქვამს და მას კი ნამდვილად გაუძლებს ხელისუფლება.

პოლიტიკურად ისედაც დაძაბულ წინასაარჩევნო ვითარებას უფრო მეტად ძაბავს გიორგი ხაინდრავას მიერ გადაღებული 24-სერიან ფილმ „HEROკრატიას“ წინასწარ დაანონსებული ჩვენების მოლოდინი ტელეკომპანიების „იმედისა“ და GDS-ის ეთერში. ფილმის ორი ნაწილის ჩვენება 27 აგვისტოს უკვე მოეწყო კინოთეატრ „რუსთაველში“, ხოლო ხსენებული ტელეკომპანიები კი 7 სექტემბრიდან დაიწყებენ ფილმის ყოველდღიურ ჩვენებას, რაც სავარაუდოდ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიჯნაზე დასრულდება. ფილმი-ეპოპეა მთლიანად ბიძინა ივანიშვილის მიერაა დაფინანსებული საკმაოდ ძვირი ბიუჯეტით და იგი სააკაშვილის ტირანული მმართველობის ჯოჯოხეთს ასახავს, უმთავრესად ციხის წამების კადრებით. ფილმში გადაღებული არიან, როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მსახიობები მაღალი ანაზღაურებით და როგორც რეჟისორი იუწყება ფილმი მძაფრსიუჟეტებიანია, – თრილერი.

გოგა ხაინდრავა უდავოდ ნიჭიერი და პროფესიონალი დოკუმენტალისტი რეჟისორია, მაგრამ ფულისადმი აღუვსებელი სიყვარულითა და მორფინზე პათოლოგიური დამოკიდებულებით იგი საზოგადოებაში სიყვარულს, ნდობასა და პატივისცემას ვერ იმსახურებს. ამდენად, მისი რეჟისორული საქმიანობა, არც ობიექტურობით და არც პატრიოტიზმიის სულისკვეთებითაა წარმართული, არამედ მას ხელისუფლებისა და ოპონენტების წინააღმდეგ, ქირაობენ სოლიდურ ფასად.

შევარდნაძის მიერ 90-იან წლებში ასევე დაქირავებული გოგა ხაინდრავა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოსისხლე მტრადაც იქცა და ყალბი „დოკუმენტური“ ფილმებიც შექმნა ზვიადის „დიქტატორობის“ წარმოსაჩენად, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონში.

ჯაბა იოსელიანის მოგონებიდან:

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: 6 იანვარს, გამთენიისას, ბარათაშვილის ხიდთან, გოგა ხაინდრავას „დევიატკამ“ და გია სვანაძის ბიჭებმა გაუხსნეს ცეცხლი ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს. პირველმა, ვინც ისროლა – ხაინდრავას ხალხმა თუ ჩვენებმა – „მხედრიონელებმა“, ვერ გეტყვით. ეს იყო შეცდომა, რადგან, როცა კაცს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევ და კაცურად ჰპირდები უსაფრთხოდ დასტოვებ ქვეყანასო, უნდა შეასრულო. მერე გოგაც და გიაც მიმტკიცებდნენ, ბატონო ჯაბა, ჯერ იმათ გვესროლეს ავტობუსებიდანო, მაგრამ ამხელა კაცი მაგას ვჭამ? რა ესროლეს? ერთი სული ჰქონდათ, ბუნკერიდან თავდაღწეულებს, საქართველო მშვიდობიანად დაეტოვებინათ. არა, მაგარი მიქარვა მოუვიდათ, თან იმ ავტობუსში ქალები და ბავშვები ისხდნენ, პრეზიდენტს რომ თავი დავანებოთ!“

სწორედ ამ ავტობუსებში ისხდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები და ცნობილი მწერლები გურამ და რობერტ პეტრიაშვილები, ნოდარ წულეისკირი, ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე და ყველა ის დეპუტატი (რათქმა უნდა, უიარაღონი), რომლებმაც 6 იანვარს დატოვეს პარლამენტის შენობა. მოგვიანებით, გურამ პეტრიაშვილი ამ საშინელ ისტორიას ჩემთან და სხებთანაც ასე იგონებს: „ჩვენ და გურამ აბსანძე ერთ ავტობუსში აღმოვჩნდით. ავტობუსი გადატვირთული იყო პარლამენტიდან დევნილებით. ხიდთან ავტომატების და ტყვიამფრქვევების მოულოდნელი კაკანი რომ აგვიტეხეს, ერთმანეთს მივაწყდით. გურამ აბსანძეს სწორედ იქ მოხვდა ის 9 თუ 12 ტყვია, რასაც დღემდე უღებენ სხეულიდან. გურამის ზორბა და მსუქანმა ტანმა ავტობუსში გადაფარა ბარემ 30-მდე დევნილი. რამდენიმე დაიხოცა. „სამშვიდობოს“ რომ გავაღწიეთ, დაჭრილმა აბსანძემ ხუმრობით უთხრა უვნებლად გადარჩენილებს: თქვენ ყველანი ჩემმა „მუნდმა“ გადაგარჩინათო...“

ხაინდრავას „HEROკრატია“ კი მაინც ფილმია და უფრო, მხატვრული, რაც ჟანრობრივად უკვე გაზვიადების შეუზღუდავ შესაძლებლობას შეიცავს და მისი სრულად გაიგივება რეალურად მომხდართან მაყურებლის მიერ იდენტურად აღქმადი ვერ იქნება.

ამდენად, არჩევნებში, პოლიტიკური ოპონენტის (ოპოზიციის) პირწმინდად დასამარცხებლად, სულმთლად ამ ფილმის იმედად მმართველი სახელისუფლო ძალა არ უნდა იყოს. მითუმეტეს, როდესაც სარეიტინგო გამოკითხვებში „ოცნება“ და „ნაციონალები“ არცთუ ისე დიდი უპირატესობით ლიდერობენ, ხოლო, 2012 წელთან შედარებით, გაცილებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლები გააჩნიათ.

2012 წლის შემდგომ, საქართველოში გააქტიურებული რუსული ორიენტაციის ანუ კოლაბორაციონისტი პოლიტიკური ძალები, არც 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე თმობენ თავიანთ პოზიციებს: ვალერი კვარაცხელია, გრიშა ონიანი,ნინო ბურჯანაძე, ვალერი ხაბურძანია, თემურ ხაჩიშვილი, ლადო ბედუკაძე და სხვები ცდილობენ შეასუსტონ ქვეყნის დასავლური ორიენტაციის კურსი და ხალხის გარკვეული ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ. ამ მიზნით ისინი აწყობენ ხმაურიან შეკრებებს დარბაზებში და მანიფესტაციებს ქუჩებში, რის ეპიცენტრადაც, ძირითადად გადაქცეული აქვთ ქალაქი გორი. შედარებით გაიძვერა პოლიტიკოსები (ნინო ბურჯანაძე და სხვ.) საქართველოს ნეიტრალიტეტის და უბლოკო ქვეყნად გამოცხადებას მოითხოვენ, რაშიც აიყოლიეს და მიიმხრეს პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი მასები. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, რუსეთთან ე.წ. დიპლომატიური მოლაპარაკებისა და ურთიერთობის აღდგენის მომხრეთა ძირითადი ნაწილი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან დევნილი გულუბრყვილო მოსახლეობაა, რომლებთანაც ჩვენ ხშირად გვიწევს ოპონირება ინტერნეტ-სივრცეში.

ჩვენს პოლიტიკურ და სტრატეგიულ არჩევანში, ყველაზე აპრობირებული და ზუსტი ორიენტირია საქართველოს ძველი და უახლესი ისტორიაც, რომლის ზედმიწევნითი შესწავლა და ცოდნაა საჭირო და აუცილებელი, რათა მსგავსი მცდარი ილუზიებისაგან გავთავისუფლდეთ და ამოდ არ დავშვრეთ და ილიაზე, ზვიადსა და მერაბზე აღმატებულ მამულიშვილებად და არცთუ ჩვენი ჭეშმარიტად უწმიდეს და უდიდეს კათოლიკოს-პატრიარქებად - ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძის, კირიონ საძაგლიშვილისა და სხვა დიდ მოწამეთა უმეტეს მოღვაწედ - წარმოვიდგინოთ თავნი! მე კი 9 ზეციურ მთავარანგელოზთაგან, ერთ-ერთ მთავარანგელოზ ურიელს, უცოდინართა განმანათლებელს, შევავედრებ თქვენს თავს.

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, საქართველოს ელექტორატი, სასურველ კანდიდატზე თუ პოლიტიკურ ძალაზე, საკუთარი ხმის მიცემის სერიოზული დილემის წინაშე დგას, რამეთუ არსებულთაგან არავინ ესახება, არავის მიიჩნევს თავისი ხმის ღირსად. პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ გამოჩენის საწყის ეტაპზე, თითქოს ჰქონდა შანსი შეევსო ახალი და სანდო პოლიტიკური ძალის ნიშა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოპერის მომღერალ ბურჭულაძეს, არცთუ სუფთა წარსული აქვს (კანონიერ ქურდებთან ახლო ურთიერთობა) და არც ისეთი უანგარო ქველმოქმედიც ყოფილა. მას პრივილეგიების მოყვარეობასაც საყვედურობენ საკაუთარი თანაპარტიელები, რომელთაგან ბევრმა უკვე დატოვა პარტია, ღიად გამოჩნდა ბურჭულაძის სატელიტობა „ნაციონალებთანაც“.

ხალხს კი აღარ სურს 23-წლიანი პოლიტიკური ბალასტის ყურება და ახალ, გაუსვრელ ძალას ნატრობს. ასეთი ძალები ერში ნამდვილად არსებობს, მაგრამ რადგან პოლიტიკა ფულია(თანაც ძალიან დიდი ფული), ხოლო ფული გაუსვრელ ძალებს არ გააჩნია, ხოლო საკუთარი შესაძლებლობებით კი ისინი ამაოდ ლამობენ პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრებას. არსებული ტელევიზიებიც არ არიან დაინტერესებულნი ასეთი ახალი ძალის წამოწევით. ამგვარი ტელევიზიების სამწუხარო არსებობაზე ჩვენ ხშირად გვიწევს ხოლმე აპელირება.

სოციალური სიდუხჭირის წუმპედან, ქვეყანა და ხალხი, ვერც ამ „ოცნების“ ხელისუფლებაში ამოვიდა; ერთადერთი „სასიხარულო“ შეტყობინება „ლიბერთი ბანკიდან“ პენსიონერების მობილურ ტელეფონებზე, პენსიამდე ორი დღით ადრე ყოველთვიურად ისაა, რომ ბანკი თავაზობს პენსიის წინასწარ აღებას, რათა როგორმე მოასწრონ 2-3 ლარის წაგლეჯვაც შეჭირვებული პენსიონერებისთვის.

ხელისუფლების ცინიზმისა და გაუმაძღრობის ატიპიური გამოვლინება!

ხალხში სულ უფრო და უფრო მძლავრობს ნიჰილიზმი და ინდიფერენტიზმი არჩევნებისადმი და იზრდება არჩევნებში წაუსვლელ პირთა რაოდენობის მაჩვენებელი, რაც ზრდის არჩევნების მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობას. გადაურჩება თუ არა 8 ოქტომბრის არჩევნები ამგვარი შესაძლებლობის რისკ-ფაქტორს, ძნელი სათქმელია. და თუ როგორმე გადაურჩა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, უმრავლესობით გამარჯვების შანსი მაინც ძალზედ მინიმალური აქვს.

ეს, რეალურად!

მაგრამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელთ აქვს სახელისუფლო ბერკეტი, რითაც უთუოდ შეეცდება მანიპულირებას, მაგრამ მნიშვნელოვანი უპირატესობით ვერა!

ბოლოს ჩემი სტატია, რუსეთუმეთა შესაგონებლად, უნდა დავამთავრო ოთარ ჭილაძის მაქსიმით:“ არა სხეულის,არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“.

# საარჩევნო სისტემა...

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამა თუ იმ სისტემის გამოყენება სუფთა ტექნიკური (პროცედურული) საკითხია და მას არანაირი გავლენა არ აქვს არჩევნების შედეგებზე, მაგრამ არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალურად საქმე სხვანაირადაა: საარჩევნო პროცესის ამ ელემენტს ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი აქვს – რამდენადაც კანდიდატებსა და პარტიებს შორის ხმათა ერთი და იმავე რაოდენობის განაწილებისას სხვადასხვა სისტემის გამოყენებას სრულიად განსხვავებულ შედეგამდე მივყავართ, საარჩევნო სისტემას შეუძლია გავლენა მოახდინოს არჩევითი ორგანოს არამარტო დაკომპლექტებაზე, არამედ მისი შემდგომი საქმიანობის პოლიტიკურ მიმართულებასა და ეფექტიანობაზე.

საარჩევნო სისტემის არჩევა კანონმდებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ამოცანაა, მაგრამ როგორია „სწორი არჩევანი“, რა ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს არჩეული სისტემა?

საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ჯგუფთა წარმომადგენლობის სამართლიანი არჩევა. სამართლიანად კი მიჩნეულია ისეთი შედეგი, რომლითაც გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს (მაჟორიტარული პრინციპი), ან რომლითაც პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მის მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი). მათ გარდა ფართოდ გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემაც, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ნიშნებს სხვადასხვა ვარიაციებით. თითოეულ ამ სისტემას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. საარჩევნო სისტემების საკვანძო განმასხვავებელი ნიშნებია: საარჩევნო ოლქების მასშტაბი, ბიულეტენის სტრუქტურა, საარჩევნო ბარიერი, პარტიული სიების ტიპი და ა.შ. საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი საარჩევნო ფორმულაა, რომელიც განსაზღვრავს მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას.

მაჟორიტარული, ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა. მისი სახელი ფრანგული სიტყვისაგან წარმოსდგება და უმრავლესობას ნიშნავს. მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას დეპუტატის მანდატებს მიიღებენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა (აბსოლუტური ან ფარდობითი) მიიღეს. მაჟორიტარული სისტემა უმეტესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქშიც გამოყენება; ერთმანდატიან ოლქში ჩვეულებისაებრ კენჭს იყრიან კონკრეტული პირები (არჩევნები პერსონიფიცირებულია), მრავალმანდატიან ოლქებში კი ხმას აძლევენ როგორც გარკვეულ პირებს, ისე პარტიულ სიებსაც. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კანადაში. იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების უმრავლესობა, განასხვავებენ ფარდობითი უმრავლესობის, აბსოლუტური უმრავლესობისა და კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემებს.

პროპორციული საარჩევნო სისტემა პირველად ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს. ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში (მათ შორის ისრაელში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში და სხვ.) მოქმედებს. ამ სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის ნაწილდება მანდატები მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი წესით აძლევს ხმას ამომრჩეველი და როგორი წესით ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის, მთელი ქვეყანა ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს თუ დაყოფილია რამდენიმე ნაწილად.

შერეული საარჩევნო სისტემის მიზანი სხვადასხვა სისტემების დადებით მხარეთა გაერთიანება და ნაკლოვანებათა შემცირებაა. შერეულ სისტემებში გამოიყენება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემების ელემენტები და სწორედ მათ თანაფარდობაზეა დამოკიდებული სისტემა მაჟორიტარულისკენაა გადახრილი თუ პროპორციულისკენ.

საარჩევნო სისტემის იდეალური მოდელი არ არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, თითოეულ მათგანს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დიდწილად სწორედ ამით აიხსნება ის მრავალფეროვნება სისტემებისა, რომელთაც მსოფლიოში იყენებენ. რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ორგანოს არჩევა ხდება: საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი, კოლეგიური თუ ერთპიროვნული, ფედერალური, რეგიონალური თუ ადგილობრივი. ქვეყნის მასშტაბით ან მის ნაწილში საარჩევნო სისტემის მსჯელობისას უნდა გაანალიზდეს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური ცხოვრების არსებული რეალობა, ხალხის ტრადიციები და კულტურა. საარჩევნო სისტემას შეუძლია და რეალურადაც ახდენს გავლენას ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტზე. ამდენად, მისი შერჩევა მუდმივ ძიებას მოითხოვს და ამ ძიებაში წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება წარმოადგენს, თუმცა პოლიტკური ცხოვრების შემდგომმა განვითარებამ შესაძლოა მოითხოვოს ახალი საარჩევნო მოდელის განვითარებაც.

**ხარატიშვილი გიორგი**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი**

# კუზიანი კიბე - გოლგოთა მოხუცებისთვის და მცირეწლოვანი შვილებით მოარულთათვის

თბილისის იუსტიციის სახლი, რომელიც მდებარეობს ბარათაშვილის ხიდთან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და გაიხსნა 2012 წლის სექტემბერში, ყველაზე მოთხოვნადი და აქტიური მიმოსვლის მომსახურების სერვისია, სადაც საჭიროებისთვის ადგილზე მისვლის ვალდებულება თვით ღრმა მოხუცებს და ინვალიდებსაც გააჩნიათ. ამგვარი კატოგორიის სოციუმთათვის კი გამარტივებული და იაფი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა არ არსებობს; თითქმის ნახევარკილომეტრიანი თეთრი საჰაერო კუზიანი კიბე ნამდვილი გოლგოთაა მოხუცებისთვის და მცირენლოვანი შვილებით მოარულთათვის. განსაკუთრებით ზაფხულში, თაკარა მზის გულზე ჯანმრთელ ახალგაზრდასაც კი უძნელდება ამ კოტიტა საფეხურებზე ცუქ-ცუქი, რაზეც ერთობ გაფაციცებული უნდა იყო, რომ ნაბიჯები არ აგერიოს და ტრამვირებულად არ გადაქანდე.

მართალია იუსტიციის სახლს აქვს ქვემოთა მისასვლელიც, საიდანაც მისვლა სამარშრუტო ტაქსებით და ერთი-ორი ავტობუსითაა შესაძლებელი, მაგრამ მოქალაქეთა ძირითადი დატვირთვა სწორედ ამ კუზიან, დაკიბულ ხიდზე მოდის და სწორედ იგია მთავარი საფეხმავლო ხერხემალი, რის გამოც აუცილებელზე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იუსტიციის სახლთან არსებული გადამყვანი ამ ხიდის ზედაპირის რეკონსტრუქცია და ვფიქრობთ იგი ორმხრივი მოძრავი ესკალატორებით უნდა შეიცვალოს და გადაიხუროს კიდეც, რითაც ყველა კატეგორიის ადამიანებს ერთობ შეუმსუბუქდებათ გადაადგილება.

თქვენ, როგორ ფიქრობთ, მოქალაქენო?

მართალია ესკალატორები ძვირი მომსახურების სიამოვნებაა, მაგრამ იუსტიციის სახლის მომსახურებაც, არცთუ იაფი უჯდებათ მოქალაქეებს და უცილობლად უნდა გამოინახოს სახსრები გამარტივებული გადაადგილებისთვის.

წარმოჩენილი პრობლემიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით მივაპყროთ იუსტიციის სამინისტროს და მერიის ყურადღება ჩვენი რეკომენდაციისა თუ წინადადებებისადმი **(რედ.)**.

# თენგიზ კიტოვანის შვილმა "პატრიოტთა ალიანსს" 45 000 ლარი შეწირა




რატომ უჩნდებათ მრავალი დამფინანსებლები ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ძალებს და რატომ არავინ აფინანსებს ეროვნულ-პატრიოტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ან თუნდაც იდეური ორიენტაციის ჩემს გაზეთ "განმათავისუფლებელს", რომელსაც 13 წელია ცარიელი ენთუზიაზმით ვცემ და ნომრიდან-ნომერს - ვალებით.

ეს რეალ-ვითარება ნათლად წარმოაჩენს ქართველი ბიზნესმენების საქმინობის შავ ხვრელებს და კრიმინალურ ფულს, რომლის ნება-ყოფლობით განკარგვის უფლება წართმეული აქვთ და მათი ფულის დაბანდებას პოლიცია თუ უშიშროება კურირებს! (ლ.ც.).

*ბერდია კალანდია, მაისი 5, 2016 00:38*

საქართველოს აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების 4 თვის შემოწირულობები გამოქვეყნა. 10 პოლიტიკურ გაერთიანებას (პლატფორმა ახალი პოლიტიკური ცენტრისთვის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიას, მ.პ.გ. „საქართველოს მშვიდობისათვის", მ.პ.გ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო", საქართველოს კონსერვატიული პარტია, ა.ა.ი.პ „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის", მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, საქართველოს ქრისტიანი-კონსერვატიული პარტიას) აპრილის თვეში 96 შემომწირველი ჰყავს. შემოწირული თანხის საერთო რაოდენობამ 604 747,50 ლარი შეადგინა.

ყველაზე მეტი შემოწირულობა აპრილის თვეში – 417 300 ლარი, „პატრიოტთა ალიანსმა" მიიღო.

შემომწირველთა სიაში მე-80 ნომერი ნათია კიტოვანია, რომელმაც 26 აპრილს „პატრიოტთა ალიანსს" შემოწირულობის სახით 45 ათასი ლარი ჩაურიცხა. ნათია კიტოვანი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, თენგიზ კიტოვანის ქალიშვილია.

აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ შემოწირულობებთან დაკავშირებით „აიპრესი" „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" აღმასრულებელ მდივანს, გოჩა თევდორაძეს დაუკავშირდა.

აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები გამოაქვეყნა. აპრილის თვეში „პატრიოტთა ალიანსმა" ყველაზე მეტი ფინანსური შემოწირულობა მიიღო. ერთ-ერთი შემომწირველი ნათია კიტოვანი, თენგიზ კიტოვანის ქალიშვილია. ქალბატონი ნათია თქვენი პარტიის წევრია თუ, როგორც მოქალაქემ შემოგწირათ თანხა?

ზუსტად ვერ გეტყვით ნათია ჩვენი წვერია თუ არა, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ რაც შეეხება შემოწირულობებს, ამ თვეში ყველაზე მსხვილი შემომწირველი მანუჩარ მაჩაიძე აღმოჩნდა. ის, ჩვენი პოლიტიკური საბჭოს წევრი და თბილისის საკრებულოში ჩვენი წარმომადგენელია. კარგია, როცა ასეთი შემოწირულობები ხორციელდება.საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" მიმართ ნდობა მეტია, რეიტინგი მაღალია და ეს პარტია თავისი სამომავლო გეგმებით და ამოცანებით საზოგადოებისთვის საინტერესო ხდება. ცუდი ის არის, რომ შემომწირველები მხოლოდ პარტიის აქტივისტები და წევრები არიან.ჯერჯერობით არ იძვრის ბიზნესი, რომელთა წარმომადგენლებს უფრი მეტი შესაძლებლობა აქვთ იმისთვის, რომ პარტიებისთვის სხვადასხვა შემოწირულობა გასცენ. თან იმ პერიოდში, წინასაარჩევნოდ, როდესაც ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პარტიებისთვის საჭირო იყოს ფინანსური სახსრები, რადგან არათანაბარი საარჩევნო გარემო შექმნა დაფინანსების, საარეკლამო დროის, ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის, თუ სხვადასხვა პრინციპიდან გამომდინარე, არ აწყობს ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ჩვენ და მთელი ოპოზიციური სპექტრი ორ წელზე მეტია ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ მოვუწოდებთ. ჩვენ არ გვაქვს წინასაარჩევნოდ მოთხოვნები გარდა იმისა, რომ შევახსენოთ ხელისუფლებას, პირობა ამ კუთხით მაინც შეასრულოს.

ნათია კიტოვანის მამა, თენგიზ კიტოვანი თუ იქნება „პატრიოტთა ალიანსის" საპარლამენტო სიაში?

არა. თენგიზ კიტოვანის „საქართველოს პატრიოტთა ალაიანსის" საპარლამენტო სიიაში ყოფნაზე განხილვა არ ყოფილა და არც წამოჭრილა.

*„აიპრესი"*

*წყარო: http://www.timer.ge/thengiz-kitovanis-shvilma-patriottha-alianss-45-000-lari-shetsira/*

## „აფხაზთა კრების" აქტივისტების საეჭვო მიზნები...

პოსტზვიადისტურ ფაქტობრივ ხელისუფალთაგან, რომელიმე მოწვევის პარლამენტს რომ მიეღო კანონი "ლუსტრაციის შესახებ", დარწმუნებული ვარ რუსეთის მეხუთე კოლონა (ამჯერად "ნაციონალებს" ამოფარებული) ასე ხმაურიანად ვერ ისპეკულირებდა აფხაზეთის თემით. მითუმეტეს, როდესაც ეს ე.წ. აფხაზთა კრების წევრები თავად წარმოადგენენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში მონაწილე შეიარაღებულ ძალებს, რომელთა შეთქმულების და ღალატის პირდაპირი შედეგია აფხაზეთისა და საქართველოს შემდგომი ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ის საკანონმდებლო ჩიხიც, რაშიც იძულებით აღმოჩნდა დღემდე ავად თუ კარგად მოქმედი აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მთავრობა. ლუსტრაციის კანონის არარსებობა, იგივე ძალებს უბიძგებს შემდგომი დესტრუქციული ქმედებისაკენ; მათი თანამონაწილეობით, აფხაზეთი ტერიტორიულად მოწყვიტეს რა საქართველოს, ამჯერად ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოსაც დაუწყეს ჯაჯგური, რათა საკანონმდებლო ჩიხის საბაბით, როგორმე მიაღწიონ ახალი არჩევნების ჩატარებას მდინარე ენგურს აქეთ და მით რუსეთს, ლეგიტიმურადაც უფეშქაშონ აფხაზეთი.

"აფხაზთა კრების" სახელით მოქმედნო რუსეთის მეხუთე კოლონავ, სდექთ! თქვენ ლუსტრირებული ხართ!

**ქეთევან ჭანტურია**

## რეპლიკა

ელექტრონულ პრესაში (ambebi.ge 31-08-2015) გამოქვეყნდა ინტერვიუ ედ. შევარდნაძის შვილიშვილთან ლაშა შევარდნაძესთან. მართალია, რეპლიკა დამიგვიანდა, მაგრამ ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

ამ ინტერვიუში ის თავისი ბაბუას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორად სახავს და იმედოვნებს, რომ მას თავისი ქვეყანა და მსოფლიო ისტორია ამ ღვაწლის მიხედვით შეაფასებს. აღწერს შვეიცარიას და ახასიათებს მის პოლიტიკურ წყობას ზუსტად ისევე თბილად და კარგად, როგორც თავის ფეისბუქის გვერზე კონსტანტინე გამსახურდია „უმცროსი", რომელმაც მიულოცა შვეიცარიას საზეიმო დღე და მადლობა გადაუხადა მისთვის მძიმე დღეებში შეფარებისთვის.

ლაშა შევარდნაძე თავისი „შორსმჭვრეტელი" მიზნებით შეფარვით გვთავაზობს შვეიცარულ მოდელს, რაც საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გადაქცევას გულისხმობს.

ლაშა შევარდაძე აღნიშნავს, რომ იგი საქართველოში არ იზრდებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში (2003 წლიდან) ჩამოდიოდა აქ და ხშირად ესაუბრებოდა ბაბუას. სავარაუდოდ მათ ამ მოდელზეც ექნებოდა საუბარი. ჟურნალისტის კითხვაზე -საქართველო რა არის მისთვის, თითქმის ანალოგიურ პასუხს აძლევს, როგორც ედუარდ შევარდნაძე საქართველოსთვის იმ საბედისწერო დღეებში: „ჩემს სამშობლოს სადაც დასჭირდება (ეს იქნება საქართველოში თუ საზღვარგარეთ) მზად ვარ ვემსახურო მას". ნუთუ ისტორია გამეორდება, გაიფიქრებს კაცი ძალაუნებურად, ინიციატივის ჩამორთმევას ხომ არ აპირებს ვინმეზე?

საინტერესოა, ბატონ ლაშას, როგორც მსხვილი საერთაშორისო ბანკების მუშაკს, მომავალი საქართველო ერთ დიდ ბანკად ან ბანკების კრებულად ხომ არ ესახება? მინდა მის გასაგონად განვაცხადო: მანამდე, სანამ მარიონეტულ რეჟიმებს ჩვენთან ბოლო არ მოეღება და ისევ ეროვნული ძალები არ მოვლენ ხელისუფლებაში, არავითარი ნეიტრალიტეტი არ გვიშველის. საქართველოში ისევ დარჩება ქაოსი და ანარქია.

ახლა, რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის ისტორიაში შესვლას - თავის დროზე სტალინიც იყო დიდად აღიარებული, მაგრამ მერე ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს რუსებმა. მთავარია შენ ერს ემსახურო ერთგულად და მისი ღალატი გულში არ გაივლო.

ედუარდ შევარდნაძის პორტრეტის დასახატად, ალბათ, ტომები იქნება საჭირო იმდენი ცოდვა ადევს კისერზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის იყო აპოკალიფსის მხეცი უცხო ძალების მიერ საქართველოს დასაქცევად შემოშვებული. ეს დავალება მან 100% შეასრულა. ამიტომ საქართველოს ისტორიაში ის მოხსენიებული იქნება სამშობლოს მოღალატედ და კაენის ცოდვით დამძიმებულ მკვლელად.

**თამილა ნიკოლაძე**

# არჩევნების სას(ტ)აულები!...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უფროსმა შვილმა, ყოფილმა პარლამენტარმა კონსტანტინე გამსახურდიამ, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, კვლავ პარლამენტარობა გადაწყვიტა და ამ მიზნით იგი ე.წ. პატრიოტთა ალიანსს გაურიგდა, რომლის წარდგინებითაც იგი მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად აბაშა-მარტვილში იყრის კენჭს.

სამწუხაროა, რომ პოსტ-ზვიადისტურ ხელისუფალთაგან, არცერთს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება (ვალდებულება) შესაფერისად დაესაქმებინა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილები, გარდა უმცროსი გიორგი გამსახურდიასი, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდიდან დღემდე სხვადასხვა თანამდებობებზე უწყვეტად მუშაობს...

ხელისუფალთაგან ამგვარმა სრულმა იგნორირებამ, წლების განმავლობაში, სერიოზული სოციალური პრობლემები შეუქმნა უმუშევრად დარჩენილ გამსახურდიებს, განსაკუთრებით - კონსტანტინეს, რომელიც ოჯახის დანგრევის შემდგომ საცხოვრისის გარეშეც დარჩა და მას ბანკიდან აღებული მსხვილი სესხით საკუთარი სახლის აშენების საჭიროება დაუდგა, ბანკის ყოველთვიური პროცენტები კი თითქმის სრულად „ყლაპავს“ მის მიზერულ შემოსავალს.

შევარდნაძის ხანიდან ამ დრომდე, საქართველოს პარლამენტში, იმდენი ოდიოზური და კარიკატურული ფიგურები ვიხილეთ, მათ ფონზე, კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტარობა, ნამდვილად დადებით და სასურველ მოვლენადაც უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ე.წ. პატრიოტთა ალიანსთთან (რომლის სრული შემადგენლობა ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის აქტიურ მონინააღდეგე-მებრძოლთა დასს წარმოადგენს), მათთან ინტეგრირებას სწორ (თუნდაც მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით) და სამართლიან გადაწყვეტილებად ვერ შევაფასებთ; ზნეობრივ კომპრომისზე წასვლას, ჩვენში ჯერ კიდევ, არცთუ ყველა ამომრჩეველი (ხალხი) უხუჭავს თვალს უბრალოდ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პერსონას (დეპუტატობის კანდიდატს) მაღალ (მაქსიმალისტურ) მოთხოვნებს უყენებს ერი „ზვიადის შვილობის“ განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე და მტკივნეულად განიცდის ამ სტატუსის გათელვას.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებს (ირმა ინაშვილი, თარხან მოურავი) ემატება აკაკი ასათიანის ფიგურაც, რამაც ერთობ დაამძიმა (რა თქმა უნდა, არა წონით...) კონსტანტინეს საარჩევნო სარეიტინგო ფონი, თუმცა როგორც გამოვლინდა, კონსტანტინეს, აქამდედაც ჰქონია კეთილგანწყობითი ურთიერთობა მოღალატე-კოლაბორაციონისტ აკაკი ასათიანთან; 2014 წლის 10 მარტს, ზვიადის მკვლელობის წიგნის, "ზვიად გამსახურდიას საქმე", წარდგინებაზე კონსტანტინეს საპატიო სტუმრად და ერთ-ერთ გამომსვლელად მოწვეული ჰყავდა კ. ასათიანიც, რასაც დარბაზში მყოფთა აბსოლუტური უმრავლესობის მწვავე რეაქცია მოჰყვა...

ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატ კონსტანტინე გამსახურდიას, თუმცა ვიტოვებთ უფლებას არ მოვიწონოთ მისი ალიანსი კოლაბორაციონისტებთან და მათგან სეპარაციის მოსურნე ვიყოთ!

**ქეთევან ჭანტურია**

*2016 წლის 4 სექტემბერი*

## ორი ცოტა ვაკის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატ ელენე ხოშტარიას ინტერვიუდან: („ნაციონალური მოძრაობა“)

**კორ:**

- მამა, გოგი ხოშტარია, ზვიად გამსახურდიას დროს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ამან თქვენს ცხოვრებაზე ალბათ გარკვეული გავლენა იქონია...

- დიახ, მაგრამ იცით, ვერ ვიტყვი, რომ დადებითი, პირიქით, პროტესტის გრძნობასაც კი იწვევდა ჩემში, რომ მინისტრის შვილი ვიყავი. მართალია, მამა ცოტა ხანს იყო მინისტრად, მაგრამ მაშინდელი განცდა მაინც მახსოვს, ამით მაინცდამაინც ბედნიერი არ ვიყავი...

მამაჩემთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ სწავლის მოსკოვში გაგრძელება გადავწყვიტე. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კვოტების სისტემა იყო და როგორც ყოფილი მინისტრის შვილს, მქონდა შესაძლებლობა წავსულიყავი და უფასოდ მესწავლა... საქართველოში დავბრუნდი. ჩემს ქვეყანაში ამ დროს „ვარდების რევოლუცია“ მწიფდებოდა, 2003 წლის ოქტომბერი იყო...

ჟურნალი „რეიტინგი“ (02 ნოემბერი, 2013 წელი) *http://www.reitingi.ge*

*მამამისის, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრობით ელენე ხოშტარია ბედნიერი და მითუმეტეს, ამაყი არ იყო, მაგრამ მამამისის მინისტრეობის პრივილეგიებით კი კარგად ისარგებლა და ზეალმავალი კარიერაც შეიქმნა, რითაც იგი, ამ ვრცელ ინტერვიუში, ნამდვილად ამაყობს (რედ.).*

## ჩლუნგი ვალერი გელაშვილის დეპუტატად ქეთოსენ „კურთხევა“

„ქართულმა ოცნებამ" ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატად კვლავ ვალერი გელაშვილი წამოაყენა. საბჭოთა პერიოდის ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებული ვალერი გელაშვილი სამი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი უკვე იყო, მაგრამ მისი დეპუტატობა საქართველოს ამომრჩევლებისთვის მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მასზე გახორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად გახდა ცნობილი, თორემ პარლამენტარად მას, ხაშურის გარდა, დანარჩენი საქართველო არ იცნობდა; იგი, სამივე მოწვევის პარლამენტში მხოლოდ საკუთარ ბიზნესს ლობირებდა. „ქართულ ოცნებას" , ბიზნესმენ გელაშვილის მიმართ, როგორც სჩანს კვლავ და მხოლოდ მერკანტილური ინტერესები გააჩნია - მისი მილიონების ხიბლით „ოცნების“ საარჩევნო ბიუჯეტის დაზოგვის, მაგრამ სიძუნწით ცნობილი გელაშვილი, თავის საკანდიდატო კამპანიისთვის არც ამჯერად დახარჯავს დიდ ფულს, არამედ, იგი შეეცდება საარჩევნო ფონს კვლავ ივანიშვილის იმიჯით გავიდეს, ხოლო პარლამენტში კვლავ "მკვდარ დეპუტატად" და საკუთარი ბიზნესის ვირეშმაკა ლობისტად იქცევა **(რედ.)**.

# რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს ტერიტორიის კიდევ 6 ჰექტარი მიიტაცეს

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სობისში ორი ადგილობრივის, შალვა და მერაბ ჩილინდრიშვილების კუთვნილ ნაკვეთზე ხორბლის მოსავლის აღება დაიწყეს.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპოდენტი ადგილიდან იტყობინება, ოკუპანტებმა რამდენიმე დღის წინ აღნიშნული ტერიტორია, 6 ჰექტარი მიწა შემოსაზღვრეს, დღეს დილიდან კი კომბაინები შეიყვანეს.

*წყარო: http://www.newposts.ge*

# ოსები საქართველოს ტერიტორიაზე

დღეს საქართველოში არსებულ მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი სწორედ ცხინვალის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოუგვარებელი საკითხია. ქართველ და ოსთა მრავალწლიანი ურთიერთობა გარე ძალის უხეშად ჩარევის გამო სერიოზულად ზარალდება. საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერება ყველაზე მეტად იმპერიალისტური მიზნების მქონე ქვეყნების ინტერესს წარმოადგენს. ამით, პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უთხრიან ძირს, მეორე რიგში, კი ეთნიკურ უმცირესობებს აზარალებენ, ბოროტად იყენებენ საკუთარი დამპყრობლური პოლიტიკის გასახორციელებლად. ნებისმიერი ასეთი კომფლიქტის დროს ჰეგემონ ქვეყნებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და ცალკეულ ხალხთა ბედ-იღბალი არ ადარდებს.

დღეს ცხინვალის ტერიტორია ოკუპირებულია და ოსი მოსახლეობის დიდი ნაწილი პრეტენზიას აცხადებს შიდა ქართლზე, რომ თითქოს ეს ტერიტორია ოდითგანვე მათი საკუთრება იყო და მოითხოვენ მის ავტონომიას. ამ სახის განცხადებებით ისინი ჩირქს ცხებენ ქართველთა და ოსთა ტრადიციულ მეგობრობას, მოყვრულ ურთიერთობას და უპატივისმცელობას იჩენენ იმ სტუმართმოყვარეობისთვის, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა გამოიჩინეს და ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების უფლება მისცეს.

არ შეიძლება განხილულ ან მიღებულ იქნას ის უსაფუძვლო პრეტენზიები, რომლებიც მესამე ძალის წაქეზებით ისმის ოსების მხრიდან და გულისხმობს „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ ავტონომიად გამოცხადებას, უფრო მეტიც, საჭიროა კიდევ ერთხელ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით საკადრისი პასუხი გაეცეს ამგვარ ფანატიკურ მისწრაფებებს და ცრუ ისტორია ერთხელ და სამუდამოდ შეიცვალოს რეალური ისტორიით.

ოდითგანვე შიდა, ქართლი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში მოიხსენიება საქართველოს შემადგენელ ნაწილად, სადაც ძირძველი ქართული ტომები სახლობდნენ. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის აღწერაზე დაყრდნობით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ქართველებით ყოფილა დასახლებული, რასაც, თავის მხრივ, ამოწმებენ იტალიელი მისიონერებიც. ასე რომ XIII საუკუნის შუა ხანებამდე საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მოსახლეობის და მითუმეტეს მათი ახალშენების არსებობა არ დასტურდება. ოსების გადმოსახლება ჩვენს მიწა-წყალზე XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამის მიზეზად მიჩნეულია მონღოლთა ლაშქრობები, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე. ოქროს ურდოს დამარცხებას და შემდგომში ოსთა ქალაქების დარბევას მოჰყვა ოსთა მოძრაობა საქართველოს ტერიტორიისკენ, კერძოდ კი შიდა ქართლის მიმართულებით. მათი გადმოსახლება კი ქართველი მიწათმფლობელური კლასის ექსპროპრიაციას ნიშნავდა, რადგან სწორედ მათ მიწებზე სახლდებოდნენ ჩრდილოელი მეზობლები. ოსების ქართლში ყოფნა 30 წელი გაგრძელდა. XIV საუკუნის დამდეგს საქართველოდან მონღოლთა გაძევების შემდეგ ქართველებმა გიორგი ბრწყინვალეს თაოსნობით ოსებიც განდევნეს ქვეყნიდან. როგორც ჩანს, ეს ორნი ერთმანეთის შეთანხმებით მოქმედებდნენ და საქართველოს წინააღმდეგ ალიანს ქმნიდნენ, ამიტომ ნიშანდობლივია, რომ მათი განდევნა საქართველოდან ერთ პერიოდში ხდება. ამის შემდეგ კი ოსთა კომპაქტური მასები მთელი ორი საუკუნის განმავლობაში არ სახელდება და არც ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც წყაროებიდან ვიცით, ოსთა ახალშენები ქართლის მთიანეთში XVII საუკუნის შუა ხანებიდან წარმოიქმნა. ამას საქართველოში მყოფი რუსი ელჩის ცნობაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც იმ ადგილებში 200-მდე ოსი ცხოვრობდა. ამ ტერიტორიების ნაკლებად ნაყოფიერების გამო ოსები თანდათან სამხრეთისკენ მიიწევდნენ. რა თქმა უნდა, ამგვარი გადაადგილების დროს ქართველ მოსახლეობასთან შეტაკებებიც და სისხლისღვრაც ხშირი იყო. ასე რომ ოსები ზოგჯერ ძალითა და ზოგჯერ მშვიდობიანი გზით ცდილობდნენ დაეკავებინათ იმ ქართველთა ნასახლკარები, რომლებიც მტერთან ბრძოლის დროს დაიღუპნენ. საქართველოს, როგორც ყოველთვის, არც ამ დროს ჰქონდა მოსვენება დამპყრობლებისგან, ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ოსთა უფრო აქტიურ მოძრაობას.

რაც შეეხება ოსების დაბლობში ჩამოსახლებას, ეს პროცესი XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება და მთელი XX საუკუნე გრძელდება. ამ ყოველივეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხელი შეუწყო საქართველოს გარე მტრებთან ბრძოლამ და ქვეყნის მოსახლეობის შემცირებამ. ქართველი თავადები იძულებულნი იყვნენ ყმა-გლეხების გამრავლების მიზნით, რაც შეიძლება მეტი ოსი ჩამოესახლებინათ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი დიდებულები და მათ შორის მეფეებიც კი ცდილობდნენ ოსებისთვის საცხოვრებლად სათანადო პირობების შექმნას. თუმცა, რა თქმა უნდა, გაწეული დახმარების სანაცვლოდ ოსებისგან, პირველ რიგში, ქართველთა მეფის მორჩილებას და დამპყრობლების წინააღმდეგ სამხედრო მხარდაჭერას თხოულობდნენ. როგორც ჩანს, არც პრივილეგიებსა და წამახალისებელ ჯილდოებს არ იშურებდნენ ჩვენი მეფეები. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ერეკლე მეორეს ვინმე ოსი თუჯუკი კუდუღაშვილისთვის აზნაურობაც კი უბოძებია ოსთა საქართველოში გადმოსახლებისთვის. ოსთა ახალშენების წარმოშობის ასეთი მხარდაჭერის, ქვეყანაში შექმნილი რთული საშინაო და საგარეო ვითარების მიუხედავად, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ოს მოსახლების რაოდენობა საქართველოში უმნიშვნელო იყო. მათი მასიური გადმოსახლება ჩრდილოეთ ოსეთიდან შიდა ქართლის მიმართულებით 1860 წლიდან იწყება.

ჩვენთვის მეტად საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით ანზორ თოთაძის წიგნში: „ოსები საქართველოში მითი და რეალობა“. აქ დამოწმებული ცნობის თანახმად, რომელსაც ბროქჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია გვაწვდის, 1880 წლისთვის ჩრდილოეთ ოსეთში 58 926, ხოლო საქართველოში 51 988 ოსი ცხოვრობდა. ეს იმას ნიშნავს რომ 1860-დან 1880 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში კი 30 ათასით. დროის ასეთ მოკლე პერიოდში მოსახლეობის ამ სისწრაფით ზრდა კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილ 20 წლის განმავლობაში ოსთა მოძრაობა არ შეწყვეტილა, პირიქით, უფრო აქტიურად მიმდინარეობდა. სრულიად ვეთანხები ბ-ნ ანზორ თოთაძეს, მართლაც, საგულისხმოა გავითავლისწინოთ ის ფაქტიც, რომ გადმოსახლებულთა დიდი ნაწილი ძირითადად ჯანმრთელი, მხოლოდ ახალგაზრდა შუა ხნის ასაკის მოსახლეობა გახლდათ, რომელთა შორის სიკვდილიანობა დაბალი იყო.

ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლება მთელი XX საუკუნის განმავლობაში გრძელდება, რაც თავისთავად აისახა მათ საერთო ზრდაში. ისინი საქართველოს აღმოსავლეთ ტერიტორიაზეც გადადიან. XX საუკუნის მიწურულისთვის კი მათი რიცხვი მთელი საქართველოს მაშტაბით 160 ათას აღემატება.

ქართველ ხელისუფალთა სურვილის გარეშე ოსი მოსახლეობის ასეთი სისწრაფით ზრდა შეუძლებელი იქნებოდა. მეტიც, რომ არა ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მხარდაჭერა, თანადგომა და კეთილგანწყობა ოსები ვერც კი მოახერხებდნენ ჩვენს მიწა- წყალზე დასახლებას და რაც მთავარია მშვიდობიან თანაცხოვრებას. სწორედ ტრადიციული მეგობრობისა და მეზობლური ურთიერთგაგების შედეგი იყო, ერთი მხრივ, ოსთა მხრიდან საქართველოს მიწა-წყალზე გადმოსახლების სურვილი, მეორეს მხრივ, კი ქართველთა მხრიდან შესაფერისი პირობების შექმნა, ხელშეწყობა და მათი ასეთი ზრდა მთელი საქართველოს მასშტაბით. სამწუხაროა, რომ მესამე ძალის გამოისობით მრავალწლიან მეგობრებს, ქართველებს და ოსებს, სადაო საკითხები დაგვიგროვდა და მასპინძლის მიწის მიტაცების ასეთ ურცხვ მცდელობასთან გვაქვს საქმე.

მესამე ძალა რომ არ ყოფილიყო, ქართველები და ოსები ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით მოახერხებდნენ, ამდენწლიანი ურთიერთობის პატივსაცემად და ურთიერთგაგებაზე დაყრდნობით. თან აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველები ეთნიკურ უმცირესობის ჩაგვრით ან მათი უფლებების შეზღუდვით არ გამოირჩევიან. ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართველებს ოსების მიმართ ძალმომრეობისთვის არასდროს მიუმართავთ და მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირველ დამწყების როლში არასდროს გამოსულან. ამდაგვარი ისტორიული რეალობის მიუხედავად, მესამე ძალის ჩარევამ ასეთ მყარ და მშვიდობიან ურთიერთობას წერტილი დაუსვა. საინტერესოა რ. თოფჩიშვილის მოსაზრება, რომელიც ოსების მიგრაციის შემდგომ, მათი განსახლების ისტორიის სამ პერიოდს გამოჰყოფს. პირველი პერიოდი იყო ოსების ცხოვრება ქართული სახელმწიფოების პირობებში. ზუსტად ამან განაპირობა ქართული კულტურისადმი პატივისცემა და ენის შესწავლა. მეორე და მესამე პერიოდში (ცარიზმისა და საბჭოთა იმპერიის პირობებში) პირიქით დაიწყო ქართველებთან ოსების გაუცხოება. ზედმიწევნით სწორადაა შენიშნული ამ პერიოდების მახასიათებელი ნიშან-თვისებები. სწორედ საბჭოთა კავშირის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ჩატეხა ხიდი ქართველ და ოს მოსახლეობას შორის, რომლის აღდგენაც დღესაც მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ საქართველოში სეპარატისტული ძალების გაძლიერება საბჭოთა კავშირის ლიდერებს აწყობდათ. სრულიად ვეთანხმები მ. ლორთქიფანიძეს და დ. მუსხელიშვილის, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინისადმი მიწერილ, ღია წერილში განვითარებულ აზრს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირმა აფხაზეთსა და ეგრედ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ შექმნა ავტონომიური წარმონაქმნები, როგორც დაყოვნებული ბომბები, რომლებიც უნდა ამოქმედებულიყო თუ ქართველები ოდესმე მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას. როგორც ცნობილია, ამ „ბომბემა“ რუსეთისთვის კარგად იმოქმედეს. ჩვენდა სამწუხაროდ ამ სეპარატიზმის იდეამ საქართველოში ძლიერების აპოგეას მიაღწია.

ე. წ. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთის უშუალო მხარდაჭერითა და ორგანიზებითაა დამკვიდრებული. მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დაამუშავა ოსების შესახებ არსებული თითქმის ყველა ისტორიული დოკუმენტი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1830 წლამდე, როგორც ქართულ ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში „ჩრდილოეთ“ ან „სამხრეთ“ ოსეთის გამოყენების არც ერთი პრეცენდენტი არ ჩანს. ხოლო XIX საუკუნის 60-იან წლებიდან ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ უკვე ხშირად გვხვდება და მის დანერგვაში დიდი წვლილი რუს მოხელეებს მიუძღვით. 1843 წელს კი თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი“. როგორც მოგეხსენებათ, ამ დროს საქართველოს მართვა-გამგეობა მთლიანად რუსი მაღალჩინოსნების ან მათი ნდობით აღჭურვილ პირთა ხელში იყო გადანაწილებული. აქედან გამომდინარე მოხერხდა ასეთი აბსურდული ოკრუგის დაარსება. რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი ქართული ნაციონალური ძალების დაუკითხავად და სურვილის წინააღმდეგ იყო გადადგმული და ჩვენი ქვეყნის დაშლას, დანაწილებას ემსახურებოდა. თუმცა ეს სულაც არაა სეპარატიზმის გაძლიერების საბოლოო აკორდი. ამის შემდეგ უფრო აქტიურად განაგრძეს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური სტატუსისთვის ბრძოლა. განსაკუთრებით მწვავე იყო XX საუკუნის 10-იანი წლები. 1917 წელს ცარიზმის დამხობასა და კავკასიელი ხალხის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შემდეგ ოსებმა ჯავაში ჩაატარეს „სამხრეთ ოსთა“ დელეგატთა პირველი ყრილობა. ისინიც სხვა კავკასიელი ხალხის მსგავსად ითხოვდნენ თვითგამორკვევის უფლებას. მართალია, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, თუმცა ქვეყანაში ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი იყო. რუსეთი კი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ ქართველებს უფრო და უფრო ბევრ პრობლემას უქმნიდა. ყველაზე ნაირად ცდილობდა, რომ ჩვენი ქვეყანა არ ჩამოყალიბებულიყო ერთიან, ძლიერ სახელმწიფოდ. სწორედ ამის გამოძახილი იყო ის, რომ ჯავაში გამართული ყრილობიდან ერთი წლის შემდეგ ბოლშევიკების თაოსნობით მოეწყო ოსთა მეორე ყრილობა. ამ პერიოდში ისინი აქტიურად ცდილობდნენ ოსეთში საკუთარი ძალების თავმოყრასა და იქ რუსეთის ინტერესების გატარებას. ბოლშევიკები თავს არ ზოგავდნენ იმისთვის, რომ ხელოვნურად შეექმნათ ეს ავტონომიური წარმონაქმნი. ავრცელებდნენ აბსურდულ ციტატებს, რომ თითქოს მენშევიკი ნაციონალისტები დაუნდობლობას იჩენდნენ ოსების მიმართ და მუდმივ ზეწოლას ახდენდნენ მათზე. რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა და მტკნარინ სიცრუე იყო. თვითონ ოსებს ამდენწლიანი ურთიერთობის განმავლობაში არასდროს არ უგვრძნიათ ქართველების მხრიდან აგრესია. ომის ან კომფლიქტის წამომწყებნი ჩვენ არასდროს ვყოფილვართ. 1920 წელშიც ოს აჯანყებულთა განეიტრალება და სისხლისღვრა მხოლოდ იმ უკიდურეს ვითარებიდან იყო გამოწვეული, რომელიც ისევ და ისევ რუსეთის წაქეზებით შექმნეს ოსმა ავანტიურისტებმა. უკიდურეს ვითარებაში ვგულისხმობთ 1918, 1919 წლებში არსებულ ორ აჯანყებას და უკვე 1920 წლის მესამე აჯანყებას. ამ უკანასკნელს კი თან ახლდა ოსების მიერ რუსეთის ხელისუფლების აღიარება შიდა ქართლის, ცხინვალის ტერიტორიაზე. ეს კი ჩვენი ქვეყნის საზღვრების უკანონოდ მიტაცებას გულისხმობდა და უპასუხოდ ვერ დარჩებოდა.

1910-იან, ასევე 1990-იან წლებში არსებული კონფლიქტებისა და დაპირირსპირების მაგალითზე დაყრდნობის მიუხედავად, სამწუხაროდ, არ გვეყო არც გამოცდილება და არც გამჭრიახობა, რომ 2008 წლის აგვისტომდე იგივე შეცდომები არ დაგვეშვა და საბოლოოდ ვითარება კიდევ ერთ სამხედრო დაპირისპირებამდე არ მიგვეყვანა. ვერ შევძელით ვერც ქართველებმა და ვერც ოსებმა, რომ საუკუნეების განმავლობაში მეგობრულად მყოფნი ისევ ძველ ფესვებს დავბრუნებოდით. აგვერჩია ტრადიციული მშვიდობიანი გზა, ყოველგვარი გართულებებისა და ექსესების გარეშე. მიუხედავად ოსების ასეთი აგრესიისა დღეს საქართველოს რეგიონებში: ქვემო ქართლში, კახეთში, ქვემო სვანეთში, მცხეთა მთიანეთში ცხოვრობს ოსი მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც თვითონაც გაემიჯნენ თანამომძე სეპარატისტებს. დღეს მათ საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნიათ და ქართული გარემო აქვთ გასიხლხორცებული. ოსების ეს კატეგორია იგივე პირობებითა და უფლებებით სარგებლობს როგორც საქართველოს მთლიანი მოსახლეობა. საბჭოთა კავშირის დამპყრობლური პოლიტიკით შეპყრობილმა ტირანებმა და ოსმა სეპარატისტებმა ვერ შეძლეს მათი მოუტყეება და ვერ მოახვიეს თავს ცრუ-იდეოლოგიური პროპაგანდა.

ეჭვგარეშეა, რომ შიდა ქართლის მიმდებარე ტერიტორია ოდითგანვე ძირძველი ქართველი ტომებითაა დასახლებული. ამ ფაქტს ამყარებს იქ აღმოჩენილი ნებისმიერი არქეოლოგიური ძეგლი, ეპიგრაფიკა, ტოპონიმები თუ ენობრივი მასალა და ცხადყოფს, რომ ოსთა კომპაქტური ჩამოსახლება XVII საუკუნიდან იწყება. არანაირი „სამხრეთ ოსეთი“, მით უმეტეს, მის დამოუკიდებელ ავტონომიად არსებობა ქართველთა ცნობიერებაში არ აღიქმება და რჩება მტკნარ სიცრუედ და ისტორიის გაყალბებად. ამ რეგიონში არსებული კონფლიქტები და დაპირისპირებები ყველაზე მეტად ქართველ და ოს მოსახლეობას აზარალებს. ამიტომ ორივე მხარეს გვამრთებს გონივრული გადაწყვეტილების მიღება და ისეთი გზის არჩევა, რომელიც კვლავ მშვიდობიან თანაცხოვრებამდე მიგვიყვანს.

**გიგი გივიშვილი**
*თსუ მე-3 კურსის სტუდენტი*

*(ავტორს მითითებული აქვს გამოყენებული ლიტერატურა - რედ.)*

# გიორგი ოვაშვილის ფილმი „ხიბულა“ ...

კვირის საინფორმაციო გადაცემა პოსტკრიპტუმით "რუსთავი 2"-ზე გავიდა სიუჟეტი გიორგი ოვაშვილის ფილმზე "ხიბულა". ამ ფილმის გადაღების გაცხადებასთან დაკავშირებით პატარა სტატია გამოვაქვეყნე ჩემს გაზეთში 2015 წელს (იხ.გაზეთი „განმათავისუფლებელი“, N44, გვ. 13). ფილმის სრულყოფილი ჩვენება დაანონსდა 2017 წლისთვის. მანამდე, ცხადია სრულად ვერაფერს ვიტყვით ფილმზე, გარდა ერთი გამოკვეთილი შტრიხისა, რომ ფილმში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი წარმოდგენილია სულიერად და ფიზიკურად გატეხილი, შეშინებულ-დამარცხებული ანტიგმირი, რის დასტურადაც „რუსთავი 2“-მა ფილმს დაურთო პრეზიდენტის ე.წ. ბუნკერის კადრი, სადაც ზვიადის გამომეტყველებაში ასახულია შეძრწუნება სამხედრო გადატრიალების და ძმათამკვლელი ომის დაწყებით...

რაც შეეხება პრეზიდენტის სამეგრელოში დაბრუნების (როგორც ოვაშვილს დაუთვლია) 50-დღიან პერიოდს, ჩვენს მიერ გადაღებულ ფილმის („ზვიადის გოლგოთა“) სიუჟეტებში ყველა თვითმხილველი მოწმე და თანამებრძოლი ადასტურებს, რომ პრეზიდენტი გამსახურდია მთელი დევნილობის განმავლობაში იყო მხნედ და ტყე-ღრეშიც კი გაწკრიალებულ კოსტუმში (თეთრი პერანგით, გაპარსული) დადიოდა.

გასაგებია, რომ ოვაშვილის ნამუშევარი საერთაშორისო ფესტივალებზე გასამარჯვებლად გადაღებული მხატვრული ფილმია, ხოლო ჩვენი კი, დოკუმენტური ფილმი. ჩვენი ფილმის

- სახელწოდებით „ზვიადის გოლგოთა“ - დასრულება და მონტაჟი, სამწუხაროდ დღემდე ვერადავერ ხერხდება დაუფინანსებლობის გამო...

მოუსმინოთ გიორგი ოვაშვილს: "ეს ისტორია უნივერსალურია და აქვს პოტენციალი, რომ განზოგადდეს. ეს არის შემთხვევა, როცა ხალხი ირჩევს ლიდერს და შემდეგ თვითონვე ანადგურებს თავის რჩეულს.ფილმი, პირველ რიგში, იქნება ადამიანის სულიერ მოგზაურობაზე შინაგან სამყაროში, იმ ფონზე, როგორც მას მოუწია ცხოვრების ბოლო დღეების გატარება, როგორც ძალაუფლებადაკარგულ ხელისუფალს. ეს არ არის ისტორიული ფაქტების თუ მოვლენების ილუსტრირება. ვიცით, ეს შეიძლება სადავო გახდეს ქართველი მაყურებლისთვის, მაგრამ ჩვენ მხატვრულ ფილმს ვაკეთებთ და არა დოკუმენტურს. ამიტომ ჩვენი ამოცანა არ არის იმის კვლევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, როგორ დაასრულა სიცოცხლე ზვიად გამსახურდიამ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი."

ამადაც, ხალხის რჩეულ ლიდერს, ოვაშვილის სცენარის მიხედვით, თავად ხალხივე ანადგურებს და არა იმპერიების თუ სუპერ-სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტა, რომლებსაც აღიზიანებთ და სძულთ თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირები.

ფილმის სცენარის ბოლო ვარიანტზე ჰოლანდიელი სცენარისტი რულოვ იან მინებო მუშაობს, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა და რეჟისორთან ერთად დეტალურად გაუვლია გზა ზუგდიდიდან ხიბულამდე, რაც ფილმში იქნება ნაჩვენები. 2012 წელს ხიბულას სცენარმა გაიმარჯვა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რეჟისორის თქმით, ამ ისტორიაში არ იქნებიან პრეზიდენტის ოჯახის წევრები. ეს არის ისტორია, როდესაც პრეზიდენტი იმყოფებოდა თავის გარემოცვასთან ერთად, რომელშიც შედის პრემიერ მინისტრი და დაცვის წევრები. რეჟისორი ზვიად გამსახურდიას ოჯახსაც შეხვედრია და უსაუბრია მასთან. რეჟისორის თქმით, თუ ჩვენ ფილმში დავსვამთ კითხვას, თუ ვინ და რატომ მოკლა პრეზიდენტი გამსახურდია და ამ მიმართულებით ვივლით, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჩავრჩით დროში და წინ ვერ ვივლით.

დიახ, ასე! ოვაშვილის წარმოდგენით „წინსვლა“ შესაძლებელია ისტორიის ამოტრიალებით ან გამრუდებით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების დამარცხებულ-ანტიგმირებად წარმოჩენით, რათა კი არ აღგაფრთოვანონ, არამედ დრამამ სიბრალული აღძრას თქვენში (მაყურებელში).

ამადაც, რეჟისორ ოვაშვილისეულ პარლამენტის გრძელი დერეფნის კადრში პრეზიდენტი ჩნდება დაჩაჩანაკებული, რომელიც შინდისფერ ხალიჩაზე იხდის ძველ, შემორღვეულ ტალახიან „ბატინკებს“ და შიშველი ფეხებით მტკივნეულად გაივლის დამხვდურებს შორის, რომლებიც მას გამამხნევებელი ტაშით ხვდებიან, მაგრამ პრეზიდენტს აფრთხობს ტაშიც...

საწყის წერტილზე დაბრუნებით, ძალაუფლებადაკარგული უმაღლესი ხელისუფალი, თვითგამორკვევის და გადაფასების მტკივნეულ გზას გადის... ასეთია რეჟისორის ჩანაფიქრი!

პრეზიდენტის როლის უცხოელ შემსრულებელზე კი ერთს ვიტყვი მხოლოდ: იგი ზვიადის სრულ ანტიპოდია!

**ლეილა ცომაია**

## კადრში...



რუსთავი 2 -ზე გადაცემა ,,პოსტკრიპტუმში“ ჩემი ყურადღება მიიქცია ფილმ ,,ხიბულას“ განხილვამ.

ფილმს იღებს ბოლო დროს კარგად ცნობილი რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, რომელმაც კანის ფესტივალზე მისი სადებიუტო ფილმებით ,,გაღმა ნაპირი“ და ,,სიმინდის კუნძულით“ გამარჯვება მოიპოვა. ნაყურები ვიყავი რა მის ფილმებს დავასკვენი , რომ ამის გადამღებმა, ზვიადზე კინო როგორ უნდა გადაიღოს და თუ გადაიღებს ისიც ისეთნაირი იდიოტიზმი იქნება, როგორც მისი ზემოთ ხსენებული პირმშოები -მეთქი. ან კი ზვიადზე რა იცის ოვაშვილმა, როდესაც ჯერ საქართველოს ვერ და არ შეუფასებია ზვიადის ფენომენი? ოვაშვილი თურმე 2010 წლიდან ჰოლანდიელ სცენარისტ იან მინებოსთან ერთად მუშაობს ფილმზე. ოვაშვილი თურმე დიდი ხანი ეძებდა საქართველოში ზვიად გამსახურიას ტიპაჟს, მაგრამ თურმე ვერ ნახა და გადაწყვიტა უცხოეთში განეგრძო ძიება, მაშინ როცა, საქარღველოში ათამდე მაინც მოიძებნება ზვიადის როლის შემსრულებელი ტიპაჟი, მაგრამ შარშან ისევ „რუსთავი 2“-ს გადაცემა ,,პოსტკრიპტუმში“, ოვაშვილი აცხადებს, რომ მან არჩევანი ორ უცხოელ მსახიობზე შეაჩერა. ესენი არიან: ფრანგი მსახიობი -ჟან რენო და დანიელი -მედს მიკელსენი. მაგრამ დღეს უკვე ვგებულობთ, რომ რეჟისორმა არჩევანი ირანელ მსახიობ ვინ-

გაგრძელება გვ. 8

# ქაჯეთი...

დასაწყისი გვ. 7

მე - ჰოსეინ მაჰჯუბზე შეაჩერა.

ახლა განვიხილოთ თვით ის პატარა ანონსი რომელიც ,,პოსტკრიპტუმმა“ მოგვაწოდა.

მომენტი პირველი: სადაც კადრში გამოჩნდებიან რიგში ჩამწკრივებული პატარა ბავშვები, რომლებიც პრეზიდენტს ნახევრად წამღერებით მიესალმებიან. ეხლა გეკითხებით თქვენ-ქართველნო, სად ნახა ოვაშვილმა ზ. გამსახურდიას ცხოვრებაში ისეთი მომენტი, სადაც ბავშვები მწკრივში განგებ ჩაყენებულნი პრეზიდენტს ესალმებოდნენ? თანაც იქ სამეგრელოში 1993 წელს ბავშვს გარეთ ტყეში ზვიადის შესახვედრად და სასკანდირებლად ვინ გაუშვებდა?

მომენტი მეორე: ბავშვები სკანდირებენ სიტყვებს: ,,გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს!“ ხომ არ გახსენებთ რამეს? დიახ მეგობრებო, ეს არის ნიაზ დიასამიძის შესრულებული სიმღერა ,,ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს!“-დან აღებული და ინტერპრეტირებილი ფრაზა.

მომენტი მესამე: კარგად დააკვირდით მთავარი როლის შემსრულებელს ჰოსეინ მაჰჯუბს. ეს რა იდიოტიზმი გვჭირს? სად ვინმე მაჰჯუბის ფიზიოგნომიკა და სად სად ზვიადის? კაცისა, რომლის ფიზიკური აღნაგობა, თავად იყო სანთელივით, თავისი ცხოვრებაც სანთელივით იწვოდა რათა დაბნელებული საქართველო გაენათლებინა და სანთელივითვე ჩაიღვენთა სიცოცხლის ბოლოს. მაჰჯუბი სახიერად მაინც იყოს მიმგვანებული? ადამიანი, რომელსაც სახეზე ჰქონდა აღბეჭდილი მთელი ქართული ცივილიზაციის სიბრძნე და მისტერია, ქრისტესმიერი ტანჯული ცხოვრება და მისი მისიონერული ღმრთისეული თანამდებობა. თვალები? ეს უმთავრესი ელემენტი იყო ზვიადის პორტრეტში. ძირითადად, როცა მხატვარი ვინმეს პორტრეტს ხატავს პირველ რიგში თვალებით იწყებს, რეჟისორიც ასეა, რადგან მან უნდა გამოხატოს წარმოდგენილი გმირის ანალოგია. ან, სიმაღლით მაინც? ნებისმიერ ერს ჰყოლია გმირები და ყველა არ იყო ტანმაღალი და ისეთი შესახედაობის, როგორც ეს ვიზუალურად წარმოედგინა ადამიანს, მაგრამ როცა ხატავენ გმირის ტიპიურ სახეს, მხატვარი და რეჟისორი ცდილობს როგორმე ამ გმირის ფიზიონომია გამოხატოს მისი საგმირო საქმეებიდან გამომდინარე შესაბამის რეალურ ფიზიკურ პლანში და ცდილობენ მათი ნაციონალური ისტორიული პროპაგანდა ამით უფრო აღმატებული გახადონ. ჩვენს შემთხვევაში კი ასეთი მანიპულირება არც იყო საჭირო, რადგან ზვიადი იყო ზვიადი - საქმითაც, ცხოვრების სტილითაც და ფიზიონომიური მონაცემითაც. და რა ქნა ამ ოვაშვილმა? ადგა და ამ გიგანტი -ბუმბერაზი პიროვნების მაგიერ ჩია - მაჰჯუბი აირჩია. უნდა დავსვა შეკითხვა, რომელსაც ბავშვებს უსვამენ ორი ნახატის იდენტურობის გამოსარჩევად: ,,ააბა ბავშვებო, კარგად დააკვირდით ამ ორ ფოტოს და მიპოვეთ თუნდაც ერთი შესაბამისობა ჩემს მიერ წარმოდგენილ საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფოტოსა და მისი როლის შემსრულებელ ჰოსეინ მაჰჯუბს შორის.



სად არის აქ რეჟისორის თვალთახედვა? ჟან რენო მაინც დაემტკიცებინათ? მაგრამ რენო თანხაზე არ დათანხმდებოდა და გამოეძებნეს „იაფიანი შემსრულებელი“ . ხომ არ გებადებათ ეჭვი, თუნდაც ამ პატარა ანონსიდან, რომ ამ ფილმში ზვიადის უკან ვიღაც იდუმალი პიროვნების წარმოჩენა ხდება? ვისი? მე პირადად დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ როლის უკან იმალება ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის - მიშას პროტოტიპი. რანაირად? აბა კიდევ კარგად ნახეთ კადრები სადაც ბავშვები სკანდირებენ. ეს ხომ მიშას სტილია? მიშას პროპაგანდაა და თანაც რას გაიძახიან? ,,გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს!“ (ცნობისათვის, მიშატირანს სუფრებზე სტანდარტულად უმღეროდნენ სამ სიმღერას: ,,მიშა მაგარია“ ,,ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს“ და ,,ჩემი გმირი გიწოდე...“)

ან კიდევ ის მომენტი, სადაც რუსი გენერალი ბრძანებით სტილში ეუბნება გამსახურდიას ,,უცილობლად უნდა ,,აახვიოთ“ ქვეყნიდანო“, სადაც რუსული იმპერიული ხელი იკვეთება. ესეც მიშას სტილია. ან კიდევ რა უნიჭოდაა ჩასმული ნიაზ დიასამიძის სიმღერის მოწოდებითი წინადადება. თანაც ეს ძველბიჭური, ჯაზმენური სტილის ,,პატრიოტული“ სიმღერა? არა, მეგობრებო, ასე სამშობლოს სიყვარულზე და მითუმეტეს, ბრძოლისაკენ მოწოდება არ იმღერებოდა საქართველოში. ამ სიმღერას როცა ვუსმენ, უნებლიედ მახსენდება 90-იანი წლების საბრძოლო ფილმებით გამოსიქინებული მარიაჟი ახალგაზრდები, რომლებიც თავზე ბენდენა წაკრული, სათვალეებითა, წვერებ მოშვერილი და ავტომატით ხელში (რემბოს სტილში), ჯერ თბილისი დაანგრიეს, შემდეგ სამეგრელო 6-ჯერ ააწიოკეს და ბოლოს აფხაზეთი. და მღეროდნენ: ,, ქართლ- კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩვენი სამშობლოა სამეგრელოს გარდა!„(ამის ცოცხალი კადრებიც არსებობს).

უცებ გამახსენდა ერთი რეალური ამბავი:

,,საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ბატონმა რეზო ჩხეიძემ თათბირ-სემინარი ჩაატარა დიდი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტეს საავედრას „დონ კიხოტის“ ეკრანიზაციის შესახებ. „ქართული ფილმი“ ესპანელ კოლეგებთან ერთად აპირებს ამ ნაწარმოების გადაღებასო, აღნიშნა ბატონმა რეზომ. ნოდარ დუმბაძე გრძელი მაგიდის კუთხესთან იჯდა, ხმას არ იღებდა და საგულდაგულოდ ქაღალდის ფურცელზე ფანტასტიკურ ფიგურებს ხაზავდა. რეზო ჩხეიძემ თან ინგლისელი კოლეგა, გამოჩენილი კინორეჟისორი მოიყვანა, რომელიც იმჟამად საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა. სტუმარმა შეკრების მიზანი რომ გაიგო, გაიოცა - თუ კლასიკოსის გადაღება გნებავთ, შორს სადღა მიდიხართ, თქვენი ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთო. ბატონმა რევაზმა დიპლომატიური ღიმილით მიუგო, რომ „ქართული ფილმი“ ჯერ ვერ გრძნობდა თავს საკმაოდ მომზადებულად ასეთი დონის ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის. - ჩვენ კი ისე „გავთავხედდით“, - განაგრძო ინგლისელმა კოლეგამ, - „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება, და ისე შორს შევტოპეთ, რომ მსახიობებიც კი შევარჩიეთ. - ვინ არიან ეგ მსახიობები, თუ საიდუმლო არ არის? – იკითხა ბატონმა რეზომ. - ვინ და, თინათინი – ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანი – სოფი ლორენი, ტარიელი – პიტერ ო'ტული, ავთანდილი – ალენ დელონი, ფატმანი – ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონი – ენტონი ქუინი (ისე , კაცმა რომ თქვას შესანიშნავი ნაკრებია - დ.თორდია) - რაღა ერთობლივი ფილმია, თქვენ გადაგიღიათ და ეგ არის! – ჩაილაპარაკა ვიღაცამ. – საკითხავია, ჩვენ ვინღა ვითამაშოთ? - როგორ თუ ვინ?! – უცებ საუბარში ჩაერთო ნოდარ დუმბაძე. – იმდენ ქაჯებს თამაში არ უნდა? ვითამაშოთ ის ქაჯები და ვიყოთ ასე!

ჰოდა, ეხლა ამ ქაჯებს მინდა მივმართო, იმავე პოსტკრიპტუმისეული პასუხით:

p.s. ზვიადის სახელი თქვენი შესაბღალი არაა! უფრო მეტიც, ამ ფილმის გადაღება და ჩვენებაც კი შეურაცმყოფელი იქნება არა მარტო ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიმართ, არამედ სრულიად საქართველოსთვის (ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტად მოაზროვნე ქართველთათვის), რადგან ზვიადი იყო ადამიანი, რომელშიც ჩაქარგული იყო საქართველოს სულიერი მისია, რომელსაც თქვენ თქვენი ჭუჭყიანი ხელებით და ქაჯური მენტალიტეტით ეფათურებით. თქვენ რა იცით ზვიადი ვინ იყო? ზვიადი იმოდენა დიდია, რომ ვერც კი წარმოგიდგენიათ! მახსენდება ზვიადის საპროტესტო წერილი ვაკეში დადგმული კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის მიმართ. მაგრამ მაშინ ზვიადისთვის არც კი უკითხავთ ისე გადაწყვიტეს მისი დადგმა და ზვიადმა უკვე დამონტაჟებული ძეგლი იხილა.

აქედან გამომდინარე მივმართავ ზვიად გამსახურდიას ოჯახს. იქნებ არც თქვენ გაგიგიათ ამ ფილმზე რაიმე, მაგრამ, დღეიდან ხომ გეცოდინებათ. ჩვენ- ხალხს ეს არ შეგვიძლია,

გაგრძელება გვ. 12

# ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიამ ,,თბილისის დეკლარაცია’’ დაამტკიცა

27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას, აფხაზეთის დაცემის 23-ე ჯვარცმის წელს ავღნიშნავთ. ეს ცნობილი ისტორიაა, მაგრამ მომავალშიც თუ ასე გაგრძელდა, წუხილსმიცემული, ნებათავისუფალი თაობები, ნებააყრილების სახელით მოგვიხსენიებენ, უთუოდ. არც დრო არ გვაპატიებს იმას, რომ ისკარიოტელი იუდას ნაშიერებმა ჩვენ ყველას ერთად თავზე გადაგვახიეს დამოუკიდებლობის აქტი და ბითუმად გაგვიყიდეს სამშობლო.

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან დაკავშირებით, 23 წლის მანძილზე უამრავი დეკლარაცია და რეზოლუცია იქნა მიღებული, როგორც ეუთო-ს ისე გაერო-ს მიერ, მაგრამ სამწუხაროდ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს არც ერთი არ შეუსრულებია, ისევე როგორც არ შეუსრულებია საქართველოსთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება 250 წლის მანძილზე. ამჯერად, იმ უამრავ დოკუმენტს, 2016 წლის 1-5 ივნისის „თბილისის დეკლარაცია“-ც დაემატა, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუციებს მოვუწოდებთ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად, იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც დაამტკიცეს ხსენებული დეკლარაციები.

**ნუგზარ მგალობლიშვილი**

*ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესის მიერ, დასკვნით პლენარულ სხდომაზე, 122 ხმით 6-ის წინააღმდეგ, მიღებული „თბილისის დეკლარაცია“ :*

კონფლიქტი საქართველოში

1. ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ეუთოს ყველა ნორმის, პრინციპისა და ვალდებულების, ჰელსინკის დასკვნითი აქტის, პარიზის ქარტიის, 1992 წლის ჰელსინკის დეკლარაციის, 1994 წლის ბუდაპეშტის დოკუმენტის, 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტის და 1999 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული ევროპის უსაფრთხოების ქარტიის მიმართ სრულ მხარდაჭერას,

2. იხსენებს, რომ ეუთო, რეგიონული შეთანხმების მიხედვით, გაეროს ქარტიის მე-8 თავის შესაბამისად, წარმოადგენს წამყვან ორგანიზაციას თავის რეგიონში არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებში,

3. ხელახლა უცხადებს მხარდაჭერას საქართველოს სუვერინტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში,

4. ხაზს უსვამს ძალისხმევის გაძლიერების მნიშვნელობას საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანად, მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის გაეროს წესდებისა და პოლიტიკურად სავალდებულო ჰელსინკის დასკვნითი აქტის სრული პატივისცემის პირობებში და ყოველგვარი ესკალაციის, მუქარისა და ძალის გამოყენების პრევენციით,

5. ხაზს უსვამს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას, როგორც 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად ერთადერთ ფორმატს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების განსახილველად,

6. გამოხატავს მწუხარებას, რომ მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მოწოდებებისა, რუსეთის ფედერაცია განაგრძობს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უგულვებელყოფას და საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის მიმართ, ე.წ. ინტეგრაციის ხელშეკრულებების გამოყენებით, ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკის განხორციელებას,

7. ითვალისწინებს მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ ვითარებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალში/სამხრეთ ოსეთში

8. გამოხატავს შეშფოთებას იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მუდმივად არიან მოკლებულნი მათი წარმოშობის ადგილზე ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ, ღირსეულად და შეუფერხებლად დაბრუნების შესაძლებლობას, ისევე როგორც საკუთრების უფლებას,

9. გმობს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების და მიწაყრილების აღმართვის პროცესს, რითაც ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ერთმანეთისგან გაყოფა და მათი ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა. მათ შორის, და არა მხოლოდ, ისეთი უფლებების, როგორიცაა თავისუფალი გადაადგილების, ოჯახის, საკუთრების, მშობლიურ ენაზე განათლების და სხვა სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების,

10. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 2009 წლიდან, საქართველოში ეუთო-ს მისიის და საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) დახურვის შემდეგ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) არის ადგილზე მყოფი ერთადერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მექანიზმი, რომელიც სამწუხაროდ ვერ ახერხებს სრულად განახორციელოს მინიჭებული მანდატი, ვინაიდან შეზღუდული აქვს წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ცხინვალის (სამხრეთ ოსეთის) რეგიონზე.

11. მოუწოდებს, რუსეთის ფედერაციას დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები, სრულად და კეთილსინდისერად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შესახებ შეწყვეტის შეთანხმება და პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში,

12. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება და შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია,

13. სრულად უჭერს მხარს ეუთოს გერმანული თავმჯდომარეობის და ეუთოს კონფლიქტების პრევენციის ცენტრის ძალისხმევას გააგრძელონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეუთოს მრავალმნიშვნელოვანი მისიის აღდგენის შესაძლებლობის განხილვა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეუთოს ჩართულობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში, ისევე როგორც ნდობის აღდგენის ღონისძიებების განხორციელებაში,

14. მოუწოდებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს კონსტრუქციული ჩართულობისკენ, რათა მოხდეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ძირითად საკითხებზე პროგრესის მიღწევა,

15. მოუწოდებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს პატივი სცენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და რეაგირება მოახდინონ უმცირესობათა ლეგიტიმური შეშფოთებების თაობაზე,

16. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ საქართველოს მიერ ცალმხრივად აღებული პირობის საპასუხოდ, შეასრულოს ძალის გამოუყენებლობის სამართლებრივი ვალდებულება,

17. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ დაუშვას იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უსაფრთხო, ღირსეული და შეუფერხებელი დაბრუნება მათი წარმოშობის ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა და შესაძლებელი გახადოს ადგილზე ადამიანის უფლებების მონიტორინგის განხორციელება,

18. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას დაუშვას საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უზრუნველყოს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შეუფერხებელი წვდომა;

19. მოუწოდებს ეუთოს გააორმაგოს ძალისხმევა, რათა გაძლიერდეს ორგანიზაციის ჩართულობა საქართველოში, გაზარდოს მისი როლი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, მათ შორის, ხელი შეუწყოს შერიგების პროცესს ადგილზე ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებით.

## ალასანიას ღიმილი...

შენიღბული რუსეთუმე ირაკლი ალასანიას სატრფიალო შეხვედრის კადრი ლადო ბედუკაძესთან მის პოდპორუჩიკ-ღმეჭია ზაზა დავითაიას ფონზე...

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი  გ ვ ე რ დ ი

# ბელა შალვაშვილი

## დავალ და ვეძებ

სად არის იგი საქართველო,
მიყვარდა რომელ,
სად არის იგი საქართველო,
მწამდეს რომელიც....
ძველ იბერიას რომ მოჰგავდეს,
ის ქართლი მომეც,
ღმერთო! ხორცით კი დააპურე
ხორცის მდომელი!
ძმა რომ ძმას ზურგში მახვილს უყრის,
ბევრს აღარც უკვირს,
მე ეს ყოველი ზვავად მაწევს
უმწეო ქედზე,
ლამის ავვორთქლდე ყოფითობის
ჭრელი რუკიდან,
საქართველოში საქართველოს
ჩირაღდნით ვეძებ;
დავალ სულ და ხორც დაგვემილი,
მე რომ მებადა,
აი, იმ მიწას მიყიდიან
ღორის ხორცივით...
შემოგღაღადებ მამულისთვის
დამბადებელო,
მარადის მისი ყოფნის დარდით
დარდ ვერმოცლილი.
მე საქართველოს ტრფობის კეხი
მადგია ქედზე,
მამულის ტრფობა, არ ვიცნობი სხვა რამ ხელობით...
საქართველოში საქართველოს დავალ და ვეძებ,
ჩირაღდნით ვეძებ საქართველოს
საქართველოში.

## საბოლოოს

შენ, უმწარესო ჩვენო ტკივილო,
შენც მოწყვეტილო მშობელის კალთას,
რით განუგეშო, რით ვინუგეშო,
არარა მრჩება წუხილის გარდა.
ვერ მოგიარე, ვერ მოგეფერე,
მეპოტინება დარდი – ჭაობი
და საიქიოს მივეშურები –
დამძიმებული სააქაოთი.
სხვებიც დავკარგეთ, ჟამმა ბედითმა
თავზე მრავალი ჭირი გვაწვიმა...
სხვათა დაკარგვამ, მოაქამომდე,
შენი თავი ვერ გადაგვავიწყა.
და შენიანად თუ უშენობით
ისე მწარეა წუთისოფელი,
ცხადლივ–მალულად ვარ ყოველივეს
და ყველაფერის უარმყოფელი.
მითენდება და – მაინც ღამეა,
ავად ტრიალებს სულში ქაოსი...
და საიქიოს მივეშურები
დამძიმებული სააქაოთი.

## რად მოგვიწოდეს

იმ შორეული იაპონიით –
გუნდი მოვიდა იაპონელთა,
ქართულ სიმღერებს მღერდნენ ქართულად,
მშვიდად ვერასგზით ვისმენ რომელთაც;
ის ერთი ჰანგი მაინც სხვა იყო, –
უცხო სტუმრების ბაგით ნამღერი –
„ქართველო, ხელი ხმალს იკარიო“,
ითქვა და კიდეც იძრა ნაღველი;
სიმღერა ესე სხვაგვარად ისმის
ნამღერი შორით მოსული გუნდის...
სიტყვები ეგე, – უცხოს ნამღერი
მოწოდებაზე მეტსაც კი უდრის;
დავკარგე ვანი, ვერსად ვჩერდები,
ბორგვა–შორშოფით ვხვდები ალიონს...
რად მოგვიწოდეს იაპონელთა –
„ქართველო, ხელი ხმალს იკარიო!“

## არასგზით

გიორგიწმინდის ბოლოზე
დგას მარტოსული ატამი,
თუმც... მარტოსული რად ეთქმის
ამ ყვავილობაატანილს;
რაც კი ყვავილობს ალალად
და თანაც – ვარდისფერებად,
მარტოსულიო, მის ყოფას
არასგზით შეეფერება!

## ცხადით

ფერად სიზმრებში ვიყავი წუხელ, –
ფერადი ლერწმის ღეროებს ვთლიდი,
არ ბოგინობდა ნაგლეჯი მწუხრი, –
გალობდა ასი ფერადი ჩიტი.
მაფერადებდა ნარნარი მდელო,
მოფერადობდა ათასი ღელე...
და ვით ყვავილის ორ ლამაზ ღეროს,
ვიღაცას ხარბად ვუწვდიდი ხელებს...
ფერად ფრინველთა გუნდი რომ იძრა
და მათთან ფრენის ავყევი წადილს,
გამომეღვიძა და ცხადად ვიგრძენ, –
რა ძნელი არის ცხოვრება ცხადით.

## ქეთევან წამებული

ვარდების, სინაზის,
პოეტთა შირაზი,
შენ კი შემოგბედეს
შანთი და მარწუხი...
ქეთევან! – ტირიან
ქართველი დედები,
მეც შენი იარა მაწუხებს;
ვარ შენი რწმენის და
სიწმინდის მორჩილი,
მინდა შენ გედარო...
მე მარჯვენს მოგისვამ
მკერდზე და მორჩები,
მორჩები ნეტარო!
მაგრამ ის მაოცებს,
მაგრამ ის მაწუხებს, –
სინაზისა და ვარდების
შირაზში...
როგორ შემოგბედეს,
ვითარ შემოგბედეს
დედოფალს
შანთი და მარწუხი!

## სათნოებას ებადების

სიმწვანეა ირგვლივ გულის გასახარი,
სიმწვანეში ძლივსღა ვხედავ ატენს,
დგას ასკილი, – ვარდის შორი წინაპარი
და მიდამოს სინაზესა ჰმატებს.
არაფერი უჩვეულო არა ხდება,
ასკილის ტოტს ანანავებს ქარი...
და ასკილი, ძალზე ცხადად მეჩვენება,
არის უფლის დანთებული კვარი.
არაფერი უჩვეულო არა ხდება,
მაგრამ ყოფნა მიხარია ერთობ...
მით უფრო, რომ ყვავილები –
მიწის გზნება,
მრავალისმთქმელად მოჰფენია ფერდობს.
და ყოველი არის გულის გასახარი,
ისიც, ქალი რომ მიდენის ბატებს...
რომ ასკილი, ვარდის წყნარი წინაპარი,
დგას და... უზღვავ სათნოებას ჰბადებს.

## რაძღენი?

გათენდა ჩემი მორიგი დილა,
მწუხრი და ბნელი მიიქცა ძილად,
ქუჩაში მზერას ვაპარებ ფრთხილად,
მშვიდია ჩემი მორიგი დილა.
მე ვიყურები ამ ქუჩის მიღმა,
მთების იქით და შორეთში მზირალს
ამეკვიატა ეს ერთი კითხვა, –
კიდევ რამდენი მერგება დილა.

## ერეკლეს ოდება კრწანისის შემდგომ

ისევ ვიმარჯვე, ისევ გადავრჩი,
ისევ მივტოპავ დღეებს ნისლიანს...
გადატეხილი ხმალი ვადაში –
ეს დასასრულის დასაწყისია.
როგორ ვიმარჯვე და ვიბეჯითე,
რომ სული სხეულს არ გაჰქცეოდა,
რომ იმ დღეს ბნელი და ავბედითი
უკანასკნელი არ დარქმეოდა.
როგორ ვისარჯე გადარჩენისთვის,
გავისარჯე და კიდეც გადავრჩი...
სისხლში დგას გული ბრძოლის ველივით,
გადამტეხია ხმალი ვადაში.
გადარჩენაა ეს გადარჩენა,
გადარჩენაა, არა – დარჩენა,
გადამდგომია ქვეყნის გამჩენი,
გამცუდებია ლომი მარჯვენაც.
სიკვდილი რაა, ახლა სიკვდილზე
ასგზის მძიმეა გაძლება სოფლად,
არარა მაძლევს დარჩენის მიზეზს,
რადგან დარჩენაც არ არის ყოფნა!

## როგორ უხდება!

როგორ უხდება ის ჩიტი იმ ტოტს,
ის ტოტი იმ ჩიტს, შეზრდილან ლამის...
და აღარ მახსოვს ვინმემ თუ მიმტრო
და ვშიშობ – რამემ გაიღოს ჩქამი.
როგორ უხდება ის მდელო იმ ხეს,
იმ მდელოს ის ხე – შეზრდილან ლამის...
დაცემულ მინდორს – ბებერი ციხე,
ციხეს მინდორი – ზურმუხტის ჯამი.
როგორ უხდება მცხეთას ეს ჯვარი,
ჯვარს – მცხეთა, ერთურთს შეზრდილან მტკიცედ,
თითქოს შეაღე სამოთხის კარი, –
აქ იმნაირი იგრძნობა სივრცე!

## ეით...

მზე ამოვა, ისე ჩავა,
არ დამცდება სიცილი,
აღარც ძილში ძილისა ვარ,
არც – ღვიძილში ღვიძილის;
სახლში ვარ თუ სადმე დავალ,
თან დამყვება ნისლი...
აღარც ჩემივ თავისა ვარ,
აღარც – ვინმე სხვისი.
აღარც ჩემს ნებაზე დავალ,
აღარც – ვინმეს ნებისად,
აღარც სიხარულისა ვარ,
აღარც – მწუხარებისა;
დღეთა უამურთა წყება
მითენდება ულევად,
აღარც მეშემოდგომება,

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი  გ ვ ე რ დ ი

აღარც მეზაფხულება;
სიმშვიდეა აღარც ხილად,
ლხენამ სულ მიიძინა...
ვით ვიქციო ძილი ძილად
და ღვიძილი ღვიძილად?!

## მესიზმრა

წუხელის მესიზმრა ტერენტი გრანელი –
დღე იდგა ჩახჩახა, მზიანი...
სევდას ასხივებდა ტერენტის თვალები –
ეგრისის  ნატიფი იანი...
ნათელში იდგა და ბრწყინავდა ერთიან,
თვალებში კი ედგა ბორიო...
ღამე, ეტყობოდა, ბაღში გაეთია,
ფეხზე შეხვედროდა ორიონს;
ადგა, გამოვიდა ბაღიდან უძილო,
ლექსი აედევნა ბავშვივით,
ლექსი აედევნა, ეს... უცილობელი
ცის და დედამიწის კავშირი.

## მთვარის სონატა

ეს... ვინ დაარქვა სონატა მთვარის, –
მსურს გახსენება და ვერ ვიხსენებ...
დაწერა თვითონ და დაისვენა,
მე კი ვისმენ და ვეღარ ვისვენებ.
ვისმენ და მერე დიდხანს ვისვენებ,
ვეღარ ვისვენებ, – ვისმენ, ვისვენებ...
რატომ დაარქვეს სონატა მთვარის
მსურს გახსენება და ვერ ვიხსენებ.

## ღიღება ღაიმა დამრჩენილებზე

**გურამ პატარაიას**

გაღმა დამრჩენია ჭირმრავალნახული
სოფლები, ტაძრები, ვავა!
ჩემი არტანუჯი, იშხანი, ხახული,
ტაო და კლარჯეთი თავად.
ვაი, უიმათოდ აწ რაღა ფასი მაქვს,
ვაი, უიმათოდ რა ვარ;
ჩემი ტანკენარი, ნატიფი ასული, –
ოშკი დამრჩენია, ვავა!
ან ვინ გამირიყა, ან ვინ გამომრიყა,
ვინ დაგვათავთავა ავად...
ტანი იქით იყოს, თავი აქეთ იყოს, –
სად, სად გაგონილა, ვავა!
გაღმა დამრჩენია ჭირმრავალნახული
სოფლები, ტაძრები, ვავა!
ჩემი არტანუჯი, იშხანი, ხახული...
ვაი, უიმათოდ რა ვარ!

## პოეტის ხატი

პოეტი არის ვეება გული,
მაინცდამაინც ვეება გული,
პოეტი არის ცხადია, სულიც,
გულთან კი სულიც კი არის ნული!
პოეტი არის მხურვალე გული,
პოეტი არის ცხადია, აზრიც;
და ეს – მხურვალე გულისგან თქმული
აზრებიც მოდის მხურვალედ ნაზი.
ვეება გულის უბრალოდ თქმული –
ღაღადისივით ცათამდე ადის...
დახატეთ დიდი, გიზგიზა გული
და ეს იქნება პოეტის ხატი.

## მე მივაშურებ...

დამყვება მისი სიმაღლე-მადლი
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ ადგილს,
ადგილს, რომელსაც უხმობენ მარტვილს;
რაც მაქვს, არ მინდა იმაზე მეტი
და რაც მაქვს, სხვისთვის არ მემეტება
და ეს მარტვილი, თავისი ბედით,
თუ უბედობით, გულზე მედება...
წყლულზე მედება იგი მალამოდ
და გული ჩემი სხვაგვარ ალალობს...
და ჩათავდება თუ არა მარტი,
მე მივაშურებ საყვარელ მარტვილს.

## მკერე სურვილი

ქუმლის ციხე, ცეცხლის ჯვარი,
სიხაურის მთა
ძერას ირაოსებურად
დაუშვია ფრთა...
საკბილოს თუ გამოძებნის,
თუ არა და რა, –
თავის არსებობაზე ხომ
მოგვაწვდინა ხმა...
ზოგჯერ კაცსაც ამის მეტი
არა უნდა რა.

# ფცსთსფრი ჩსნსხსცები

**დინა მირცხულავა**

***

დავსრულდები და მიღმა დასაწყისს ველი, სხვაგვარად არც დაბადებას ვისურვებდი ალბათ!

სულის უკვდავების მჯერა და თანდათან გადავეჩვიე იმათ გლოვას, ერთი ნაბიჯით რომ შეგვასწრეს!

წავალ მეც ...

ეს ჩემი ძმაა, მას ლაპარაკი უნდოდა ჩემთან გარდაცვალებამდე, მე არ მეცალა მაშინ. ჰოდა, ახლა ვეხუტები, მის წინ ვცქმუტავ :

- უამრავი დრო მაქვს, რითი დავიწყოთ ?! - ვიცინით ორივე.

ეს ჩემი ლევანია. სულ არ ჰგავს ცეცხლში დამწვარს. ის გმირია, მეგობრის გადასარჩენად ხანძარში შევარდა. აქ არიან ორივე.

ეს ბიჭიც ვიცი. ისიც მეგობარს შეეწირა. მანქანა მოპარა ნასვამმა და ხრამში გადაჩეხილს დაეწია მხოლოდ. მკვდრად ჩათვალა გადავარდნილი და თავი ჩამოიხრჩო ტყეში. არადა გადარჩა მისი მეგობარი.

უნდა ვახარო, მაგრამ იცის, ჩემამდე მოსულს უთქვამს უკვე.

ეს ჩემი მარის ირაკლია.

მას მოჰპარეს სიცოცხლის დაუკრეფავი მარცვლები.

წვრილად მოვახსენებ, როგორ დარდობს დედა, რომ მას ნუგეში არ აქვს, რომ ის დაილია, რომ შენ ძალიან მძიმე ხარ მისთვის....

ვეტყვი, რომ მის პანაშვიდზეც ვიყავი და ალბათ ვახსოვარ.

- ძალიან ვნანობ გარდაცვალებამდე, რომ არ გიცნობდი, ირაკლი!

ხელს გამომიწვდის მერე.

რა თბილი ბიჭი ყოფილა მარის ირაკლი.

ის , ის ღიმილაც ვიცი.

ეს ლალის ბექაა, მითხრა ლალიმ :

- ძილი წამართვაო ბექამ!

ზუსტად ისეთი ღიმილი აქვს ბექას, როგორც ჰყვებოდნენ,

მზე უზის თვალებში.

ცნობისმოყვარეობით ახსნა უცნაურად წასვლა :

- მზეს ავედევნეო მხოლოდ!

... "და მზეც ჩავიდა და თვით წავიდნენ თითქოს მზის სხივის დასაბრუნებლად!!!"

***

ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მხვდებოდნენ ჩემგან გულნატკენი ადამიანები და დაცინვის შანსს არ უშვებდნენ ხელიდან.

არავინ არაფერი მაპატია!

იმ წელს ორსულობის მეექვსე თვეში ვარ. საშინელი ზამთარია. ფული მაჩუქეს და ბაზრობას მივაშურე. ქუდი მინდა. გაყინულ ყურებს ვეღარ ვგრძნობ.

- არა, ამ თანხით რომ ვერ ვიყიდი , ვიცი, მაგრამ მეგობრის დედა მუშაობს აქვე და ნაცნობი ეყოლება ვინმე და იქნებ თავის ფასში მაინც...

მივიყოლე. ვარჩევ ჩამოკონწიალებული ქუდებიდან სასურველს და ნაცნობი ხმა მესმის :

- ჩვენ ბაკურიანში მივდივართ და ორი სრული კომპლექტი გვინდა!

და ზემოდან დამცქერის , გავიგე თუ არა...

თხემიდან ტერფამდე ამათვალიერა, იცნო ჩემი ძველი ფეხსაცმელი, ქურთუკი, ყელსახვევი...

- დავქორწინდი და ქალაქს უნდა გავერიდოთო, მომახსენა.

- მიდი, აირჩიე რომელი ფერის რა გინდა, ფასს არა აქვს მნიშვნელობა - ეუბნება ცოლს და ისევ მე მომაჩერდა!

ქუდის ყიდვა გადავიფიქრე.მოვტრიალდი და წერეთლის ძეგლისკენ დავუყევი გზას.

" ჩემი ქურთუკი თბილია, უძლებს ყინვასაც!

ფეხსაცმელი კი სულ ახალია და არაფერს წამოვდო ცხვირით, როგორც მჩვევია ხოლმე!

იასამნისფერ ყელსახვევს ამ კვირასაც მოვიხვევ წირვაზე და სანთლისა და საკმეველის სუნით გაჟღენთილს მივიტან სახლში"...

***

მეც მყავს ჩემი ნინო. ჯგუფელები ვიყავით. მერე შვილი მოვანათვლინე და სამუდამოდ გადავებით ერთმანეთს. ბოლო შეხვედრა დედათა მონასტერში შედგა. ეს იყო გაზაფხულზე, შვიდი წლის წინ...დიდი ჩანთით მოვიდა.

- ეს ტანსაცმელებია, ველარ ვხმარობ, სახლში მაინც ჩაიცმევ...

ვეხუტები. იცის, რომ ის პერიოდი ძალიან მიჭირს. უკიდურესადაც კი.

- ეს სამკაულებია, ჩემი ფუფალა ხომ ხარ ?! - ალერსიანად მეკითხება.

-კი, მაგრამ შენ არ გინდა ?

- მე აღარ დამჭირდება, დინა!

ვერაფერს მივუხვდი.

ვისხედით მონასტრის ეზოში და ორივე ცალ-ცალკე ვფიქრობდით. მე ახალი სამოსი, სამკაულები და ის თანხა მიხაროდა, ნინომ რომ გადმომცა, ილიკოს შენ თვითონ უყიდე, რაც უნდაო ...

მერე ყუთი მომაწოდა , ეს ელადა დეიდას მიუტანე ჩემგან (დედაჩემზე მეუბნება) , ჩავეხუტებოდი კია, მაგრამ ახლა ვჩქარობ, შენ ჩამიკოცნეო - დამავალა..

ისევ ვერაფერს მივხვდი!

დავუყევით დაღმართს და სვეტიცხოვლისაკენ დავეშვით.

- შენ ჩემი დის ნომერი ჩაიწერე, ამ დღეებში დასჭირდები ქეთის.

ისევ ვერაფერი გავიგე! ისევ საჩუქრებში ვტრიალებ. დავემშვიდობე.

- ტაქსით წადი, არ იძუნწო - მომაძახა და მარშრუტკაში შეხტა.

დილით გზავნილი დამხვდა. მწერდა, რომ მონასტერში წავიდა, გადადგმული ნაბიჯი გასაჩივრებას არ ექვემდებარება და მთხოვდა, ქეთისთვის დამერეკა.

ქეთი ტიროდა და იმ დღეს საუბარი ვერ შედგა.

მე , მე კი...

კარადიდან იატაკზე ვყრიდი ნინოს ნაჩუქარ ტანსაცმელს, სამკაულს და საკუთარი, მიუხვედრელი თავი მძულდა!!!

***

შევკონწინდი!

შევეშვი თითებსაც , აღარ გაუდით ტკაცატკუცი ...

ძირში დაჭრილი ფრჩხილებიც წამომეზარდა, აღარ მოჟონავს სისხლი ...

ავკინძე ყველა ტკივილი და ყელზე დავიმძივე :

- ლამაზი ყელსაბამიაო, შემიქეს გამვლელებმა.

- ცოტა მძიმეა და გამოვხშირავ! - დავიქადნე თავადაც.

აღარც ნაბიჯებს ვასწორებ, ისევაც ყველამ იცის, რომ არეული დავიარები ...

# ქაჯეთი...

დასაწყისი გვ. 8

კულტურის სამინისტრო ამას არ იზამს და თქვენ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ოფიციალურად მოითხოვოთ და აკრძალოთ ამ ფილმის გადაღება - ჩვენება. და თუ მოინდომებთ და დსავამთ ასეთ საკითხს დარწმუნებული ვარ ქართველთა უმეტესი ნაწილი მხარს დაგიჭერთ ამ სამარცხვინო ფაქტის აღსაკვეთად.

დავით თორდია

ეს კი მისი როლის შემსრულებელი ჰოსეინ მაჰჯუბი.

სად არის ეხლა აქ რეჟისორის თვალთახედვა? ჟან რენო მაინც დაემტკიცებინათ? მაგრამ რენო თანხაზე არ დათანხმდებოდა და გამოეძებნეს „იაფიანი შემსრულებელი“ . ხომ არ გებადებათ ეჭვი, თუნდაც ამ პატარა ანონსიდან, რომ ამ ფილმში ზვიადის უკან ვიღაც იდუმალი პიროვნების წარმოჩენა ხდება? ვისი? მე პირადად დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ როლის უკან იმალება ჩვენი ყოფილი პრეზიდენტის - მიშას პროტოტიპი. რანაირად? აბა კიდევ კარგად ნახეთ კადრები სადაც ბავშვები სკანდირებენ. ეს ხომ მიშას სტილია? მიშას პროპაგანდაა და თანაც რას გაიძახიან? ,,გაუმარჯოს, გაუმარჯოს, ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს!“ (ცნობისათვის, მიშატირანს სუფრებზე სტანდარტულად უმღეროდნენ სამ სიმღერას: ,,მიშა მაგარია“ ,,ჩვენს პრეზიდენტს გაუმარჯოს“ და ,,ჩემი გმირი გიწოდე...“)

ან კიდევ ის მომენტი, სადაც რუსი გენერალი ბრძანებით სტილში ეუბნება გამსახურდიას ,,უცილობლად უნდა ,,აახვიოთ“ ქვეყნიდანო“, სადაც რუსული იმპერიული ხელი იკვეთება. ესეც მიშას სტილია. ან კიდევ რა უნიჭოდაა ჩასმული ნიაზ დიასამიძის სიმღერის მოწოდებითი წინადადება. თანაც ეს ძველბიჭური, ჯაზმენური სტილის ,,პატრიოტული“ სიმღერა? არა, მეგობრებო, ასე სამშობლოს სიყვარულზე და მითუმეტეს, ბრძოლისაკენ მოწოდება არ იმღერებოდა საქართველოში. ამ სიმღერას როცა ვუსმენ, უნებლიედ მახსენდება 90-იანი წლების საბრძოლო ფილმებით გამოსიქინებული მარიაჟი ახალგაზრდები, რომლებიც თავზე ბენდენა წაკრული, სათვალეებითა, წვერებ მოშვერილი და ავტომატით ხელში (რემბოს სტილში), ჯერ თბილისი დაანგრიეს, შემდეგ სამეგრელო 6-ჯერ ააწიოკეს და ბოლოს აფხაზეთი. და მღეროდნენ: ,, ქართლ- კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩვენი სამშობლოა სამეგრელოს გარდა!„(ამის ცოცხალი კადრებიც არსებობს).

უცებ გამახსენდა ერთი რეალური ამბავი:

,,საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ბატონმა რეზო ჩხეიძემ თათბირ-სემინარი ჩაატარა დიდი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტეს საავედრას „დონ კიხოტის“ ეკრანიზაციის შესახებ. „ქართული ფილმი“ ესპანელ კოლეგებთან ერთად აპირებს ამ ნაწარმოების გადაღებასო, აღნიშნა ბატონმა რეზომ. ნოდარ დუმბაძე გრძელი მაგიდის კუთხესთან იჯდა, ხმას არ იღებდა და საგულდაგულოდ ქაღალდის ფურცელზე ფანტასტიკურ ფიგურებს ხაზავდა. რეზო ჩხეიძემ თან ინგლისელი კოლეგა, გამოჩენილი კინორეჟისორი მოიყვანა, რომელიც იმჟამად საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა. სტუმარმა შეკრების მიზანი რომ გაიგო, გაიოცა - თუ კლასიკოსის გადაღება გნებავთ, შორს სადღა მიდიხართ, თქვენი ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთო. ბატონმა რევაზმა დიპლომატიური ღიმილით მიუგო, რომ „ქართული ფილმი“ ჯერ ვერ გრძნობდა თავს საკმაოდ მომზადებულად ასეთი დონის ნაწარმოების ეკრანიზაციისათვის. - ჩვენ კი ისე „გავთავხედდით“, - განაგრძო ინგლისელმა კოლეგამ, - „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება, და ისე შორს შევტოპეთ, რომ მსახიობებიც კი შევარჩიეთ. - ვინ არიან ეგ მსახიობები, თუ საიდუმლო არ არის? – იკითხა ბატონმა რეზომ. - ვინ და, თინათინი – ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანი – სოფი ლორენი, ტარიელი – პიტერ ო'ტული, ავთანდილი – ალენ დელონი, ფატმანი – ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონი – ენტონი ქუინი (ისე , კაცმა რომ თქვას შესანიშნავი ნაკრებია - დ.თორდია) - რაღა ერთობლივი ფილმია, თქვენ გადაგიღიათ და ეგ არის! – ჩაილაპარაკა ვიღაცამ. – საკითხავია, ჩვენ ვინღა ვითამაშოთ? - როგორ თუ ვინ?! – უცებ საუბარში ჩაერთო ნოდარ დუმბაძე. – იმდენ ქაჯებს თამაში არ უნდა? ვითამაშოთ ის ქაჯები და ვიყოთ ასე!

ჰოდა, ეხლა ამ ქაჯებს მინდა მივმართო, იმავე პოსტკრიპტუმისეული პასუხით:

p.s. ზვიადის სახელი თქვენი შესაბღალი არაა! უფრო მეტიც, ამ ფილმის გადაღება და ჩვენებაც კი შეურაცმყოფელი იქნება არა მარტო ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიმართ, არამედ სრულიად საქართველოსთვის (ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტად მოაზროვნე ქართველთათვის), რადგან ზვიადი იყო ადამიანი, რომელშიც ჩაქარგული იყო საქართველოს სულიერი მისია, რომელსაც თქვენ თქვენი ჭუჭყიანი ხელებით და ქაჯური მენტალიტეტით ეფათურებით. თქვენ რა იცით ზვიადი ვინ იყო? ზვიადი იმოდენა დიდია, რომ ვერც კი წარმოგიდგენიათ! მახსენდება ზვიადის საპროტესტო წერილი ვაკეში დადგმული კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის მიმართ. მაგრამ მაშინ ზვიადისთვის არც კი უკითხავთ ისე გადაწყვიტეს მისი დადგმა და ზვიადმა უკვე დამონტაჟებული ძეგლი იხილა.

აქედან გამომდინარე მივმართავ ზვიად გამსახურდიას ოჯახს. იქნებ არც თქვენ გაგიგიათ ამ ფილმზე რაიმე, მაგრამ, დღეიდან ხომ გეცოდინებათ. ჩვენ- ხალხს ეს არ შეგვიძლია, კულტურის სამინისტრო ამას არ იზამს და თქვენ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ოფიციალურად მოითხოვოთ და აკრძალოთ ამ ფილმის გადაღება - ჩვენება. და თუ მოინდომებთ და დსავამთ ასეთ საკითხს დარწმუნებული ვარ ქართველთა უმეტესი ნაწილი მხარს დაგიჭერთ ამ სამარცხვინო ფაქტის აღსაკვეთად.

**დავით თორდია**

# ივანე ჯავახიშვილი, როგორც ისტორიოგრაფი



გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11(23) აპრილს ქ.თბილისში,ხელმოკლე თავადის-პედაგოგის ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის და მისი მეუღლის-სოფიო ათანასეს ასულ ვახვახიშვილის ოჯახში. მას პატარაობიდანვე გაუჩნდა ქართული ენისა და მშობლიური ხალხის ისტორიისადმი დიდი ინტერესი. ივანე სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის ადმინისტრაცია ახასიათებდა ივანეს,როგორც რელიგიურ,საოცრად თავაზიან, ალერსიან და ზრდილობიან ყმაწვილს. სწორედ ამიტომ იგი ყველას უყვარდა. ივანე პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავმდაბლობით, უზომო ნიჭიერებით,შრომისმოყვარეობითა და ჰუმანურობით. იგი იყო გიმნაზიის საუკეთესო სტუდენტი, ზრდილობიანი არა მარტო უფროსებთან, არამედ თანატოლებთანაც. გარდა ამისა იგი მუსიკალურობითაც გამოირჩეოდა და სწავლობდა ვიოლინოზე დაკვრას. სხვათა შორის ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი ზაქარია ფალიაშვილის ახლო მეგობარი და მისი ნაწარმოებების პირველი მსმენელი და შემფასებელიც იყო. ამ ყველაფერმა, რაღა თქმა უნდა, იმოქმედა მის ასეთ დიდ, ბუმბერაზ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, ვისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უმთავრესი იყო - „ენა,მამული,სარწმუნოება“.

უდიდესია ივანე ჯავახიშვილის როლი ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების, უპირველეს ყოვლისა კი საისტორიო მეცნიერების აღორძინება-წინსვლის საქმეში. ღრმა ერუდიციისა და მაღალი კულტურის, კოლოსალური შრომისმოყვარეობისა და უსაზღვრო თავდადების წყალობით, ივანე ჯავახიშვილი ქართული მეცნიერების კორიფედ იქცა. მისი შარავანდედით მოცული სახელი ამშვენებს და მუდამ დაამშვენებს ქართული მეცნიერების ისტორიას. მის სახელს უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაც. იგი გვევლინება საქართველოში ისტორიის ფილოსოფიისა და ისტორიის მეთოდოლოგიის შესწავლის თავკაცად. იმისათვის,რომ ვეცადოთ შევიდეთ ქართული ისტორიოგრაფიის სიღრმეებში, ნიშანდობლივია, დავინტერესდეთ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობით და ვისაუბროთ იმაზე,თუ როგორ აფასებდა ქართული ისტორიოგრაფია ივანე ჯავახიშვილის ისტორიის თეორიულ და ისტორიულ-ფილოსოფიურ ძიებებს.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგაც ივანე ჯავახიშვილი ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ, რომლის განხორციელებამ დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და, საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურის წინსვლის საქმეში. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის დევნა. მის წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური კამპანია მორალური ტერორის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა უფრო პოლიტიზირებული იყო, ვიდრე მეცნიერული, ამოსული მარქსისტული პოზიციებიდან და ეკონომიკური მატერიალიზმის თვალთახედვიდან. ამიტომ ამგვარი კრიტიკა,რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ობიექტური შეფასება.

როგორც ვიცით, 30-იანი წლებიდან დამყარდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია.მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია.ეს ხანა გახლდათ ისტორიისა და ფილოსოფიის წინააღმდეგ დამყარებული ტოტალური შეტევის ხანა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ისტორიის თეორიულ საკითხებს, ისტორიის ფილოსოფიასა და მეთოდოლოგიას, ფაქტიურად, ჩამოერთვა „მოქალაქეობის“ უფლება. 1936 წელს 23 მარტს/ 2 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა დისკუსია, რომე-

ლიც იყო გვირგვინი დიდი მეცნიერის პოლიტიკური და იდეოლოგიური ანგარიშწორებისა. ამ ბინძურმა კამპანიამ ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე დიდ მეცნიერს და ამიტომ იგი 30-იანი წლების დიდი ტერორის ერთ-ერთ მსხვერპლად შეიძლება მივიჩნიოთ.სწორედ ამით აიხსნება,რომ ამ პერიოდში ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობით დაინტერესება მკვეთრად კლებულობს.

50-იან წლებში სტალინის გარდაცვალების შემდეგ,საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში დომინირებდა მოსაზრება,რომ ივანე ჯავახიშვილი იყო ძალიან კარგი ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, მაგრამ ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის საკითხებისადმი ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა. ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის.ზოგიერთი იმ პერიოდის მკვლევარი შეეხო ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხს, მის ღვაწლს ქართულ ფილოსოფიასა და ისტორიოგრაფიაში, თუმცა ეს მცდელობა არ სცილდებოდა მარქსისტული ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებს. ამ დროს განსხვავებული აზრი იდევნებოდა და ამიტომ დღევანდელი გადასახედიდან ამ ნაშრომებისადმი სუპერკრიტიკული მიდგომა, ვფიქრობ, დაუშვებელია. დასაფიქრებელია ის, რაც იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა ანდა აპოლოგეტური მიდგომა მის მიმართ უსამართლობაა.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობას, მან თავისი საქმიანობა დაიწყო წყაროების კრიტიკული განხილვის მეთოდის დანერგვით. ეს იყო ის მეთოდი,რომელსაც ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში საფუძველი ჩაუყარეს ნიბურმა, ლეოპოლდ ფონ რანკემ. იმ დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულება საისტორიო წყაროებისადმი და საისტორიო თხზულების ასეთი მკაცრი,კრიტიკული დამოკიდებულების დანერგვა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების აუცილებელი პირობა იყო. ასევე,ძალიან საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ადამიანის პრობლემისადმი,რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ისტორიიდან გააძევა და კლასობრივი ბრძოლის და სოციალურ-ეკონომიკური ფორმატების ჩრდილში მიუჩინა ადგილი. ამ საკითხის დასმა ბატონ ივანეს ერთ-ერთი დამსახურებაა და მას ევროპული ისტორიოგრაფიის დონეზე ამაღლებს.

პირველად ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ძიებებით დაინტერესდა პროფესორი გრიგოლ ნათაძე 1931 წელს გამოცემულ თავის წიგნში „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“. მას ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწისადმი თავისებური დამოკიდებულება აქვს და განიხილავს ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. გრიგოლ ნათაძე ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას, რაც, სავარაუდოდ,იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული. მარქსისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება სასტიკად ისჯებოდა ისტორიკოსის ფიზიკური განადგურების ჩათვლით. მოაზროვნე ისტორიკოსი არავის სჭირდებოდა. ისტორიკოსები იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ გაბატონებული იდეოლოგიის დიქტატისთვის და გვთავაზობდნენ საკითხის მარქსისტულ ინტერპრეტაციას. გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ რუსი ისტორიკოსი არონ გურევიჩი, რომლის მსოფლმხედველობაც განსხვავდებოდა იმდროინდელი საბჭოთა მსოფლმხედველობიდან, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო სავარაუდოდ მისი ეროვნებით, იგი იყო ებრაელი და სავარუადოა რომ საბჭოთა კავშირი იმ იდეით,რომ არ იყო ებრაელთა მჩაგვრელი, გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დასრულდა მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის ხანა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ აღიდგინა სუვერენობა, მას უკვე შეეძლო თავისუფალი არჩევანის გაკეთება. 90-იანი წლების დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის თეორიული ძიებების შესწავლა თვისებრივად ვითარდება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ვახსენოთ ედუარდ კოდუას მონოგრაფია „ივანე ჯავახიშვილის სოციალური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“, რომელშიც იგი შეეცადა ეჩვენებინა, რომ ივანე ჯავახიშვილის შრომები არ იყო მარტო ფაქტოლოგია, არამედ იგი ფაქტების ახსნას და სისტემატიზაციას მოიცავდა, ისტორიულ საკითხებს გულგრილად არ ეკიდებოდა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ივანე ჯავახიშვილის წიგნი- „ისტორიის მიზანი,წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“. საინტერესოა, აგრეთვე მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“. ეს მცდელობა, რაღა თქმა უნდა, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ედუარდ კოდუმ გვერდი აუარა გრიგოლ ნათაძის ინტერპრეტაციას, მას არ მოეწონა ნათაძის მსჯელობა, გამომდინარე მსჯელობის ცალმხრივობიდან, თუმცა მისი სრულიად უგულებელყოფა მისასალმებელი საქმე ნამდვილად არ არის, რადგან, რა თქმა უნდა, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს.

პროფესორ გურამ ყორანაშვილის ნაშრომში „ივანე ჯავახიშვილი“ გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებანი ივანე ჯავახიშვილის ადგილის შესახებ ისტორიული აზროვნების ისტორიაში. იგი თვლის,რომ ედუარდ კოდუას წიგნში სუსტად არის განხილული ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხი, რაც სწორი მოსაზრებაა. მასში უნდა ყოფილიყო განხილული ისტორიზმის საკითხი ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში. ჯავახიშვილის მეთოდი არ ამოიწურებოდა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ფსიქოლოგიური მეთოდით. იგი წარმატებით იყენებდა სხვა მეთოდებსაც.

ზოგადად,ერთნი მიაკუთვნებდნენ ივანე ჯავახიშვილს რანკეს სკოლას,მეორენი ნეოკანტიანელებს და ხაზს უსვამდნენ მის „რიკერტიანელობას“, მესამენი-პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას მიაკუთვნებდნენ. მათი მიზანი იყო გაეშავებინათ დიდი მეცნიერი და მისთვის ბურჟუაზიული ისტორიკოსის მანტია მოესხათ. მისი თეორიული ნაღვაწისადმი ასეთი მიდგომა ძლიერ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ფაქტიურად, პოლიტიკურ ბრალდებად გვევლინებოდა.

რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილმა ბევრი რამ აიღო ევროპული ისტორიოგრაფიიდან და სცადა მისი დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ მან აიღო ყოველივე დადებითი და მისი დამოკიდებულება ამ ნოვაციებისადმი შემოქმედებით ხასიათს ატარებდა და არა მიმბაძველობითს.

აღსანიშნავია,რომ ივანე ჯავახიშვილი თავის ნაწარმოებებში მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის თხრობით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ იგი დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სხვა სფეროს: ეკონომიკას, სოციალურ ყოფას, კულტურას, სულიერებას და ა.შ. განსაკუთრებით ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი ინდივიდუალიზაციის საკითხი, რაც ძალიან ყურადსაღებია. ის,რაც ევროპულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა სკოლებმა გააკეთეს, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მძიმე ჭაპანის გაწევა ერთ ადამიანს არგუნა ღმერთმა; ივანე ჯავახიშვილის შრომები სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ევროპული ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. მან ქართული ისტორიოგრაფია მიუახლოვა ევროპულ ისტორიულ აზროვნებას. სწორედ ამაში მდგომარეობს ივანე ჯავახიშვილის სიდიადე.

უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ სცადა გაექარწყლებინა კომუნისტური იდეოლოგიის ძალისხმევით ჩამოყალიბებული მარქსისტული სტერეოტიპი, თითქოსდა ივანე ჯავახიშვილი იყო შესანიშნავი ემპირიკოსი,რომელსაც ისტორიის თეორიული საკითხები ნაკლებად აინტერესებდა. ამ პრობლემის შესწავლა უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი და გამოიკვეთა საკითხისადმი მრავალვარიანტული მიდგომა. მრავლისმეტყველია,რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი პირველი ლექციის თემად ივანე ჯავახიშვილმა აირჩია არა რაიმე თემა საქართველოს ემპირიული ისტორიიდან, არამედ ისტორიის ფილოსოფიის რთულ პრობლემას შეეჭიდა. ლექციის სათაური იყო „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო და საფილოსოფოსო მწერლობაში“. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა საისტორიო დარგებისათვის ისტორიის ფილოსოფიისა და ისტორიის მეთოდოლოგიის სწავლება,რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მას ჩაფიქრებულიც ჰქონია „ისტორიის მეთოდოლოგიის და ფილოსოფიის“ დაწერა,მაგრამ ამ განზრახვის შესრულება ბოლომდე ვერ შეძლო. დაწერილი დარჩა მხოლოდ „ზოგადი შესავალი“ და „შედარებითი მეთოდის შესახებ“. მიუხედავად ხარვეზებისა და სირთულეებისა, ყინული დაიძრა.

საკმაოდ საინტერესო საკითხია,თუ რა გავლენა იქონიეს ნეოკანტიანელებმა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. მათ შორის არსებობს შეხების წერტილები, თუმცა,ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი რიკერტიანელი იყო?! საყურადღებოა, რომ იმ რანგის ისტორიკოსს,როგორიც

ივანე ჯავახიშვილია, შეუძლებელია არ სცოდნოდა ნეოკანტიანელთა შრომები. ძნელი საფიქრებელია,რომ გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ის არ გაცნობოდა მათ შეხედულებებს. მას ინფორმაცია შეიძლება მიეღო თავისი მასწავლებლებისაგან, თუნდაც კარლ ლამპეხტისაგან, რომელთანაც ნეოკანტიანელებს პოლემიკა ჰქონდათ გაჩაღებული. იგი შეიძლებოდა მათ შრომებს გაცნობოდა რუსულად ანდა გერმანულად. თუ ნეოკანტიანელების მოძღვრებამ მოახდინა რაიმე გავლენა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირებაზე, ეს ყოველივე მისასალმებელია და ქართულ ისტორიოგრაფიას ევროპულ დონემდე ამაღლებს. რიკერტიანელად აცხადებენ მას ქართველი ისტორიკოსები: პროფესორი ილარიონ ტალახაძე, პროფესორი გრიგოლ ნათაძე,თუმცა მათი მიდგომა საკითხისადმი სხვადასხვაგვარი იყო. პროფესორი ილარიონ ტალახაძე ამ საკითხთან დაკავშირებით ძლიერ პოლიტიზირებული იყო და ივანე ჯავახიშვილის ძირფესვიანად მოთხრას ისახავდა მიზნად, პროფესორ გრიგოლ ნათაძეს კი მეცნიერული პოლემიკა ჰქონდა ჯავახიშვილთან,ხოლო აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია კატეგორიულად უარყოფს ივანე ჯავახიშვილის კავშირს ნეოკანტიანელებთან და გამოდის საკმაოდ თამამი განცხადებით თავისი აზრის განსამტკიცებლად. ალბათ, ჯერ-ჯერობით არ ღირს არც არაფრის მტკიცება და არც უარყოფა. ყველა ჰიპოთეზას აქვს არსებობის უფლება და ყველა მათგანი დასაბუთებას საჭიროებს.

ივანე ჯავახიშვილი იყო მოთავე იმისა,რომ ისტორიის საკითხების განხილვა დაებრუნებინა ნორმალურ, მეცნიერულ კალაპოტში, ამ ყოველივეს მოთავედ კი დიდი ივანე ჯავახიშვილი გვევლინება. დიდი ხნის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსებს ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში დაცულ მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამის გარეშე კი ნოვაციებსა და სიახლეებზე ლაპარაკი ძალზე ძნელია. თემატიკის პოპულარიზაცია ამ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი იყო. ქართული ისტორიოგრაფიის მისია გაცილებით უფრო მოკრძალებული იყო დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიასთან შედარებით,მ აგრამ მან თავისი წვლილი მაინც შეიტანა ამ საქმეში და დაგვიტოვა საკმაოდ საინტერესო მემკვიდრეობა იმ ნაშრომების სახით, რომლებიც გულგრილ დამოკიდებულებას ნამდვილად არ იმსახურებენ. თუ ამ ნაშრომებს მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია ღირებულია. აღსანიშნავია,რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ზუსტად, სწორად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები და აღნიშნული პრობლემებისადმი მისი დამოკიდებულება რეალისტური და პრაგმატულია.

**თინათინ ბიკაშვილი**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი**

# საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი

1.შესავალი

2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის - „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ - მიღებით დასრულდა 2009 წელს დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმა. ქვეყნის ძირითადი კანონი, რომელმაც საკმაოდ მოცულობითი ცვლილებები განიცადა, ფაქტობრივად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ რეფორმამ ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფო მმართველობის მოდელზე საპარლამენტო რესპუბლიკაზე ორიენტირების კუთხით. საჭიროდ მიგვაჩნია დავაზუსტოთ, რომ მოქმედი ფორმაცია არ წარმოადგენს არცერთ კლასიკურ მოდელს, არამედ მხოლოდ გაჯერებულია საპარლამენტო მმართველობის ნიშნებით.

**2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმას უნდა გამოესწორებინა უმთავრესი პრობლემები:**

ა) პირველი - სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა შორის სისტემური ურთიერთობის დეფორმირება და დისბალანსის არსებობა და ბ) მეორე - გარდაექმნა 2004 და შემდეგ 2006 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული „ნახევრად-საპრეზიდენტო“ მოდელი, რაც ერთი პირის ხელში განუსაზღვრელი ძალაუფლების მოქცევის შესაძლებლობას ვერ აღკვეთავდა.

2010 წლის კონსტიტუციური კანონი ძალაში 2013 წლის ოქტომბერს არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან შევიდა. იქამდეც და ამის შემდეგაც არ შემწყდარა კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ სად გაივლო უმაღლესი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნის საზღვრები. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ერთი მხარის გაანალიზებას.

მაშ, ასე ვიწყებთ პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსის განხილვას.

ბ) საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსის ასეთ საკანონმდებლო რეგლამენტაციას განამტკიცებას : მ უხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის

ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი

მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

**მოხმობილი მუხლი განვიხილოთ პუნქტების მიხედვით.**

გ) საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტი სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტის

მრავალფეროვანი მოდელებია გავრცელებული. პრეზიდენტის სტატუსსა და უფლებამოსილებებზე არსებით გავლენას სახელმწიფოს ამა თუ იმ მმრათველობის ფორმისადმი მიკუთვნება ახდენს, თუმცა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი დამახასიათებელია მმართველობის ყველა მოდელისთვის. მონარქიულ სახელმწიფოებში ეს არის პირი, რომელიც მემკვიდრეობით იღებს ხელისუფლებას - მონარქი, ხოლო რესპუბლიკებში - პირდაპირი ან ირიბი წესით არჩეული პრეზიდენტი ან კოლეგიური ორგანო.

ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც

ეფექტურობისა და ლიბერალიზმის სიმბოლოა, როგორც სახელმწიფოს მეთაური, წარმოადგენს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს. აქედან გამომდინარე ახორციელებს :

ა) წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ;

ბ)პირის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს- (შეიწყალებს მსჯავრდებულთ, წყვეტს მოქალაქეობის მინიჭებისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხს, ანიჭებს საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს);

გ) უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას;

დ) საგანგებო უფლებამოსილებებს (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს შეიძლება შეზღუდოს პირთა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უფლებები)

ე) ჩართულია საშინაო საქმეებში- (საკანონმდებლო სფეროში მოიწვევს

პარლამენტი მორიგ და რიგგარეშე სესიებს, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, აქვს შეყოვნებითი (სუსპენზიური) ვეტოს გამოყენების უფლება, მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში).

ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. იგი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

ზემოთ განხილული დეტალების, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ყველა

რესპუბლიკური (და არამარტო) წყობისთვის დამახასიათებელია. ახლა საკითხის ღრმად გასააზრებლად, მიმოვიხილოთ ერთი გარემოება. უმთავრესი ცვლილება, რაც 69-ე მუხლმა რეფორმის შედეგად განიცადა არის შემდეგი : პრეზიდენტს ჩამოერთვა უფლება, წარმართოს და განახორციელოს სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკა. აქვე დავაზუსტოთ, საშინაო პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს შიდაპოლიტიკურ კურსს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუტების საქმიანობის მიმართულების ერთობლიობას. საგარეო პოლიტიკა კი გამოიხატება საერთაშორისო საქმეებში სახელმწიფოს ზოგადი კურსის, სხვა სახელმწიფოებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრაში.

ამ ფუნქციის 69-ე მუხლიდან ამოღების შედეგად პრეზიდენტი

დისტანცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. საქართველოში არსებული ბიცეფალური (შერეული) მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ნახევრად-საპრეზიდენტო მოდელის ქვეყნებისთვის და გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმს, პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ გახორციელებას, შეიცვალა კაბინეტური (საპარლამენტო) მოდელით. ამ უკანასკნელში მმართველობითი ფუნქციები სრულად ეკუთვნის მთავრობას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.

შედეგად, დღევანდელი რედაქციით გამიჯნულია ერთმანეთისგან სახელმწიფოს მეთაურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ინსტიტუტები. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ნეიტრალური არბიტრი

და მისი ძირითადი ფუნქციაა პოლიტიკურ-სამართლებრივი კრიზისების დროს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. როგორც სახელმწიფოებრივი სტაბილურების შენარჩუნებაზე მოფიქრალს საკმაოდ მაღალი ნდობის ხარისხი გააჩნია, ვინაიდან:

ა) არ მიეკუთვნება არცერთ სახელისუფლებო განშტოებას;

ბ) არ უკავია სხვა რაიმე თანამდებობა,მათ შორის პარტიული;

გ) ლეგიტიმურობის მაჩვენებელი უდიდესია.

რაც შეეხება მოცემული პუქტის პრაქტიკულ ასპექტს. ვინაიდან კონსტიტუციური სფერო პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემოებების ერთობაა, შეუძლებლად მიმაჩნია ამ მუხლის ცხოვრებაში გამოვლინებამ პოლიტიკური ექსცესების გარეშე ჩაიაროს. მაღალია რისკი, რომ „ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით არჩეული“ პრეზიდენტი ნომინალურ ან თუნდაც ძლიერ დაკნინებულ უფლებამოსილებას არ დასჯერდება. ამან შეიძლება მუდმივი გაღიზიანებისა და ოპონირების რეჟიმში ყოფნისაკენ უბიძგოს მთავრობასა თუ პარლამენტთან ურთიერთობაში.

დ) საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მეორე პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“. მოცემული ნორმა არაერთხელ გამხდარა განხილვის საკითხი. ერთი შეხედვით წოდება „მთავარსარდალი“ სიმბოლური ხასიათისაა. ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტი თუ მონარქი არის უმაღლესი მთავარსარდალი იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და მისი ფუნქციები შემოიფარგლება იმის შემთხვევაში ერთადერთი ბრძანებით შეიარაღებული ძალებისადმი- „იმოქმედეთ“. თუმცა საკითხი არც ასე ზედაპირულად განსახილველი არაა. უფრო მეტიც ჩვენს

შემთხვევაში პრეზიდენტის უფლებამოსილებები რამდენადმე იზრდება. მაგალითად,

ა)საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილშიშეზღუდოს კონსტიტუციის მე -18, მე -20, 21- ე, 22-ე, 24-ე, 25- ე, 30- ე, 33- ე და 41- ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. (როგორიცაა, ადამიანის თავისუფლების, გაფიცვის,შრომის,თავისუფალი მიმოსვლის, საკუთრების უფლება და ა.შ.)

ბ) გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს (კონსტიტუციაში

არანაირად არ არის შეზღუდვა, რა საკითხებზე არ შეიძლება გამოიცეს დეკრეტი).

გ) გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც თავისუფალია კონტრასიგნაციისა

და პარლამენტის დამტკიცებისაგან.

დ) იღებს გადაწყვეტილებას უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანისა და გადაადგილების თაობაზე. ჩვენი შეიარაღებული ძალების უცხო ქვეყანაში გაგზავნის თაობაზე.

შესაბამისად სიმბოლიზმთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს. პირიქით,

შეიძლება ითქვას ერთგვარად ქვეყნის ფაქტობრივ მმართველად გადაიქცევა საომარი მდგომარეობის დროს. მის ხელში ხდება თავმოყრა სიტუაციის მართვისა. ამ დებულების ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად საქართველოს კანონის-

„საომარი მდგომარეობის შესახებ“- მე-14 მუხლის პირველ პუნქტში განმტკიცებული დროებითი მმართველობის შემოღების შესაძლებლობა უნდა მივიჩნიოთ.

**4) საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტი**

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად პრეზიდენტი აღარ წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. იგი მხოლოდ წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიენიჭა საგარეო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება, რომლის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების წარმომადგენლობა საგარეო ურთიერთობებში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

სრულყოფილ ან თუნდაც კარგად დაწერილ კონსტიტუციაში პრეზიდენტის ფუნქციები უნდა გამომდინარეობდეს მისი სტატუსიდან, უფლებამოსილებები - ფუნქციიდან, მაგრამ საგარეო ურთიერთობების კუთხით ეს ან არ ჩანს, ან არ არსებობს. იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტს საგარეო ურთიერთობების გახორციელების უფლება მთავრობის სასარგებლოდ ჩამოერთვა, მას ერთგვარად უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის უფლება დარჩა. მაგალითად:

უფლებამოსილია, მთავრობასთან შეთანხმებით, აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მთავრობის წარდგინებით დანიშნოს და გაათავისუფლოს ელჩები და დიპლომატიური წარმომადგენლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა რეფორმის მიზნებიდან გამომდინარეობდა, რაც გამოიხატა რიგი უფლებამოსილებების მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით ან წარდგინებით განხორციელებაში. თუმცა, როგორც ვენეციის კომისიაც აღნიშნავს :

„საგარეო ურთიერთობის სფეროში პრეზიდენტისა და მთავრობის

უფლებამოსილებების გამიჯვნა არ არის სრულყოფილი... მთავრობის შეთანხმების აუცილებლობა გაზრდის მთავრობასა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირების წარმოშობის რისკს“, ეს ასევე პრეზიდენტსაც უტოვებს შესაძლებლობას დაბლოკოს მთავრობის კონკრეტული წარდგინება. ვენეციის კომისიას გამოსავლად სახელმწიფო მეთაურისთვის საგარეო უფლებამოსილებათა სფეროში ზემოთხსენებული კომპეტენციის ჩამორთმევა მიაჩნია.

**ვ) დასკვნა**

კონსტიტუციის შექმნა ექსპერიმენტია, გამოცდა, რომლის შედეგი ყოველთვის განსხვავებული იქნება იმისაგან, რაც იყო გათვალისწინებული და რისი მოლოდინიც არსებობდა. 2010 წლის რეფორმამ კი მიზნად დაისახა პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვა და გარდაქმნა კიდეც, როგორც ვენეციის კომისია უთითებს less presidential system-ად, მაგრამ ვერ შეძლო და საქართველოში ვერც ვერასდროს მივაღწევთ ე.წ უთავო სახელმწიფოს შექმნას .

იმიტომ რომ, ქართველის ხალხის ფსიქიკა ყოველთვის ელის ქარიზმატულ ლიდერს, რომელიც მოვა და იხსნის ქვეყანას. შესაბამისად, სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილებების ნომინალურად გადაქცევა იწვევს ქვეყანაში სულ მცირე პესიმიზმის განცდას.

მეორე საკითხია ის, რომ არ ვეთანხმები არანაირ ნაზავს მმართველობის კლასიკური მოდელებიდან -(საპრეზიდენტო,საპარლამენტო,ნახევრად- საპრეზიდენტო). დემოკრატისა და ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის დიდ საფრთხედ მეჩვენება სახელმწიფო მოწყობის სწორედ არაკლასიკური, წინააღმდეგობრივი კონსტიტუციური მოდელის დანერგვა.

ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა სწორედ ის პოლიტიკური კრიზისები, რაც საგარეო ურთიერთობის განხორციელების კუთხით წარმოიშვა ქვეყნის ცხოვრებაში

2010 წლის რეფორმის ამოქმედების შემდეგ. იმედს გამოვთქვამთ, რიგი ხარვეზები გამოსწორებული იქნება უახლოეს მომავალში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მტკიცე განვითარებას.

**გიორგი ხარატიშვილი**
**თსუ იურიდიული ფაკულტეტის**
**მე-2 კურსის სტუდენტი**

კრწანისი მაჟორიტარ დეპუტატად ირჩევს მანანა აფხაძეს!

# რატომ ვარ დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი კრწანისის რაიონში?

სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მინდა მოკლედ გაგაცნოთ ჩემი თავი...

ვარ ორი წარჩინებული დიპლომის მქონე: სამართალმცოდნე, ინჟინერ ტექნოლოგ-ქიმიკოსი; ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; სამეცნიერო შრომების ავტორი, პოეტი, რამოდენიმე სიმღერისა და საგალობლის ავტორი... მალე გამოვა ჩემი ლექსების კრებული სახელწოდებით „რაც ყველაფერზე მაღლა დგას“! ამ წიგნში, გარდა ლექსებისა და პოემებისა, შეტანილია ჩემი ცხოვრების პირადი დღიურები, წერილები და ორი გარდაცვლილი პატიმრის წამების საქმე, რომლებიც სხვადასხვა დროს იყვნენ მსხვერპლნი სახელისუფლო რეჟიმებისა. ეს დრო საქართველოში ყოველთვის იყო მეტნაკლებად... ამიტომ ვთვლი, რომ ყველა დროის პრობლემა არის ძალადობა, რომლის მხილებაც საკუთარი ოჯახიდან დავიწყე. სამართლიან სიტყვას აზრი აქვს, როცა მას სამართლიანი ადამიანი ლაპარაკობს... შინაგანად უკანონო და უზნეო ადამიანი, რაც უნდა დიდი პროფესიული ცოდნით გამოირჩეოდეს, ქვეყანას სიკეთეს ვერასოდეს მოუტანს. წიგნის პრეზენტაცია თავისუფალი დასწრებით 2016 წლის 24 სექტემბერს კრწანისობის დღესასწაულზე, საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართება.

მიუხედავად არათანაბარ, უფრო ზუსტად, იგნორირებულ საარჩევნო კამპანიაში სახელისუფლებო კანდიდატებთან მიმართებაში, მაინც შეძლო ჩემმა საინიციატივო ჯგუფმა სავალდებულო ხელმოწერების შეგროვება, მიველ ხალხთან ავტობუსით, სამარშუტო ტაქსით, ფეხით. ზოგადად ვარ კომუნიკაბელური ადამიანი და ვაპროტესტებ კარჩაკეტილობას, რომელიც დანერგა ყველა მთავრობამ. ვაპროტესტებ აგრეთვე კანონის მოცემულობას, რომელიც ხელს უწყობს მაჟორიტარ დეპუტატს დაშორდეს ხალხს და მოიწყოს პირადი ცხოვრება. ვიქნები ინიციატორი, რომ ამომრჩეველთა 1/3 ხელმოწერებით გაწვეული იქნას ასეთი არაპროდუქტიული პარლამენტარი მაჟორიტარები პარლამენტიდან. მე როგორც დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი, იმისათვის, რომ შევძლო ჩემი თვალით ნანახი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა, კრწანისის მოსახლეობაში, ვპირდები ამომრჩევლებს, რომ ერთი წელი, საარსებო მინიმუმის გარდა, ჩავრიცხო ხელფასი კრწანისის განვითარების სახალხო ფონდში, რომელსაც დავაარსებ თქვენთან ერთად და თქვენი მონიტორინგით ასევე, თითოეულმა თქვენგანმა შევწიროთ შეძლებისდაგვარად თანხა და მით „გავერთიანდეთ შიმშილისა და ძალადობის წინააღმდეგ!“

სწორედ ეს არის ჩემი საარჩევნო ლოზუნგი და მომდინარეობს მოსახლეობის მოთხოვნიდან. უსახლკარო, მიუსაფარი და უკიდურესად მატერიალურ გასაჭირში მყოფი ადამიანები ჩემი ზრუნვის ობიექტია, რამეთუ არავინ უნდა კვდებოდეს მშიერი. ამის სამწუხარო მაგალითია რეზო შაინიძე, რომელიც შიმშილობის უკანასკნელი ფორმით აპროტესტებდა, რა მის მძიმე სოციალურ მდგომარეობას, ასევე თბილისში, ლილოს დასახლებაში თავშესაფარში არსებულ კოლონიურ რეჟიმს „ქართული ოცნების“ ოფისის წინ, 2016 წლის 04 აგვისტოს გადაყვანილი იქნა ქავთარაძის ქუჩაზე არსებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, საიდანაც ჩემს თანაგუნდელებთან ერთად დავიხსენი იგი. იქვე გავარკვიე, რომ მთავარი ექიმი ლაშა კილაძეა, ცნობილი სატელევიზიო გადაცემის: „რა, სად, როდის“ სახე... ისიც გავარკვიე, რომ პროტესტანტი არაერთი ადამიანის ხვედრი დღესაც საგიჟეში მოთავსებაა.. რაღა გავაგრძელო... მე როგორც ადვოკატს მეგონა არაფერი გამაკვირვებდა ძალადობის კუთხით დღეს მაინც, როცა გარკვეული ცვლილებები ქვეყანაში თითქოს მოხდა, მაგრამ ამ დღის შემდეგ შოკში აღმოვჩნდი და ვფიქრობ დავბრუნდით ფსიქიატრიულში წამებით მოკლული ჟურნალისტის ნაზი შამანაურის ეპოქაში...

რეზო შაინიძეს ბედისა და მდგომარეობის მიმართ გულგრილი აღმოჩნდა „გაერთიანებული ოპოზიცია“, რომლის პარტიის წევრი მეც გახლავართ. შაინიძე!! რა პროგრამაზე შეიძლება საუბარი ამასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ეს პიროვნება ნასამართლევია 3-ჯერ, დღეს არა აქვს სიცოცხლის უფლება? პოლიციასთან წინააღმდეგობის გამო სასწრაფო საოპერაციოც აღმოჩნდა და ა. შ.

პროკურატურასა და სახალხო დამცველის აპარატში დღემდე დუმილია მოქმედების ნაცვლად! მე საჯარო მოხელე არასოდეს ვყოფილვარ, ვინაიდან არც ფული მაქვს და არც გავლენები, თუმცა გახლავართ პირველი მოწვევის წყალტუბოს საკრებულოს დეპუტატი, მაშინაც საინიციატივო ჯგუფიდან... მიუხედავად დიდი პატივისცემისა არ გახლდით „ჰელსინკის კავშირის“ წევრი და არც რომელიმე პარტიაში ვყოფილვარ ოდესმე. ვმუშაობდი ათეული წლების მანძილზე ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. მქონდა სტუდენტებთან ლიტერატურული სალონი „ოქროს მუზა“. ვარ არაერთი სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორიც ლიტერატურული ღონისძიებისა გალაკტიონზე, ცისფერყანწელებზე, მაგრამ ყოველთვის ვრჩებოდი თვალცრემლიანი, რადგან წინ იდგა მწერალთა კავშირის ბიუროკრატიული ურჩხული, რომელიც ურჩ ფეოდალს უფრო მაგონებს ვიდრე შემოქმედს. ამიტომ ჩემი მწირი ხელფასით, მოთხოვნის მიუხედავად, ვერ ვახერხებდი მასობრივად ჩამერთო ახალგაზრდები ლამაზ ლიტერატურულ ღონისძიებებში... ასეთივე ბიუროკრატია იყო და სუფევს დღესაც თითქმის ყველა სფეროში.

ადამიანები წელზე ფეხს იდგამენ დიპლომისთვის და ზოგჯერ გარდაცვალებამდე უმუშევრები რჩებიან... მე სამუშაო გამოცდილება მაქვს სკოლაში, უნივერსიტეტსა და სამართლის კუთხით, მათ შორის სისხლის სამართალში. მარტო ამ კუთხით უამრავი რეფორმაა გასატარებელი.. პრიორიტეტი უნდა ეკუთვნოდეს სკოლას, სკოლამდელ დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებლებს. ისიც კარგად მომეხსენება უცხოეთში ვინ როგორ სწავლობს. 10 წლიანი საშუალო განათლება მყარი და საბაზისოა. სკოლაში მოსწავლე და გარე საზოგადოება უნდა გრძნობდეს, რომ ეს მოსწავლეა, რაც უნდა განსხვავდებოდეს ფორმით. აუცილებელია დახვეწილი პროფესიული საგანმანათლებლო ბაზის შექმნა 8 კლასის ბაზაზე. სრულიად გაურკვეველია ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდების სავალდებულოობა, მაშინ როდესაც მოსწავლემ არ იცის საქართველოს და რელიგიის ისტორია. გადასახედია საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამები ყველა აკრედიტირებულ სასწავლებელში, რათა მარტოოდენ ბიზნესზე ორიენტირებული არ იქნეს ისედაც მსოფლიოში პოლიტიკური პარტიებისა და უმაღლეს სასწავლებლების სიმრავლით ცნობილი ჩვენი ქვეყანა. სპორტი უნდა გახდეს განსაკუთრებულად პოპულარული ჯანსაღი თაობის აღზრდაში. დაწესდეს წამახალისებელი ფორმები წარმატებულ, ზრდილობიან და კარგი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდებისთვის... შრომა ნებისმიერი სახით უნდა იყოს დაფასებული. პედაგოგთა შერჩევა, როგორც სკოლის, ასევე უმაღლესი სასწავლებლისა, უნდა მოხდეს მისი აღზრდილი მოსწავლეების მიხედვით. პროფესიულის გარდა გადამწყვეტი უნდა იყოს პედაგოგის ადამიანური ღირებულებები და ამას კომპიუტერი ნამდვილად ვერ შეარჩევს.

16 წლიანი მუშაობის პრაქტიკა მაქვს ადვოკატურაში საერთო სპეციალიზაცით. მანამდე კი ვიყავი იმერეთის რეგიონის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის დამფუძნებელი. ყველა სფეროში საჭიროა რეფორმა, მოქნილი და გადაუდებელი, რაც დიდი თემაა. ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ მასმედიის ჩართულობა, ისე როგორც საზოგადოების ჩართულობა ნულის ტოლია. ამიტომ, რაც დაფარულია, უკანონობის ერთ-ერთი წინაპირობაა. მასმედია მხილების იარაღია, ამიტომ თუ არის პრეტენზია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე, მასმედიის ჩართულობა არის აუცილებელი. პენინტენციალურ დაწესებულებებში ფსევდო- რეფორმები კი არა ნამდვილი რეფორმებია გასატარებელი.

გუშინ მომიწია ახლობლის დაკრძალვაზე წასვლა ხურვალეთში რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე. იმ ჩემი ახლობლის აწგარდაცვლილი ავთო ბესელიას სახლი გაყოფილია. ნაწილი მიითვისა რუსებმა და ცხოვრობდა იგი გაწვალებით, მაგრამ ცხოვრობდა მარტორქასავით, ცხოვრობდა ღირსებააყრილი, მაგრამ ღირსეული, სანამ სიკვდილმა არ დააშორა ადგილის დედას . ჩემი ცრემლი ეკუთვნოდა, აგრეთვე ოკუპაციით მიტოვებულ საფლავებს, სადაც ქართული გვარები იკითხება, ეკუთვნოდა მიტოვებულ სალოცავს... დაშინებული ხალხის თხოვნის მიუხედავად, რპ, ჰადაღებას კრძალავდნენ მაინც გადავიღე ფოტოკადრები ...

ვხვდები ყველა სფეროს ძლიერ სპეციალისტს, მათ შორის სამხედროში, ეკონომიკაში და ვფიქრობ რეფორმებზე. ეს რთულია, მაგრამ გარდაუვალი. ყველაზე მთავარი მაინც საკადრო პოლიტიკაა. კარგი კადრი კი საბავშვო ბაღიდან იწყება. ყველა სამინისტრო და უწყება პრიორიტეტს უნდა ანიჭებდნენ ეროვნულ ტრადიციებს, კულტურას, საგანძურს და სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანებს.

მინდა საქართველოს მომავალი თაობა ცხოვრობდეს ქვეყანაში , სადაც თითოეული ადამიანი იგრძნობს და იტყვის ღირსებით : ეს საქართველოა! დაფასდება შრომაც და ბაზარზე უცხოურის ნაცვლად იქნება ჩვენი სამამულო პროდუქტი! ჩვენ ეს შეგვიძლია, მაგრამ არ არის ნება! არ ვმუშაობთ, მხოლოდ ვილანძღებით. გაივსო ქვეყანა არაფრისმაქნისი პოლიტ. პარტიებით, პოლიტიკოსებით, რომლებიც ივიწყებენ წარსულს იმ იმედით, რომ გველეშაპივით შთანთქონ ყველაფერი, რაც რამე სიკეთე არსებობს ქვეყნად.

დიდი თემაა ჯანდაცვა, თავდაცვა, დაზღვევის საკითხები, საგარეო პოლიტიკა და ა. შ.

მოკლედ შეიძლება ითქვას, თუ დროულად არ მოხდება ეროვნული ღირებულებების წახალისება და დაბრუნება ღირსეული ადამიანების ხელით, ვიქნებით გლობალისტების ულუფა, რაც არცთუ უფრო შორია. იკითხეთ ჩემი წარსული და ის გიპასუხებთ ჩემს პიროვნებაზე და საიმედოობაზე. დიდება უფალს! მას ვებარებოდეთ!

*„მე ვარ პოეტი და ჩემი ხმალი,*
*ემსახურება მტერს თუ მოკეთეს,*
*მე ვარ პოეტი და ჩემი თვალი,*
*თვით ჯალათშიაც ხედავს სიკეთეს!“*

*მარად სამშობლოს მოსიყვარულე*

**მანანა აფხაძე**

უფასო რეკლამა

# ჯანმრთელობა

## როგორ აღვიდგინოთ მხედველობა ნიორის დახმარებით. არავითარი ოპერაცია!

50 წლის ასაკიდან ადამიანებში ხშირად ხდება ბადურის დაზიანება, რაც წარმოშობს მხედველობის პრობლემებს. წელიწადის განმავლობაში ადამიანი კარგავს მხედველობას. თავდაპირველად ბუნდოვნად ხედავს, შემდეგ ჩნდება შავი ლაქები. შემდეგ მახინჯდება საგნები, უარესდება ფერების აღქმა და ადამიანი სიბნელეში ვეღარ ხედავს. ადრე ითვლებოდა რომ, ეს დაავადება იყო უკურნებელი... მაგრამ სამეცნიერო გამოკვლევები გვახარებენ თავიაანთი აღმოჩენებით.

### როგორ შევინარჩუნოთ მხედველობა

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის გამოკვლევები აჩვენებენ რომ, ასაკით გამოწვეული მხედველობის პრობლემები შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ. ორგანიზმში ქოლესტერინის დონის შემცირებით. ქოლესტერინის მაღალი რაოდენობა იწვევს ბადურის ქვეშ ცხიმების დაგროვებას და ამ დროს მხედველობა ხდება ბუნდოვანი.

23 პაციენტმა მიიღო წამლები ქოლესტერინის დონის შესამცირებლად, მათ იგრძნეს მხედველობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. აი აქ ნჩდება ნიორი, თუ შევჭამთ ნახევარ კბილ ნიორს ყოველდღე შევამცირებთ ქოლესტერინის დონეს ბუნებრივი გზით. ამ გზით მხედველობა აღდგება!

მაღალი არტერიული წნევა თრგუნავს თვალის ბადურის აქტიურ მუშაობას. მხედველობის სიმახვილისთვის ბადურა ყოველთვის უნდა აივსოს ჟანგბადით. ნიორი - ნატრალური პროდუქტია, რომელიც ეხმარება სისხლის მიმოქცევის ნორმაში მოყვანას.

როგორც ხედავთ, ნიორი - არის იაფი და ეფექტური საშუალება, რათა გადავარჩინოთ და ავიცილოთ მხედველობის დაკარგვა. ასე რომ, თქვენ არ დაგჭირდებათ ქირურგიული ჩარევა მხედველობის აღსადგენად. ჭამეთ ნიორი, ის ძალიან სასარგებლოა!

*http://www.gmvideo.net/article_read.php?a=2410*

## ყავა და სოდის დაუჯერებელი რეცეპტი, რომელიც კლავს ფოლეკულებს - 1 კვირაში თმა სამუდამოდ გაგიქრებათ

**დაგვჭირდება:**
1 ს.კ. ყავის ნალექი
1 ს. კ. სოდა
წყალი

**მომზადება:**
აურიეთ ინგრედიენტები ერთმანეთში და ფაფისებური მასა წაისვით დღეში ერთხელ ზედა ტუჩზე და ღრუბელით მსუბუქად დაიზილეთ და გაიჩერეთ 10 წუთით.

კვირის განმავლობაში გაიმეორეთ ყოველდღე. ნაერთი კლავს თმის ფოლეკულებს და ერთ კვირაში სამუდამოდ გაგიქრებათ თმა.

თუ თქვენ მშრალი ან მგრძნობიარე ტიპის კანი გაქვთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. პროცედურის შემდეგ, რომ დაიბანთ მკვებავი კრემი გადაისვით სქლად.

*jeje.ge*

## ყველაზე ეფექტური ნიღაბი თმის ზრდისთვის. რეცეპტი, რომელიც ბევრისთვის უცნობია



ეს ნიღაბი ძალიან სასარგებლოა მშრალი და დაზიანებული თმისთვის. ის ასტიმულირებს თმის ზრდის პროცესს, მას ატენიანებს და კვებავს. ეს ნიღაბი კვერცხის გამოყენებით, შეიცავს პროტეინებს და კალციუმს, რაც თქვენს თმას მბზინვარებას და სილამაზეს შეჰმატებს. რაც შეეხება თაფლს, ის შეიცავს B1, B2, B6, C, E და K ვიტამინებს. ბანანები გაყოფილ ბოლოებს ებრძვიან. ლუდი ალაოს, საფუარს, სვიას, ვიტამინ B–ს და ისეთ მიკროელემენტებს შეიცავს, როგორებიცაა მაგნიუმი, სპილენძი, რკინა, ფოსფორი და კალიუმი, რაც თმას აჯანსაღებს.

ინგრედიენტები:
1 ბანანი
1კვერცხი(ან მხოლოდ კვერცხის გული)
1ს/კ. თაფლი ½ ჭიქა შავი ლუდი

უბრალოდ აურიეთ ერთმანეთს ეს ინგრედიენტები და ნიღაბი მზადაა. წაისვით ის თმაზე 1–2 საათით და თავი შეიხვიეთ, შემდეგ კი, თავი ჩვეულებრივად დაიბანეთ. ნიღაბის გამოყენება კვირაში ერთხელ შეგიძლიათ.

## გაქვთ მეჭეჭები? დაემშვიდობეთ მათ სამუდამოდ!

მეჭეჭების მოსაშორებლად ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება მცენარე ქრისტესისხლა. ახალგამოწურული წვენითა და დაქუცმაცებული ქრისტესისხლათ შეიძლება მეჭეჭების და ჭორფლის მოცილება, დახეთქილი მტევნებისა და ქუსლების მოშუშება. პროცედურას იტარებენ დღეში 2—3 ჯერ. სამკურნალოდ იყენებენ როგორც ფესვებში, ასევე ღეროსა და ფოთლებში არსებულ წვენს.

http://fpaparazzi.com/index.php?newsid=12458

## შეკრულობის სიმპტომები და პრევენცია

შეკრულობა ეს არის რთული და დაგვიანებული დეფეკაცია. საშუალოდ ნაწლავების დაცლა უნდა ხდებოდეს დღეში ერთხელ, კვირაში სამჯერ. შეკრულობის დამახასიათებელი სიმპტომებია : მცირე რაოდენობით განავალის არსებობა, მისი სიმტკიცე და სიმშრალე, ძალდატანება დეფეკაციისას და საბოლოოდ არასრული დაცლის შეგრძნება.

ჯანმრთელ ადამიანში შეკრულობის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ერთფეროვანი საკვების მიღება (ცილოვანი საკვები). ასევე ყაბზობა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებებმა : კუჭის წყლულმა, ქრონიკულმა ქოლეცისტიტმა, სწორი ნაწლავის ნახეთქებმა, ასევე გარკვეული სახის მედიკამენტების მიღებამ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის სიმპტომები, რომელიც დამახასიათებელია ყაბზობისთვის :

- თავის ტკივილი;
- შემაწუხებელი ძილი;
- გაღიზიანებადობა;
- მუცლის ტკივილი;
- ხანგრძლივი დროსი განმავლობაში ცუდი ხასიათი.

ყველაზე აშკარა განგაშის სიგნალს გაძლევთ სისხლის გამოჩენა განავალში. თუ ის არის ალისფერი წითელი, მაშინ შეიძლება იყოს ბუასილი. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიხვიდეთ ექიმ - პროქტოლოგთან!

შეკრულობის პრევენციისთვის , თქვენ შეგიძლიათ :

- მიიღოთ დღეში 2- 3 ლიტრი წყალი ან სითხე ;
- ამოიღეთ საკვებიდან შემდეგი პროდუქტები : ბრინჯი, კაკაო, თეთრი პური, შოკოლადი, ყავა, ძლიერი ჩაი, რადგან ისინი არიან ყაბზობისთვის რისკ-ფაქტორები;
- მიიღეთ : კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, მანდარინი, ლეღვი, თხილი, ვაშლი, ქლიავი და ატამი.

თუ გაქვთ რაიმე ეჭვი ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ან ყაბზობა რეგულარული გახდა, აუცილებლად დაუყოვნებლივ მიმართეთ პროქტოლოგს!

http://oxford-med.ge/inside_article.php?art_id=216

## ხეხილის დარგვა-მოვლის წესი თებერვალში

### რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ თებერვალში-ბაღში და ბოსტანში

თებერვალი ზამთრის მესამე თვეა, თოვლით და სიცივით, თუმცა დღის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება, მზე უფრო თბილი და ნათელი ხდება, შესაბამისად ბუნება და ჩვენი ბაღიც გასაღვიძებლად ემზადება.

მეურნე ადამიანი, საგაზაფხულო სამუშაოების შემსუბუქებისთვის სწორედ ამ თვეში იწყებს აქტიურ ზრუნვას. თებერვლის თბილ დღეებში, ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ხეხილის ხეები, უნდა მოვაშოროთ შემორჩენილი ფოთლები და ნაყოფი-ხშირად სწორედ მათში იზამთრებს ნაყოფის სიდამპლე, რამაც შეიძლება დაავადოს ნარგავები და შეამციროს მოსავლიანობა.

ასევე ყურადღებით დაათვალიერეთ ხეხილის ვარჯი, ქერქში ხშირად მავნებლები დებენ კვერცხებს, მათი მოშორება აუცილებელია რადგან, დათბობისთანავე მატლები გამოიჩეკება და ტოტებს, ყლორტებსა და კვირტებს დააზიანებს.

მნიშვნელოვანია მუხლუხო მატლების მოცილება, რომლებიც ხეებზე იზამთრებენ.

თუ ტემპერატურული რეჟიმი დღეღამის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, ხეები კირხსნარით შეათეთრეთ (10 ლიტრ წყალზე 2-3 კილოგრამი გადამწვარი კირი).

ამავე მიზეზით, ხეებზე ზოგჯერ ქერქი სკდება მაღლა იწევს (ვარჯს შორდება) და ქერქის ქვეშ დარჩენილი სიცარიელე მავნებელთა ბუდედ იქცევა. ამ შემთხვევაში ქერქი შეგიძლიათ წვრილი ლურსმნით მიაჭედოთ და იგი გაზაფხულზე ისევ შეეზრდება ხეს, ან მოაცილეთ და ბაღის მალამო წაუსვით, რომ ჭრილობა არ დარჩეს.

მოაცილეთ ხეებს ხავსი და მღიერები!

თებერვალში, თუკი თბილი ამინდები დადგა, აუცილებელია, დავიწყოთ ხეხილის და კენკროვანი კულტურების გასხვლაც, კენკროვან კულტურებს გადაბერებული, დაავადებული და სუსტი ტოტები უნდა მოვაცილოთ, რომ მსხმოიარობა უხვი იყოს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე უხვი ნაღექის პირობებში, ნარგავებში არ დადგეს თოვლის ნადნობი ან წვიმის წყლები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელად ჩაატარეთ სადრენაჟო ღონისძიებები, რომ მცენარეთა ფესვთა სისტემა ჭარბმა ტენმა არ დააზიანოს.

ამავე პერიოდში შეადგინეთ თესვის და დარგვის პირადი სამეურნეო კალენდარი. უნდა განსაზღვროთ, რისი დათესვა/დარგვა გინდათ, სად უნდა მოიძიოთ, მომზადეთ თესლი დასათესად, დააფასოვეთ დათესვის დროის მიხედვით, დაიწყეთ ჩითილების გამოყვანა-დახურულ სივრცეში.

გამხმარი, დატეხილი ტოტები, ნასხლავი, ფოთლები და სხვა ორგანული ნარჩენები მოაგროვეთ და გამოიყენეთ: კომპოსტირებისთვის, ბრიკეტირებისთვის, კვლების ამაღლებისთვის და ა.შ.

გაზაფხულზე ბევრი საქმე გექნებათ, ამიტომ გარკვეული სამუშაოები სჯობს ეხლა მოილიოთ.

http://agrokavkaz.ge/fermerta-skola/ra-samushaoebi-unda-chavataroth-thebervals

## როგორ ვიცოცხლოთ 120 წელი

არსებობს დღეგრძელობის რეცეპტი: იღებენ რამდენიმე ცალ ჭერმის ან გარგარის ჩირს, საღამოს ასხამენ წყალს, დილამდე აჩერებენ, დილით ჩირს მიირთმევენ და ნაყენს აყოლებენ.

ამბობენ, რომ ეს რეცეპტი ადამიანს 120 წლამდე აცოცხლებს, მას აღარც დაავადება ეკარება და არც მეხსიერება ღალატობს.

# ფერისცვალება, რუსეთუმეთა ზვარაკს, შადიმან ბარათაშვილსაც შეეხება

ფილმ "გიორგი სააკაძის" გამოსვლის შემდეგ(სტალინი ხომ გიორგი სააკაძეში თავის წინამორბედს ლანდავდა), საქართველოში დამკვიდრდა სტერეოტიპი-შადიმანობისა და შადიმან ბარათაშვილობისა, რაიც სამშობლოსა და სახელმწიფოს მოღალატეს ნიშნავდა, თორემ მანამდის ბარე ორმა არ იცოდა ვინ იყო შადიმან ბარათაშვილი, მაგრამ საჭირო გახდა შექმნილიყო მტერი, რომელიც მაშინდელ ახლად ფეხადგმულ რუსულ ორიენტაციას დაუპირისპირდებოდა სპარსულით და აჰა იგი - გამოინახა დიდი ფეოდალი, რომლის კრებით სახეში გაერთიანდა მხსნელი ერთმორწმუნე რუსეთის მტერი და შაჰ აბასის მომხრე და რომლის მოწინააღმდეგეში ხალხი დაინახავდა გმირთა-გმირ სტალინს, რომელიც თავისი თავდადებით გამოიხსნიდა ტყვედქმნილ სამშობლოს. უნდა ითქვას, ფილმი იდეოლოგიურად ისეთი დიდი ოსტატობით არის შექმნილი, რომ იგი დღესაც მუშაობს ბათაყვა თავებზე. არადა წყაროების მიხედვით არ დასტურდება არცერთი დანაშაული, რომელიც შადიმან ბარათაშვილს წაუყენეს, იგი არ ყოფილა განკვეთილი საქართველოს ეკლესიის მიერ, ეს როგორც გიორგი სააკაძის მიმართებაში განხორციელდა და საერთოდ, დაწყებული ფარსადან გორგიჯანიძიდან დამთავრებული ანტონ კათალიკოსით, ყველა ამართლებს შადიმან ბარათაშვილს და ამტყუნებს გიორგი სააკაძეს გარდა იოსებ თბილელისა, რომელიც მისი ნათესავი გახლდათ. ახლა ისე არ გამიგოთ შადიმან ბარათაშვილი ანგელოსად მესახებოდეს, მაგრამ სიმართლე ვინმემ ხომ უნდა უთხრას ამ გზაარეულ საქართველოს.

ისე რა უნდა გაგიკვირდეს ქვეყანაში, სადაც ათეული წლები ილიას მკვლელები უდიდეს პატრიოტებად ცხადებოდნენ, ხოლო პატრიოტნი სამშობლოს მტრებად, მაგრამ დრო და ისტორია ფერს შეიცვლის და ყველას თავისას მიაგებს. აი

მაშინ გაბრწყინდების მზე ივერიისა! საქართველოს უმთავრესი წიგნი-ისტორიანი ქართლოსისანი კი თავიდან მართალი მეცნიერებისაგან დაიწერება, რომელიც ვითარცა შუქურა გზას გაუნათებს სამშობლოს ჩვენსას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ერქმევა.

ფერისცვალების., ფერისცვალების ჟამი დგება!

**ნოდარ პოგერიძე**

# ჩვენი რიტორიკული კითხვები ტარიელ ხარხელაურის ერთ პოლიტიზირებულ ლექსზე



„დავეტანები, ამოვფლითავ მიწას მტირალი,
გულდამდუღვრილი მიმოვლეწავ მწარედ
ვიცინი,
არა ჰქონია საქართველოს სხვა სატკივარი -
გარდა სიმცირის...
სამშობლოს ცაზე გადმოფენილ შავ
ღრუბელს ვუმზერ
და ჩნდება ეჭვი, მინაცრული სისხლის
სამსჭვალი,
რა გჭირს მამულო! - შემოგევლე
არ სკდები გულზე?!
ყველა სულელი შენ გარიგებს, ჭკუას
გასწავლის.
რა გჭირს მამულო! - შენს ჩამოშლილ
ძარღვებს შევლოკავ
სისხლით ირწყვება შენს სხეულზე ყველა
ღიობი,
სუყველა სენი კაცთა მოდგმის - ბებერ ევროპას
ერთად შეყრია დნება გონი კაცობრიობის...
შენ უფლის კრავო სამსხვერპლოსთან -
მიბმულო უფლის...
შენს გამო მოვსთქვავ საკუთარი
ძვლების მკვნეტავი,
როცა ევროპა შენს ნათელ შუბლს
მასპინძლობს ფურთხით,
სამყაროს გულო, ო, მამულო! რას ჰგრძნობ
ნეტავი!
არა მამულო! შენს დუმილს ვერ შევეგუები,
რად დადგა სისხლი,რად არ ჰბორგავს,
რატომ არ მძლავრობს,
გიბრწყინავს მკერდზე, ღვთისმშობელის
ნაფეხურები,
უნდა ჰგვრგვინავდე,უნდა ჰქუხდე უფლის
ტაძარო!
არ დამეღალო შემოგევლე გკორტნონ
ყორნებმა,
დღეს სჩანს ყორნებო, მძორის
მთქვლეფავთა ხმა შეშლილია,
ასე რად გვებრძვის დღეს მსოფლიოს
ცხელი გონება,
ბებერ ევროპას შენი ასე რად ეშინია...
დავეტანები ამოვფლითავ მიწას მტირალი
გულდამდუღვრილი მიმოვლეწავ, მწარედ
ვიცინი,
არა ჰქონია საქართველოს სხვა სატკივარი -
გარდა სიმცირის...“

არ არის ეს ლექსი მართალი და ალალი!
"სუყველა სენი კაცთა მოდგმის - ბებერ ევროპას
ერთად შეყრია" და "ახალგაზრდა"
რუსეთი ჯანმრთელია?!

"როცა ევროპა შენს ნათელ შუბლს მასპინძლობს ფურთხით," - ამ 230 წლის მანძილზე ვინ გვაფურთხა სულსა და გულში?!

ვინ წაგვართვა ეკლესია და ჭეშმარიტი სარწმუნოება?!

ამ 230 წლის მანძილზე რამდენჯერ აჰყარა პატივი ჩვენს ენას "ერთმორწმუნე" ძმამ?!

აკაკი სხვას ჩიოდა, ვაჟა სხვას ბუბუნებდა, ილია სხვას ჰგოდებდა - მათი კრიტიკული სიტყვა და კალმის ისარი "ერთმორწმუნე" ჩრდილოელისკენ იყო მიმართული!

ამ ლექსის წაკითხვის მერე კიდევ უფრო ძალუმად შემიყვარდა ვაჟა, ილია, აკაკი... სიმართლეს მასხურებდნენ და იმიტომ!

"ასე რად გვებრძვის დღეს მსოფლიოს ცხელი გონება,

ბებერ ევროპას შენი ასე რად ეშინია..." - და ვინ გვებრძვის 230 წლის მანძილზე დაუოკებლად და შეუჩერებლად, ვის ეშინია ჩვენი?!

შემოქმედის სწორ პოზიციას სწორედ წიგნიერება აყალიბებს, კონსტანტინე გამსახურდია სანამ რამეს დაწერდა, მსოფლიო არქივებს ისრუტავდა, თუ ისტორია არ იცი, რა ბედენაა ცარიელა სიტყვები?

ზეციური ნიჭი ღვთის მადლია, დიდებული რამაა, მაგრამ იმ ნიჭს გასაქანი თუ არ მიეცი, არ გაამოროდე, სასუქად ცოდნა თუ არ დაუდე, ვერ იქნება სასიკეთო და სასარგებლო.... მე ამ ბატონის შემოქმედების წაკითხვისას სწორედ რომ უკმარისობის შეგრძნება მრჩება, წიგნისმიერი უკმარისობის...

"არა ჰქონია საქართველოს სხვა სატკივარი -
გარდა სიმცირის..." , არც ესაა სწორი და მართალი, რამეთუ საქართველოს ყველაზე დიდი სატკივარი და შფოთის საგანი სულ მუდამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი იყო, რომელსაც ყველა ეპოქაში, ევროპა და დასავლეთი კი არა, არამედ სწორედ ისტორიული მეზობელი სახელმწიფოები რუსეთი, თურქეთი, სპარსეთი... და სხვა გაუმაძღარი და ხარბი დამპყრობლები გვტაცებდნენ. სამწუხაროა, რომ ცნობილი პოეტი ბატონი ტარიელ ხარხელაური ასე მრუდედ იყურება ისტორიის სარკეში!

**გლახო პარგარეთელი**

## თავისუფალი ტრიბუნა

# პატონო, მთავრობავ-პარლამენტარებო!

წინათ მოთქმა–ქვითინით, ერთმანეთზე ჩაბორკილებსა და გათოკილ–გადაბაწრულებს, კისრიდან კანჭებამდე ცხენებიდან მათრახების ცემითა და ხმალთა მოღერებით! (სიკვდილის მუქარით!) მიერეკებოდნენ საქართველოდან ქართველ ქალებს სპარსეთსა და ოსმალეთში! დღეს აღარც მათრახი ჭირდება თურქსა და ირანელს, აღარც ხმალი და აღარც ცხენი! და აღარც დაბა – სოფლების დაწიოკება და აღარც ქალაქების რბევა და ნაცარტუტად ქცევა – საქართველოში! თავიანთივე ფეხით მიუდიან ახალგაზრდა ქართველი ქალები თურქებსა და ირანელებს მათსავე ქვეყნებში და საკუთარი ნება–სურვილით უგორდებიან ლოგინებში – ერთსაც და მეორესაც! რომ როგორმე ოჯახები შეინახონ და შვილებს შიმშილით სულები არ ამოხდეთ საქართველოში! და წლიდან–წლამდე როგორმე გააძლებინონ საკუთარ სისხლიერსა და ხორციელ ნაშიერ–ნაშობთა!!!

ყველას ხომ არ ააქვს სახნავ–სათესი ნაკვეთი (ჯორჯ ბუშის „გამზირზეა“ გამოთხოვილი თბილისში, ან შაუმიანის ქუჩაზე ქუთაისში! და რა მოხნას?! და სად დათესოს?!!!) ან მეწველ–მარჩენალი პირუტყვი ოჯახში – ბაგაზე მიბმული?! რითი არჩინონ ობლები სამაჩაბლო – აფხაზეთში ნაომარ ბიჭებზე დაქვრივებულმა ახალგაზრდა დედებმა – საქართველოში?!!!

ვინც აფხაზეთში ომსა და გადამთიელის ტყვიას გადაურჩა კიდევდა, მოჰყვა სუყველას ეგ ნამუსდაქცეული გონებახეიბარი ბუტია – ბებერი! და ზოგი მილიციათა განყოფილებებში გამოაბეგვინა მილიცია–პოლიციათა მუშაკებს! და ზოგიც სულ გააქცია და გადახვეწა საქართველოდან! რამდენიც გნებავთ – იმდენი მინახავს მოსკოვში, მილიციათა დევნა–შევიწროებას გამოქცეული , – სამუშაოდ ჩამოსული, აფხაზეთში ნაომარი ქართველი ბიჭები ცოლ–შვილებით (პატარა ბავშვებით!) თავადაც სამუშაოდ პეტერბურგიდან – მოსკოვში ჩასულს!!!

გადამთიელი ოსები უკანვე გადმოგვირეკა ამ დამპალმა ბებერმა ბოროტმოქმედმა მძორმა შევარდნაძემ მოსკოვიდან ჩამოთრევისთანავე! სამშობლოსათვის სისხლნაქცევი ბიჭები კი სულ გაგვირეკა საქართველოდან რუსეთ–უკრაინასა თუ გერმანია–საბერძნეთში: „აფხაზეთში ნაომარი ავტომატები და ნაძარცვი და ნაქურდალი ყველაფერი მე ჩამაბარეთო!!“

რამდენჯერაც არ უნდა გადასულიყავით, აფხაზეთიდან და ნარჩენი საქართველოს გამოძევების შემდეგ ხაშურის რაიონში! – სოფელ ჩორჩანაში (შუაგულ საქართველოში–მეთქი!) იმდენი გაუდიოდა გადამთიელი მახამეთა – ოსების ავტომატებსა და „გრანატამიოტებს“ ტყვიათა წივილ–კივილი და ნაღმთა ბაგაბუგი, იქვე მდებარე სოფელ წნელისიდან!!!

(„სტრელბიშე“ ჰქონდათ მოწყობილი (სავარჯიშო პუნქტი!) – საწვრთნელიბაზა – ქურდბაცაცა შობელძალლებს! პაპაჩემის ბაღის ბოლოზე, – მამაჩემის შესაშინებლად!)

მაგ საკუთარი ერისა და ქვეყნის მაოხრებელმა ბებერმა მტარვალმა კი: იარაღი ამოვაღებინე მილიცია–პოლიციას საქართველოს მოსახლეობიდანო... (თავისი ჭკუით!!!) წნელისი დააბანოსაციხური რა, საქართველოში აღარ გვეთვლებიან?! – აქვე, შუაგულ ხაშურის რაიონზე მომდებარე ქარელ–ნიქოზის სოფლები–მეთქი?!!! (დღესაც კი იარაღით დაძრწიან ყველა მასტის მახამეთა გადამთიელები ამ სოფლებში!!!)

... ჰიუგოს ჰკითხეს: ნაკლი, რომლის პატიებაც უფრო შეგიძლიათო?

„ქალის ზნეობრივი დაცემა სიდუხჭირის გამო და ბავშვის დაძაბუნება უმეცრების ნიადაგზეო“ იყო პასუხი.

ეს, მხოლოდ პატიება უფრო შეიძლებაო (სხვადასხვა ნაკლთაგან განსხვავებით, ან საწინააღმდეგო სქესის ზნედაცემულთაგან განსხვავებითო!) და არა: გინდათ თუ არა ორდენები მიანიჭეთ და ძეგლები დაუდგით, – ბებერ მეძავებსა და ახალგაზრდა პუტანკებსო!!!

რას უშვებით ამ ახალგაზრდა ქვრივ დედებსა და გასათხოვარ ქართველ გოგოებს, თქვე საკუთარი რჯულისა და წინაპარ ქართველთა სულების წარმწყმენდებო?!!! რატომ უბილწავთ და შეურაცხყოფთ ქართველი დედის პატივმოყვარეობას და ღირსებას სიყმაწვილეშივე ახალგაზრდა ქართველ გოგონებს?! რატომ ხდით ზნედაცემულებსა და რატომ აძაბუნებთ, ამ საკუთარი ერისა და ბერის ჩამომავალთა დანატოვარ ძმათა ქვრივებსა და ძმათა შვილებს, თქვე ქართვლის დედის მაგინებლებო და მაძაგებლებო?!!! – თქვენისთანა მთავრობა–პარლამენტარებისა არაფერი გაიშვას დედამიწაზე, – შევარდნაძის მთავრობა–პარლამენტიდან მოყოლებული (მისსავე ჩათვლით!), ვინც კი იქნება–მეთქი კიდევ თქვენნაირი მთავრობა – პარლამენტარები საქართველოში, – მომავალშიც!!!

სად წავიდეს ახალგაზრდა გოგო საქართველოში, რა საქმიანობას ეწიოს?!! უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩააბარა! ბიძა არავინ აღამოჩნდა ნათესაობაში თქვენნაირი მდიდარი! ვერ მიიღო შესაბამისი განათლება ოჯახის სიდუხჭირის გამო ბავშვმა, რომ უმაღლესში ჩააბაროს და რა ვუყოთ მერე?! ყველანი ქალბატონი ბურჯანაძისა და „მადამ“ ზურაბიშვილისათვის პროფესორები და დოცენტები ხომ არ გამოვლენ ამ პატარა „საზღვარგარეთ–ევროპაში“?! ვინღა კეროს და აუთოოს სამკერვალო ატელიეებში?! ან სართავი ვინღა დაართას და მოქსოვოს რამე საფეიქრო–საგალანტერიო ფაბრიკაში?!

რა აკეთოს–მეთქი, ახალგაზრდა გოგომ სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოში?! არ თხოვდება; არ აცვია ბავშვს, არ ახურია! არავის უნდა ეს შენი მშიერ–მწყურვალი და ჩაუცმელ–დაუხურავი. ისედაც ბევრს შიათ და წყურიათ დღეს საქართველოში!!! ან იქნებ სულაც არ უნდა გათხოვება, თავისი მშიერ–მწყურვალი და ჩაუცმელ–დაუხურავი ბავშვობით გაწვალებულს, რომ საკუთარი სისხლიერი და ხორციელი მონაგარი აღარ აწვალოს კიდევ დამატებით – მთელი თავისი წუთისოფელი! და რა ქნას–მეთქი ამ ახალგაზრდა ბავშვმა–ქალმა, კაცო?! (ზოგს სულაც არ ახსოვთ არც დედები და არც მამები, საბავშვო („უპატრონო – ბავშვთა“) სახლებში არიან გაზრდილები და სად წავიდნენ 8 კლასის შემდეგ ეს პატარა ბავშვები, თქვე მართლა უპატრონოებო?!!! როცა რომ საშუალო განათლებასაც კი არ აძლევენ ამათ სკოლებში!!! (რვა კლასის შემდეგ ჰყრიან–მეთქი სკოლებიდან!!!) (ბავშვთა სახლებიდან) რომელი საგალანტერიო ფაბრიკა აუშენეთ (ან აუმუშავეთ, ის მაინც–მეთქი, რაც გააჩნდათ საქართველოში?!!!) ან რომელი სამკერვალო თუ საკონდიტრო ატელიე ან კომბინატი აუშენეთ რომელიმე – რაიონში მაინც?!!! – სად გაიკვლიოს აბა გზა ცხოვრებაში, ბავშვმა–გოგომ??!!! თურქეთში ან ირანში?!!!

ამდენი საბუღალტრო და „სამენეჯერო“ თუ „სარიოლტორო“ რა ააშენეთ ჯერ (რომ ძველსაც კი აღარაფერს აღუდგენთ მოსახლეობას, რაც ქონდათ იმას მაინც–მეთქი!) რომ ყველანი ბუღალტრები და მენეჯერები გამოვიდნენ ამ პატარა „საზღვარგარეთ–ევროპაში“ – კავკასიონის ქედის სამხრეთით!!!

რა აკეთოს აბა, ბავშვმა (ახალგაზრდა ქალმა!) სკოლის დამთავრების შემდეგ?! ან რითი მოეწყოს ეს უპატრონო და – არასმქონეთა თუ მცირესმქონეთა ღარიბებისა და ქვრივების შვილები, ამ თანამედროვე სპეციალობათა შესაძენ სასწავლებლებში მაინც?! (მოწყობაში თუ არა, სწავლის პერიოდში უფრო მეტი ფული ჭირდება დღეს სტუდენტს, ვიდრე მოწყობა ღირს! რაც ზღაპარი და ბოდვა სულაც არ გახლავთ და საიდუმლოებას არ წარმოადგენს თქვენთვის, რომ ეს ასეა! სად იშოვოს–მეთქი ამ უდედ–მამომ და ღარიბის შვილმა თუ მამით ობოლმა ფული?! ესე იგი მაინც და მაინც ირანში ან თურქეთში?! ან რუსეთში და უკრაინაში იაროს და დაგავოს სასადილოები და კაფე–ბარები?!!!

სასადილოების გვასა და ჭურჭლების რეცხვაში არ იძლევიან უმაღლესში ჩასაბარებელ ფულებს!!! მაშ, მაინც და მაინც „ბორდელებში“, არა?!!! სხვანაირად რითი აიწყოს–მეთქი ცხოვრება დამოუკიდებლად, ახალგაზრდა ქალმა?!!! კაცი ხომ არ არის ბავშვი – ქალი, რომ მეზობელს შეშა დაუპოს, ან „ელიავას – ბირჟაზე“ ჩამოვიდეს თბილისში და დადგეს ლომითა და კირკით ხელში, სკოლა ახალი დამთავრებული ბავშვი – გოგო?!!! აბა, სად წავიდეს–მეთქი საქართველოში?! რა გააკეთოს, რაში შეგაშველოთ ხელი ამ თქვენი წამოწყებული პროგრესის მწვერვალზე ასატანად თუ ასაყვანად?!!! რა სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას, – თავისსავე ქვეყანაში?!! ე. ი. მაინცდამაინც ირანში ან თურქეთ–საბერძნეთში! ან გერმანია–საფრანგეთში! და „რეცხონ“ ევროპელები და აზიელები „პუბლიკურ“ – სახლებში... (ბორდელებში–მეთქი!!!)

კარგი ზრდილობიანები და კულტურულად მომზადებულებიც ჩამოგივლენ იქიდან საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად! და უფრო მეტ მორალურ (ზნეობრივ!) სიმდიდრეს ჩამოგვიტანენ საქართველოში, მამა–პაპური ადათ–წესებითა და ზნე–ჩვეულებებით მომავალთა აღსაზრდელად!!! ჯერ ისედაც სანთლით უნდა ეძებო უკვე ახალგაზრდა კაბიანი – ქალი საქართველოში! სიგარეტისა და ნარკოტიკების ქაჩვა–ყლაპვასაც რომ თავი დავანებოთ!!!

(დალაჯუნობენ ქუჩებში უკანალწამოხდილ ძროხებივით, შარვლებში გაკვეტებულ–გამოტმასნილი, ამხელა 40–45 წლის, საჯდომებ მოდღლეზილი შვილიშვილებიან – ბებია–ქალები! და სკოლის მოსწავლესა და სტუდენტს როგორღა გინდა ზრდილობაში დაემდურო?!!! (ცოლშვილიანი კაცები იგინებიან–მეთქი საკუთარ დედებსა და თავიანთ ნათესავ–მოკეთეებს დღეს ქუჩებში: „ჩემი დედა!“ და „ჩემი კარგიო“!.. და სკოლის მოსწავლეს რაღა ნამუსით გინდა უზრდელობა და პატივმოყვარეობა თუ მშობელი დედისადმი სისაძაგლე და სულით ხორცამდე – სიმახინჯე დაუწონო?!!!).

ჩვენ ჩვენი ზენობანი და ადათ–წესები გაგვაჩნია საკუთარი! საკუთარი აღმზრდელობითი და განმანათლებლური, რითაც განვსხვავდებით და გამოვირჩევით ქართველები სხვადასხვა ერებისაგან მსოფლიოში!!! აგრეთვე საკუთარი კულტურა! საკუთარი ეროვნული ტრადიციები! საკუთარი ისტორიული წარსული! საკუთარი დროშა! და საკუთარი გერბი და ჰიმნი! და ამადაც ვიწოდებით სახელმწიფოდ!!! ცალკე დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ–მეთქი!!! (თუ კი გინდოდათ ევროპელობა და სხვათა წამხედურობა, ბრძანდებოდეთ თქვენ ევროპელებთან ერთად – კომუნისტურ–მილიტარისტულ–ტოტალიტარულ ტირანიულ კავშირში – მოსკოვის კრემლის წინამძღოლობით! და რაღას გამორბოდით–მეთქი ცალკე?!!! (ერთი სული აქვთ დღესაც ბაბურინსა და რაგოზინს, და ყოველდღე კბილებს ილესავენ როდის გადაგვყლაპონ და რითი?! ჩვენივე აფხაზების მიხმარებით! თუ თავიანთი ფედერაციიდან, შუაგულ საქართველოში გადმორიყული – გაწუწკებული სეპარატისტი ოსების მეშვეობით!!!) და ამადაც გვმართებს პატივი დავდოთ იმ ზნე–ჩვეულებებსა და ადათ–წესებს, რომლითაც ჩვენს წინაპრებს უვლიათ საუკუნეების მანძილზე და გამოუტარებიათ იმ გადაგვარება, გადარჯულება, გადაშენება, – გადაწვა, მოსრა – გაპარტახება და ნგრევათა და რბევა–დაწიოკებათა სისხლიან ჟამთა სიავესა და უკუღმართობებში! და შემოუნახავთ ქართული სულისა, კულტურისა და ეროვნული ტრადიციების უკვდავსაყოფად, მომავალი თაობებისთვის ჩვენსგანვე გადასაცემად! და არა მარტო ჩვენთვის! დღევანდელთათვის!! მომავალი თაობებისთვის ჩვენგანვე გადასაცემად–მეთქი!!!

„ზნეობის მოპოვებას თაობები სჭირია, დაკარგვას კი ერთი ქალამნის გაცვეთის დროც კი ჰყოფნის“... გოთუას – ვარამი...

ევროპელებისა და ამერიკელების შთამომავალი საესტრადო ვარსკვლავების, სასცენო სექსუალურ–პორნოგრაფიული იმიჯის სადემონსტრაციოდ არ უღვრიათ სისხლი ჩვენს წინაპარ ქართველ მამა–პაპათ, საქართველოს მთასა და ბარში!!! შარვლებში გამოტმასნილი დიაცთა მოდღლეზილი – საჯდომების, ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორემდე, მიტან–მოტანით ზლაზნა –ზლაზნიაობისათვის!!!

ანუ: „ბოსტანშიც „ბრიტნი სპირსი“! მაღაზიაშიც „ბრიტნი სპირსი“! სამშობიაროშიც „ბრიტნი სპირსი“!... ბოსელშიც „ჯეილოპესი“! საქათმეშიც „ჯეი–ლოპესი!“ საპარიკმახეროშიც „ჯეილოპესი“! მკერავიც „ლუიზა ჩიკონე“! პარლამენტარიც „ლუიზა ჩიკონე“!... დალაჯუნობენ მთაშიც და ბარშიც (ტყეში და ქალაქში!) შარვლებში გაკვეხებულ–გამობრიგნილი – მოდღლეზილი საჯდომების ქანაობით!!! (ქორწილებშიცა და ქელეხებშიც!!!).

„მადონა“ უკანალწამოხდილი კი არ დადის ქუჩაში! ვუალითა (პირ–ბადით!) და გრძელი, ბრიალიანტებით მოოჭვილი კაბით გამოდის საზოგადოებაში და ხელში ტროსტით, უფრო მეტი სოლიდურობისათვის!!! ხოლო ის, რასაც ხედავთ თქვენ სცენაზე, ის სამუშაო ადგილია მისი...

რომელ ერთს გინახავთ სცენაზე ნემსითა და ძაფით ან უთოთი ხელში?! ან წინდის საქსოვი ჩხირებით ან წინსაფარ (ფართუკით) აფარებული, ცომის საზელი გობით ხელში?!!! – დაუყენეთ იმასაც თავისი საესტრადო ჩაცმულობა თავისთვის! და თქვენს ბაღ–ბოსტანსა და სარეცხ–საკერავს და რეპორტაჟებსა და კორესპონდენციებს მიხედეთ სუყველამ! და შვილებისა და მომავალთა ზნეობრივ ჯანმრთელობასა და პატივმოყვარეობაზე იფიქრეთ და იზრუნეთ!!! ისეთზე, როგორიც შეეფერება ქართულ კულტურასა და ტრადიციებს თავისი ადათ–წესებითა და ზნე–ჩვეულებებით რომ „ჩემი დედა“ და „ჩემი კარგი!“... არ იძახონ წამდაუწუმ და ყოველ მეორე სიტყვაზე ქართველმა „ვაჟკაცებმა“ მთელს საქართველოში!!! – „სამსახური აქვს–მეთქი იმას ისეთი“!!!

ის საესტრადო სცენაზე და კინოში უნამუსო მსოფლიო–კახპა! ყველაზე ზრდილობიან და პატიოსან მანდილოსნად დადის–მეთქი საზოგადოებაში!!! და აბა ერთი ვინმემ გაუბედოს და ბუზი აუფრინოს თუ ბიჭია?!!! იმას ინგლისში უზრდიან შვილებს – ვინძორის სასახლეში! თქვენსავით ნაზუქიან ხელებს კი არ უქნევენ შუაღამისას იმისი შვილები – ბათუმიდან დედაქალაქისაკენ მიმავალ შეგვიანებულ თბილისელ მთავრობა–პარლამენტარებს – თონეებიდან, ძილ–ბურანში გახვეულები!!! და არც სამუშაო ადგილთა ძებნა არასდროს დაჭირდებათ და არც უსწავლელობის ნიადაგზე დაძაბუნებულები დარჩებიან ცხოვრებაში! და არც სხვის გამონაცვალ სამოსელში (ტანსაცმელში) არასოდეს გაივლიან თავიანთ ცხოვრებაში იმის შვილები–მეთქი!

... დადის მთელი საქართველო საზღვარგარეთიდან შემოხვეტილ, ევროპელების და ამერიკელების, აფრიკელებისა და აზიელების გამონაცვალ „სეკენხენდის“ გავაში!!!

რაც ფერადი ლითონი და ბუნებრივი წიაღისეული თუ ჩარხები და დაზგა–დანადგარები იყო სადმე ფაბრიკებსა და ქარხნებში, სულ თურქეთში გაზიდეს ყველაფერი! სამაგიეროდ, ეზიდებიან ყველაფერს ნახმარსა და სხვის გამონაცვალს საქართველოში, დაწყებული ავტომობილიდან – ქალიან – ნასკებამდის!!! რეცხე ვიღაცის ჭუჭყიანი ნასკები და შარვალ–ხალათი და იარე სხვის გამონაცვალ–ნახმარით საკუთარ სამშობლო მიწაწყალზე – როგორია?!!!

(დადის 20–25 წლის ქართველი ვაჟკაცი ვაკე–საბურთალოზე, შემოგლეჯილ–შემოტრეტილი ჯინსის შარვალში და ელოდება სატრფოს ამერიკიდან, მიხაკების თაიგულით ხელში, ვაკის პარკში სკამის საზურგეებზე ამხედრებულ–შემომჯდარი, – სანდლებში შიშველი ფეხებით კი სკამის დასაჯდომზე! შავი სათვალეებითა და ყურის ბიბილოში გაყრილი ალუმინის მავთუ-

→

ლის ცალი საყურეთი!... გვერდით ძმაკაცი უზის შორტებში, კანჭებ–დაბანჯგვლული, ვარდების თაიგულით ხელში! ის ინგლისიდან ელოდება ელისაბედ დედოფლის შვილიშვილს საცოლედ...).

... რუსეთის მთავრობა – პარლამენტის მარტო ოსებსა და ყაბარდონელებს გვიჭმევს, გვიცმევს და გვიხურავს სამაჩაბლო-აფხაზეთში! საქართველოს მთავრობა – პარლამენტი კი, მარტო მილიცია-პოლიციას გვიცმევს და გვიხურავს და გვიიარაღებს ხელკეტებითა და „ნარუჩნიკებით“ – საქართველოში!!! შენ კი იარე, ქვრივ–ობოლმა და არას მქონემა თუ მცირეს მქონემ, სხვის გამონაცვლებში საკუთარ მამულში, – ისიც კი ოღონდაც! ოღონდაც რამე ჩაიცვას ადამიანმა და არ შეცივდეს, ან სასირცხვილო ადგილი რამეთი დაიფაროს და არაფერი გამოუჩნდეს ქუჩაში!... და თუ უნდათ სულაც თავში ქვაც უხლიათ სააკაშვილსაც და პუტინსაც მთელი თავიანთი მთავრობა – პარლამენტარებიან – ჟურნალისტებიანად!!! ვინღა დაეძებს სხვის გამონაცვალსა და სხვის ნაჭუჭყარს?!... იქამდე დაამხეს და დააქციეს ეროვნული სიამაყეც! კულტურული მენტალიტეტიც! და პატრიოტული თავმოყვარეობაც – ერისა!!!

საკუთარი ცოლ–შვილები და ქმარ–შვილები ატარეთ თქვენ ამერიკელებისა და აფრიკელების გამონაცვალ ნიფხვებში! და ევროპელებისა და აზიელების ნაქონ „ნასკებსა და კოლგოტკებში“!!! ჩვენ ჩვენი აგვიშენეთ, საფეიქრო ფაბრიკაა თუ სამკერვალო ატელიეთა სახელოსნოები და რასაც მოვიქსოვთ და შევკერავთ, იმასვე ჩაიცმევთ, ჩვენივე მარჯვენით წარმოებულს – ჩვენსავე მიწა–წყალზე!!! ჩვენ დავარდნილები არა ვართ–მეთქი!

შუქის ფულის დროულად გადახდევინება ხომ არ გავიწყდებათ მოსახლეობისაგან, მამაძაღლებო! (დროულად ყოველთვიურად?!) და ყოველ თვეში ერთი კვირის განმავლობაში შუქის გათიშვა მთელს უბანში ერთი მოსახლის გულისთვის!!! იმდენსაც კი არ იკადრებენ შობელძაღლები, რომ მობრძანდნენ და „სტოლბაზე“ ავიდნენ და ქსელიდან ჩაჭრან (გათიშონ), ვინც ვერ იხდის (ვისაც არ აქვს საშუალება დროულად გადაიხადოს დანახარჯის საფასური!) მაინც და მაინც მთელს უბანს უნდა მოაკვლევინონ კაცი, მისსავე მეზობლებს, თავისსავე სახლში!!! (ცოტაა განა გამოთაყვანებული დედამიწაზე?!!!)

ჯერ ერთი! 6–მანეთსა და 91–კაპიკს რომ მიწერთ შუქის ქვითარზე, რომელი დამსახურების საფუძველზე?! რა აგვიშენეთ ასეთი, რომ ვითომდა სამუშაო ადგილებით გვაკმაყოფილებდეთ და თვალები დავხუჭოთ ყოველთვიურად 4 კაპიკით ძარცვაზე და დაყაჩაღებაზე?!!! ჩემისთანა აბონენტი (ვისაც ელექტროენერგიით სარგებლობისათვის შუქის ფულის გადახდა გვევალება) სულ მცირე მილიონი მაინც მოსახლეობს საქართველოში! მილიონჯერ 4 კაპიკი რამდენია, აბა დაითვალეთ კარგად თითებზე?! 40 000 ლარი?!! როდემდე უნდა ძარცვოთ და აყაჩაღოთ მოსახლეობა ასე უნამუსოდ და უშიშრად, თვალსა და ხელს შუა; დღისით, მზისით, ყოველთვიურად?! თქვე მართლა „კრახაბორებო“ და „მელოჩნიკებო“?!!!

იტყვი რამესდა, აქეთ, დაგიწყებენ ლანძღვას! შენვე შეგარცხვენენ!!! არ იტყვი და, უნდა აკატაო მთელი შენი დანარჩენი ცხოვრება, – თავიანთი ცოლ–შვილებითა და ქმარ–შვილებით, – ზურგზე შემსხდარები!!!

როცა გამოუშვებს ჩვენი ბატონი–მამამთავარი 4–კაპიკიანს ან კაპიკიანებს (200–ლარიანებს კი არა! კაპიკიანებს–მეთქი!!!) მაშინ დამიწერეთ შუქის ქვითარზე 6 ლარი და 91 თეთრი! რომ 7 მანეთიდან 5 კაპიკის მაგივრად (5 თეთრის მაგივრად), 9 კაპიკი ხურდა მივიღო!!!

თქვენ ჩალით დახურული ნუკი გგონიათ რუსთაველის, ილიასი და ვაჟას საქართველო?!! – თქვენს ცოლ–შვილებსა და ქმარ–შვილებს არეცხინეთ თქვენ, ამერიკელი და ევროპელი „ტრანსვესტიტებისა“ და „ჰომო–სექსუალების“ ჭუჭყიანი ნიფხვები და და „კოლგოტკები“...

... ტყის ჩეხვას კიდევ, თავები დაანებეთ, ყველამ „მეფენო უძლეველნო“!!! ჩვენი თაობის გაშენებული არ გახლავთ ეს ტყე საქართველოში! ეს პაპებისა და იმათი პაპების წინაპართა გაშენებულია და არა მარტო ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც და „ტყე შეუნახეთ შვილებსაო“! დაიბარეს!!! და თუ მაინცდამაინც ძალიან გექავებათ ხელები სუყველას „მეფეთა – უმაღლესთა“, ჩინეთში და გერმანიაში ნუკი აზიდინებთ ხე–ტყეს საქართველოდან! ქართულ ეკონომიკას მიახმარეთ მსოფლიო ბაზარზე ნაკეთობათა სახით!! და თქვენც უფრო ბევრ ფულებს ჩაიდებთ ჯიბეებში და აღარც ჩვენ დავიხოცებით შიმშილით და გერმანია რუსეთში წანწალით, სამუშაო ადგილები რომ გვექნება საკუთარ მამულში!!!

– ჩინეთის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად და გერმანული ხის ნაკეთობათა მსოფლიოში უფრო მეტად სახელის განსათქმელად და პოპულარობის მოსახვეჭად არ შემოუნახავთ ჩვენთვის ხე–ტყე წინაპრებს!!!

...ტყის მეტი არაფერი არ გააჩნდა არც ფინეთს! სწორედ ჩვენნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა ისიც საბჭოეთიდან გაღწევისას – თავის დროზე! და სწორედ ხისგან დამზადებული თავისივე საკუთარი ნაწარმ–ნაკეთობათა ვაჭრობით მოითქვა სული და ბევრ განვითარებულ ქვეყანას აღარც სხვა რამეში ჩამოუვარდება დღესდღეობით მსოფლიოში!!! არც თავისი ფინური სახურავებიანი კოტეჯების მშენებლობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში–მეთქი! და არც სამამულო წარმოშობის სამონტაჟო–ჩასამართი კარ–ფანჯრებითა თუ კიბე–ავეჯით!!!

და ერთი ლექსიცა ჩემი:

*სურამიდან პეტერბურგში –*
*ლიხს იქიდან ფინეთთანა,*
*ნეკას გულში ვიხუტებდი,*
*მტკვარზე ვუჩივოდი თანა!*

**ზურაბ ქვაშაველი (მულაძე)**
სურამი

# ✠ სულთათანა ✠

## გია ფირცხალაიშვილის მოგონება

გია ფირცხალაიშვილი დაიბადა 1963 წლის 28 თებერვალს, ლანჩხუთში.

1980 წელს დაამთავრა ქალაქ ლანჩხუთის N2 საშუალო სკოლა.

1986 წელს დაასრულა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკა-გამოთვლითი ტექნიკების ფაკულტეტი, ავტომატიკა, საინფორმაციო გამზომი სისტემების მაგისტრის კვალიფიკაციით.

1980-1981 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის N70 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშად, 1986-1989 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ინჟინერ-ენერგეტიკოსად, შემდეგ მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილედ, 1990 წლიდან თბილისის გარე განათების სამმართველოს ცვლის უფროსი.

1990 წლიდან არჩეული იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად გლდანის N10 საარჩევნო ოლქიდან.

იყო პრეზიდენტის აპარატთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ეთიკისა და სამანდატო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

1992 წლის 7 მარტიდან 1994 წლის 3 მაისამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელი სამოქალაქო და სამხედრო საკითხებში; 1994 წლის მაისიდან 1998 წლის სექტემბრამდე საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში. 2003 წლიდან პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფლების“ კომიტეტის წევრი; 2010 წლიდან პოლიტიკური გაერთიანება „;ეროვნულების“ კომიტეტის წევრი.

2015 წლის თებერვლიდან გარდაცვალებამდე იყო ა(ა)იპ „ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე.

გია ფირცხალაიშვილი 2016 წლის 13 მარტს, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გიასნაირები იშვიათები არიან ამქვეყნად. მას შეეძლო ადამიანებთან რამდენიმე საათში დაემყარებინა ისეთი ურთიერთობა, რომ მერე ყველას დიდხანს, ძალიან დიდხანს ხსომებოდა ეს საოცრად ღაღი, თავისუფალი, განათლებული და სიცოცხლით სავსე კაცი, გადამდები ენერგია რომ გააჩნდა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პირნათლად და ერთგულად ემსახურება კანონიერ ხელისუფლებას და კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომელსაც გროზნოშიც ახლდა.

გიას შეეძლო ყველასთან გამოენახა საერთო ენა, ამიტომაც უყვარდა ის ერთნაირად ყველა თაობის ადამიანს და ამიტომაც იყო ის მისაღები ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფებისთვის. მის სიტყვას თავისი წონა და ფასი ჰქონდა. არასოდეს ღალატობდა პოლიტიკური ალღო და გამჭრიახი გონების წყალობით ბევრჯერ უწინასწარმეტყველებია მოსალოდნელი შედეგები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გია ფირცხალაიშვილი მართლაც ღირსეულად, უანგაროდ და თავდადებით ემსახურა თავის სამშობლოს და როგორც თავად უყვარდა თქმა, მისი ერთადერთი პარტია იყო საქართველო. ის არ ცნობდა არავითარ იზმებსა და ისტებს. ხშირად ამბობდა, რომ ერთადერთი იზმიც და ისტიც მისთვის ღირსეული მამულიშვილობაა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მშობლიურ ლანჩხუთს დაუბრუნდა და მეორედ შექმნა ოჯახი. სიყვარულით, სითბოთი და ახალი ენერგიით დამუხტული ემსახურებოდა სამშობლოს, უფალს, ოჯახს. მისთვის უცხო იყო ღალატი, მოტყუება, მიტოვება. უმძიმესად მოქმედებდა მასზე იმედგაცრუება და ორპირობა ადამიანებისა. ამბობდა ხოლმე, რომ თუ რამე გადაგვარჩენს ქართველებს, მხოლოდ ერთად დგომა და ურთიერთსიყვარული.

გია ფირცხალაიშვილი თანამებრძოლთა შორისაც გამორჩეული იყო. 1989 წლის 9 აპრილს ის ერთ-ერთი იყო იმ ოთხი ბიჭიდან, რომლებიც რუსულ ტანკს შუა რუსთაველზე უშიშრად გაუწვნენ.

არც მაშინ შეშინებია, 1989 წელს პირველი რომ შევიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

1989 წლის 9 აპრილს, როგორც გიას თანამებრძოლები იხსენებენ, მან არაერთი ქალი გადაარჩინა რუსი ვანდალების ბარს, მათ შორის რამდენიმე ფეხმძიმე ქალბატონიც იყო, სამაგიეროდ, თავის ზურგზე იწვნია ხელკეტების სიმძიმე და სიმწარეც, რუსული ჩექმაც, მაგრამ უკან არ დაუხევია.

ეს თვისება- უყოყმანოდ დახმარებოდა ადამიანს - სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა კიდეც.

გია იმ იშვიათ ადამიანთაგანი იყო, ადამიანში მტერს რომ ვერ ხედავდა და მისთვის ყველა ძმა, მეგობარი და ახლობელი იყო. ალბათ, ამიტომაც დაიტირა ძალიან ბევრმა ადამიანმა გულწრფელი, ალალი ცრემლით მარადისობაში გადასული ღირსეული ქართველი კაცი.

ამ წერილის დასრულება უპრიანია გიას სიტყვებით:

„ვიცხოვრე ისე, როგორც მხოლოდ მე უნდა მეცხოვრა“!!!

გია ფირცხალაიშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი საკუთარი სამშობლოს წინაშე და ზეციურ საქართველოში, თავის თანამებრძოლებთან, მასავით გულანთებულ ქართველებთან ღირსეულად წარსდგა!!!

მისი სახელი ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, ოქროს ასოებით რომ ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. გიამ საკუთარი თავი სიცოცხლეშივე უკვდავყო: ის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი ერთ-ერთი ახალგაზრდა პარლამენტარი იყო!!!

**დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატები**

# კვეთებულის ლოცვა

ლოცვის ძალისა და მადლის შესახებ რჩევა-დარიგებებს გვაძლევს მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **მამა აკაკი (მელიქიძე).**

კვეთებულის ლოცვა არის ბოროტების დამარცხება და ჭეშმარიტ გზაზე დადგომა.

სახარებაში ნათქვამია, ქრისტესთან მივიდნენ ეშმაკეული ძალები და უსაყვედურეს, თუ რატომ მოვიდა ამქვეყანაზე. მათ იცოდნენ, რომ მაცხოვრის მოსვლით ახლო იყო მათი აღსასრულის ჟამი. მეორედ მოსვლის დროს ისინი წარსდგებოდნენ უფლის სამსჯავროზე და მიეცემოდნენ ძლიერ სატანჯველს.

მაცხოვარმა დაამარცხა სიბოროტე. მოგვცა ძალა და შეწევნა, რომ ჩვენც სწორი ცხოვრებით გამარჯვება მოვიპოვოთ ეშმაკზე.

**- როგორ შეიქმნა კვეთებულის ლოცვა**

წმინდა მღვდელთმთავრებმა, ბასილი დიდმა, იოანე ოქროპირმა და სხვებმა შეადგინეს სპეციალური ლოცვა, რომელიც ადამიანს აძლიერებდა ბოროტი სულის ზეწოლის დროს.

ამ ლოცვას ჰქვია „შერისხვა და განდევნა ბოროტ სულთაგან კვეთებულსა ზედა“.

**- ვის შეუძლია კვეთებულის ლოცვის წაკითხვა?**

- კვეთებულის ლოცვის წაკითხვა, ძირითადად, ბერების საქმეა.

რუსეთში არის მონასტერი „ზაგორსკი“, სადაც ბერები კითხულობენ ამ ლოცვებს.

უკრაინაში„პოჩაევის“ეკლესიებში სრულდება კვეთებულის ლოცვები.

საქართველოში მამა სოკრატე,

მამა იობი, მამა რაფაელი, მამა აკაკი კითხულობენ კვეთებულის ლოცვებს.

კვეთებული - ნიშნავს ბოროტი ძალების ადამიანზე კვეთებას.

მათ ზეწოლას სულსა და სხეულზე. კვეთებულის ლოცვას სჭირდება დიდი ძალა და რწმენა, შემართება, ძლიერი ლოცვები. ამიტომაც მოძღვარს უნდა მიეცეს სათანადო კურთხევა პატრიარქის მიერ. კურთხევა შეიძლება მისცეს მღვდელთმთავარმა, ქორეპისკოპოსმა, ეპარქიის მმართველმა...

მოძღვარს შეუძლია, უარი თქვას კვეთებულის ლოცვების წაკითხვაზე, რადგან თუ სულიერად შემზადებული არ არის ძალიან გაუჭირდება ბოროტებასთან ბრძოლა.

**- რომელ ხატთან უნდა აღევლინოს კვეთებულის ლოცვა?**

- ლოცვა იკითხება ღვთისმშობლის ხატთან, უფლის ხატთან.

კარგი იქნება, თუ წმ. კიპრიანეს და წმ. იუსტინეს ხატებთან შესრულდება, რადგან ისინი ეშმაკთან მებრძოლი წმინდანები იყვნენ.

კიპრიანე იყო წარმართების მოგვი. ძალზე დაახლოებული იყო ბოროტ ძალებთან და შეეძლო, დაენახა თვით ეშმაკი. ერთ დღეს მასთან მივიდა ერთ-ერთი წარმართი, რომელსაც ქალწული იუსტინეს ცოლად შერთვა სურდა. იუსტინე ჭეშმარიტი სარწმუნოებით ცხოვრობდა და წინააღმდეგი იყო, წარმართზე ექორწინა.

კიპრიანემ ბოროტი ძალები დაუპირისპირა ქალწულს და ცეცხლოვანი ისრებით აღჭურვილი ეშმაკის ლეგიონები გაგზავნა იუსტინეს დასამორჩილებლად. როდესაც დამარცხებული ბოროტი ძალები უკან დაბრუნდნენ, კიპრიანემ ჰკითხა მათ დამარცხების მიზეზი. ეშმაკები ვერ მოერივნენ ჯვარს. კიპრიანემ ირწმუნა ჯვრის დიდი ძალა, თავადაც დუპირისპირდა თავის ბოროტ ლეგიონს და საბოლოოდ განდევნა ისინი საკუთარი სხეულიდან.

კიპრიანე და ქალწული იუსტინე წმინდა მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულნენ.

***- ვისთვის იკითხება კვეთებულის ლოცვა?***

კვეთებულის ლოცვა იკითხება დილით. აუცილებელია ლოცვაზე დასწრების წინ, თუნდაც მხოლოდ იმ დღეს, იყოთ მარხული. უნდა იკითხოთ დილის ლოცვები და ლოცვები ძილად მისვლის წინ. იცხოვროთ ქრისტიანულად.

კვეთება ხდება მხოლოდ მორწმუნეებზე, რომლებსაც განსაცდელს უწყობს ბოროტი. ამ დროს ადამიანი ითრგუნება, აქვს გაზვიადებული უძილობა, გრიპები, ნევროზი (იგივე კვეთებულება), დავრდომილობა. ახასიათებს ისეთი ავადმყოფობა, რომელსაც ექიმებიც ზუსტ დიაგნოზს ვერ უსვამენ.

ლოცვა, სწორი ეკლესიური ცხოვრება და კვეთებულის ლოცვები მორწმუნეს აახლოებს უფალთან. კვეთება არის ეკლესიის ბრძოლა ბოროტებაზე, რომელიც სრულდება ეშმაკის დათრგუნვით.

**- ავადმყოფები და ბავშვების კვეთება**

კვეთებულის ლოცვები ტარდება აუცილებლად ეკლესიაში, ქრისტიანულ რწმენაში მყოფთათვის. როდესაც ადამიანი მძიმედაა ავად ან რაიმე სულიერი ან ხორციელი დაბრკოლებების გამო ვერ ახერხებს კვეთებას დაესწროს, ეკლესიაში შესაძლებელია, მიიტანოთ მისი პერანგი. ტანსაცმლზე კვეთება იგივენაირად მოქმედებს ადამიანზეც.

შესაძლებელია ოჯახიდან ხატის წაღებაც კვეთებულის ლოცვაზე.

არ შეიძლება სურათზე კვეთება.

ბავშვების კვეთებისას მშობლები უნდა იცავდნენ საეკლესიო ცხოვრების წესებს. შვილებს უნდა წაუკითხონ 90-ე ფსალმუნი და მამაო ჩვენო.

კარგია, თუ აცხებთ შვილებს რომელიმე წმინდანის წმინდა ზეთს, ეს დიდი მადლია.

კვეთებულის ლოცვები არ არის მარტო ავადმყოფის განკურნება, ის ეშმაკის დაძლევაა.

მოძღვარი გირჩევთ
შეინახეთ მარხვები.
ხშირად ეზიარეთ.
ილოცეთ სულის გადასარჩენად.

წყარო: http://rubrica.ge/modzghvari-gvirchevs/kvetebulis-locva--zala-romelic-eshmaks-aprtxobs/

## ჯანმრთელობის ლოცვა უკურნებელი ავადმყოფობების წინააღმდეგ

**რომელ ხატთან აღევლინება ჯანმრთელობის ლოცვა და შეიძლება თუ არა ამ ლოცვის სახლში წაკითხვა. ამის შესახებ რჩევა-დარიგებებს გვაძლევს მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა აკაკი (მელიქიძე).**

## ჯანმრთელობის ლოცვა

ლოცვას დიდი ძალა და მადლი აქვს. როდესაც ადამიანი სწორი გზით ცხოვრობს, მას შეუძლია, ყველანაირი ეშმაკიერი და მანკიერი ცდუნებების გადალახვა. ბევრჯერ მომხდარა სასწაული, როდესაც სნეულს ძლიერი რწმენით დაუძლევია ავადმყოფობა.

მეტეხის ტაძარში 4 შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ლეიკემიის უმძიმესი ფორმით დაავადებული ადამიანი ჯანმრთელობის ლოცვის ძალით განკურნებულა. სამედიცინო დასკვნა კი ლეტალურ შედეგს იუწყებოდა. მომხდარა სხვა უამრავი სასწაულიც.

აუცილებელია, სნეული იყოს რწმენაში და მარხული.

ჯანმრთელობის ლოცვის დროს ხდება უფლის მოხმობა. მოიხმობენ ასევე დედა ღვთისმშობელს, წმინდანებს, რათა სნეულზე მოვიდეს მადლი და ილოცონ მასზე, რომ განიკურნოს საშინელი დაავადებისაგან.

სრულდება საგალობელი. საგალობელს მოყვება ტროპარი და კონდაკები, რომლებშიც წმინდანებს მიმართავენ. ეცხება ზეთი და იკითხება სამკურნალო ლოცვა. სნეული ემთხვევა სახარებას და ჯვარს.

ავადმყოფობა შეიძლება იყოს ფიზიკური, როდესაც სამედიცინო დიაგნოზი აქვს დასმული. ასევე, შეიძლება იყოს სულიერი.

რწმენაში ყოფნა და ეკლესია, მოძღვრის ლოცვები და სინანული ყველა მსუბუქი თუ მძიმე ავადმყოფობის მკურნალია.

**როგორ შეიქმნა ჯანმრთელობის ლოცვა?**

**მოწოდებულმა მამებმა და უვერცხლო მკურნალნმა, წმინდა მღვდელმთავარმა ბასილი დიდმა, წმ. კოსმა და დაიანემ შეადგინეს ლოცვები, რომლებიც უფალს მოუხმობდა სნეულის განსაკურნად.**

**იოანე დამასკელმა შეადგინა გალობა.**

**ჯანმრთელობის ლოცვის შემქმნელებს ღმერთი უსმენდა, სწორედ უფლის მადლით შედგა ლოცვა.**

**ლოცვითა და მარხვით უნდა განიდევნოს ბოროტი ნათესავი - ნათქვამია სახარებაში.**

## რომელ ხატთან აღევლინება ჯანმრთელობის ლოცვა?

ჯანმრთელობის ლოცვა აღევლინება ღვთისმშობლის ხატზე - „ყოველთა დედოფალი". შეიძლება აღევლინოს სხვა წმინდანების ხატებზე, როგორიცაა: წმინდა დიდმოწამე წმ. პანტელეიმონი, წმ. კოსმა და დამიანე, წმ. ერმილაოსი...

მეტეხის ტაძარში ლოცვა აღევლინება მკურნალი წმინდა მოწამე აბო თბილელის და წმ. შუშანიკის წინაშე.

## ლოცვა ბავშვების და მძიმე ავადმყოფების განსაკურნებლად

**როდესაც ბავშვი ავადაა, ამის ძირითადი მიზეზი მშობელია. საჭიროა დაფიქრება, სინანული, ეკლესიური ცხოვრება, აღსარება, ზიარება...**

**ეკლესიიდან მშობელს მადლი მიაქვს სახლში, რომელიც შვილებზე გადადის.**

**მშობელმა შვილი პატარა ასაკიდან უნდა მიაჩვიოს ეკლესიურ ცხოვრებას, ლოცვას, მარხვას. ხშირად უნდა აზიაროს. ბავშვი აუცილებლად უნდა იყოს მონათლული და ატარებდეს ჯვარს.**

**მძიმე ავადმყოფებმა, რომლებსაც საშუალება არ აქვთ, მივიდნენ ეკლესიაში, უნდა გაუშვან ოჯახის წევრები. ავადმყოფის სახელი მისმა ნათესავებმა, ოჯახის წევრებმა უნდა მოიხსენიონ. ლოცვა დიდ მანძილზე მოქმედებს და ძლიერი ძალა აქვს.**

**ჯანმრთელობის ლოცვა სახლში არ იკითხება.**

**ლოცვა ჯადოს და ეშმაკის წინააღმდეგ**

**ეკლესია ცნობს ეშმაკის არსებობას და მის უკეთურ ქმედებებს.**

**ადამიანზე ჯადო და ეშმაკი ვერ მოახდენენ ზემოქმედებას, თუ ფხიზლად არის და რწმენაშია.**

**ეკლესია ხალხის კრებულს ნიშნავს, რომლის სათავეშია უფალი იესო ქრისტე. ეშმაკის სხვადასხვა სნეულებებით და ჯადოებით შეპყრობილმა ადამიანებმა ეკლესიაში ხშირი სტუმრობით უნდა მიიღონ უფლის შემწეობა. ღვთის ძალა და მადლი ყველაფრისაგან იხსნით მათ.**

**მოძღვარი გირჩევთ**
**გქონდეთ სინანული.**
**იყავით თავმდაბლები.**
**იყავით მოწყალეები.**

**წყარო: http://rubrica.ge/**
**Read more: http://megatv.ge/2016/08/15/janmrtelobis-locva-unkurnebeli-avadmyofobebis-winaarmdeg.html#ixzz4HZV6Ey79**

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
*საიდენტიფიკაციო ნომერი*: 404511658
**რედაქტორი** ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli. webs. com*
ელ. ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo. com*